გაზეთი ზიერის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

№36 (792) 1 – 2 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## რუსული სპეცსამსახურების საიდუმლო სცენარი, რომლითაც საქართველოს დსთ-ში შეყვანა იგეგმება



გვ. 6

## ავღანური ნარკოტიკის სამი სკანდალური ვერსია

## სოროსის მილიარდი დოლარი ორი კანონპროექტისთვის, რომელიც საქართველოს დაშლის



გვ. 3

ექსკლუზივი



გვ. 5

## დიმიტრი შაშკინი „ოცნებას“ ორი საფლავის გათხრას ურჩევს

## „აღარ შემიძლია, დამღალეს!“ — კაბუ საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს!

### სკანდალური ინტერვიუ კახა აბუაშვილთან

„პირდაპირ გეუბნებით, ლექს-სენი მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალების უკანალის მწმენდავი იყო. ამას ხმამაღლა ვამბობ და მასაც ვეტყვი პირში“



გვ. 14

# 20 გვერდი 40 თეთრი

## თემურ შაშიაშვილი: „26 მაისს სააკაშვილს აღლუმის ჩაბარების უფლებას არ მივცემთ!“

სახალხო კრება „გაპარპაშებული პოლიტიკოსების“ გასაკონტროლებლად საზოგადოებრივ პარლამენტს ქმნის



გვ. 11

## მწერალ დავით ტურაშვილს, რომელმაც სააკაშვილს პირდაპირ ეთერში აგინა, პრეზიდენტის გრანტი მისცეს

ნაციონალებმა გია ნოდიას კეთილგანწყობა 800 ათასად იყიდეს?!

გვ. 9

## პაპუნა დავითაიას „ნაციონალური გრეხები“

რა გარიგება დადო ნაცმოძრაობასთან, ვის უკეთავდა ჩოხებს და რატომ გაცვალა ხელოვნება პოლიტიკაზე დიასპორის ყოფილმა მინისტრმა და ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატმა



გვ. 10

## იძებნება

## თეა წულუკიანის „ზამენა“

ვის რა შანსი აქვს შუალედურ არჩევნებში

გვ. 4

დიტო ველთვანი

## ორი კურდღელი სამადაშვილისთვის

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

## კბილის „დაპლომბვა“-დამუშავება უმტკივნეულოდ ანუ წყლის ლაზერით მკურნალობის უპირატესობანი

გვ. 13

დიტო გელოვანი

**1976 წელს BBC-ის Radio 2-ის პირდაპირ ეთერში სტუმრად მიწვეული იყო ასტრონომი პატრიკ მური. მან მთელ ბრიტანეთს აცნობა, რომ ზუსტად 21:47 წუთზე მოხდებოდა უნიკალური ასტრონომიული მოვლენა, რომლის განცდა ყველა მსმენელს შეეძლებოდა სახლიდან გაუსვლელად. ამ მომენტში პლანეტა პლუტონი იუპიტერის უკან ჩაივლიდა, რაც გამოიწვევდა დროებით გრავიტაციულ სწორებას. ეს მოვლენა, თავის მხრივ, გავლენას მოახდენდა დედამიწის გრავიტაციაზე. მურმა მსმენელებს უთხრა, რომ თუ ზუსტად ამ დროს, ისინი ჰაერში ახტებოდნენ, იგრძნობდნენ უცნაურ ფარფატს და რამოდენიმე მილი წამით გაჩერდებოდნენ ჰაერში. 21:47-ის შემდეგ, BBC2-ის სტუდიაში დაიწყო შედინება უწყვეტი ზარების ნაკადმა. ხალხი ამტკიცებდა, რომ მათ მართლაც შეიგრძნეს ფარფატი. ერთმა ქალმა კი ისიც მოყვა, როგორ აიწიეს ჰაერში ერთად, მან და მისმა 9 დაქალმა.**

*(კორესპონდენტის უბის წიგნაკიდან)*

# ორი კურდღელი სამადაშვილისთვის



დღეს პირველი აპრილია და, როგორც ამბობენ, მოტყუება ადვილია, მაგრამ ეს არის ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოტყუება არის შეუძლებელი. ხდებოდა და ჰა — ვერაფერს იზამ. მოხდა და აწი, რაც უნდა ვიძახოთ — არა, არა, ეს არ მოხდებაო, რომელიმე კოტე მაინც გამოხტება საიდანღაც, ვნებიანად ჩაბღუჯავს რომელიმე ქეთოს და დამცინავი ღიმილით გვეტყვის: „ეს უკვე მოხდა“. მოიტაცეს თამარ-ქალიო — ბორის წიფურიას გმირი რომ მოთქვამს, გაგიჭირდებოდათო — იპოლიტე ხვიჩიას ფეოლა რომ ამბობს, ამაშია საქმეო — ვაჟა ზაზაევიჩი რომ იმეორებს...

დღეს პირველი აპრილია, 2013 წლის პირველი აპრილი და იმ სიმღერის არ იყოს, იანვარში გაგვითენდეს გაზაფხულიო, მიხეილ სააკაშვილმა, ზაალ სამადაშვილმა, გიგი უგულავამ და სხვებმა და სხვებმა, უკვე მარტის მიწურულს დაიწყეს მზადება. მაგათ ტყუილებს რა ჩამოთვლის, მაგრამ სიმართლე გითხრათ, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ეკარგებათ ჩვეული გონორი და მეც, შესაბამისად, სულ უფრო ნაკლებად მინდება, რომ ჯიგრიანად, მამაპაპურად დავიგინო.

მე არა, მაგრამ გასულ კვირაში განცხადება-გამოხმაურების სახით, საკმაოდ თავაზიან ფორმებში დაიგინა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, რომელიც სააკაშვილის მიერ ახალქალაქში გაკეთებულ იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, საავტომობილო გზა გაწმენდილი არ არის და ამის გამო, მოსახლეობას პრობლემები ექმნება. როგორც სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, მიხეილ სააკაშვილი მორიგ ტყუილს ავრცელებს და მის განცხადებას სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს. „მან კარგად იცის, რომ გზა, რომელზეც დღეს საუბრობდა, ზამთრის განმავლობაში ყოველ წელს ჩაკეტილია და მოსახლეობა მუდმივად ალტერნატიული გზით სარგებლობს“.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ პირველად გავიგე, რომ სააკაშვილმა რაღაც კარგად იცის. წანწალი უყვარს, მაგრამ გზები არ იცის; ჭამა უყვარს, მაგრამ მაგის ჭამა ერთ ნახვად და ერთ მოსმენად ღირს; ქალები უყვარს, მაგრამ როგორ უყვარს — ამის შესახებ ექიმები (ძირითადად, ტრავმატოლოგები) ნიჟარაძეზე, ბანძელაძესა და ქობალიაზე დაყრდნობით მოგვიყვებიან. ეს ისე გავიხსენე, სხვათა შორის, თორემ სააკაშვილის მორიგი ტყუილი სხვა არაფერი იყო, თუ არა 25 მარტს გამოთქმული საპირველაპრილო ხუმრობა — მიშა და ნაცები ყოველთვის უსწრებდნენ დროს და არც გასული კვირა ყოფილა გამონაკლისი.

როგორც ყოველთვის, ლიდერის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა და ტყუილებისგან თავი ვერც სხვა ნაციონალებმა შეიკავეს, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ზაალ სამადაშვილის სიტყვები — „დღევანდელმა დღემ, 7 დეპუტატის დაკითხვაზე დაბარებამ, საბოლოო გადაწყვეტილება მიმაღებინა. არც ერთი ჩემი კოლეგის არა თუ ტანჯვა-წამებად, უბრალო სტრესადაც არ მიღირს არანაირი სკამი და თანამდებობა, ამიტომ, გადავწყვიტე, დამეყენებინა კენჭისყრაზე თანამდებობაზე ჩემი დარჩენა-არდარჩენის საკითხი“.

რა და როგორ მოხდა, ამის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, ზაალ სამადაშვილს მთელი სამი თვე ველარავინ შეეხება და ამით საკრებულოს თავმჯდომარე ორ კურდღელს იჭერს — სკამსაც ინარჩუნებს და მომავალში, როდესაც კითხავენ, მწერალი თუ ხარ, რატომ არაფერი გაქვს დაწერილიო, სამადაშვილს თავის გასამართლებელი ექნება — საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი და არ მეცალაო. მანამდე რატომ არ წერდიო — ალბათ, ამასაც კითხავენ და პასუხი მზად ექნება — საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის ვემზადებოდიო. ახლა რატომ არაფერს წერო — შესაძლოა, ეს კითხვაც დაისვას. ზაალ სამადაშვილი დაიმორცხვებს, მაგრამ არ გაწითლდება, რადგან სახის კანს სისხლით შუბლის ძარღვი ამარაგებს, შუბლის ძარღვის პროთეზი კი ჯერ არ გამოუგონიათ და ვერც მომავალში გამოიგონებენ. ბარემ, აქვე, გიგი უგულავას უშუბლისძარღვო ხუმრობასაც შემოგთავაზებთ: „ვფიქრობ, ლოგიკურია ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ძალიან ღირსეულმა ადამიანმა, ზაალ სამადაშვილმა, რომ დამდგარიყო მისი ნდობის საკითხი. ვულოცავ მას და თბილისელებს, რომ იგი დარჩა საკრებულოს თავმჯდომარედ“.

„თბილისის ხელში ჩასაგდებად გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობს“, — ასეთი შეფასება მისცა ცნობილმა ქართველმა ნიადაგთმცოდნემ და საზოგადო მოღვაწემ, მიხეილ მაჭავარიანმა თბილისის საკრებულოში განვითარებულ მოვლენებს და პრინციპში, მართალიც იყო. რაღა არაბების ოთხასი წელი თბილისში და რაღა ნაციონალების თორმეტი წელი თბილისის საკრებულოში, რაღა „რას გადაურჩა თბილისი“ და რაღა „ვაკის გონივრული განვითარება“. ჰოდა, როგორც დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა თბილისი არაბებისგან, ჩვენც ისე უნდა გავათავისუფლოთ დედაქალაქი მათგან, რაც არაბებს ებათ.

ჰოდა, მაჭავარიანის ასეთი გამოსვლების შემდეგ, მეტად უკბილო იყო მანანა კობახიძის ხუმრობა, მიხეილ მაჭავარიანი და დავით ბაქრაძე სააკაშვილის გამო, დისკომფორტს განიცდიანო. მა-ნა-ნააა! მა-ნა-ნააა! სააკაშვილის გამო დისკომფორტი, შესაძლოა, მაშინ ჰქონდათ, ჟვანიას გუნდში რომ იყვნენ, თორემ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბაქრაძეცა და მაჭავარიანიც მოეშვნენ და სააკაშვილის გამო, დისკომფორტს კი არა, მაქსიმალურ სიამოვნებას განიცდიან. „იმ გამოსვლაშიც კი, რომელიც პრეზიდენტმა საკონსტიტუციო ცვლილებებზე კენჭისყრის დასრულებისას გამართა, იგი გაღიზიანებული იყო არა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებზე, ასევე უმცირესობაზე“, — განუცხადა ჟურნალისტებს მანანა კობახიძემ. გაიგე ახლა, რომელმა გააღიზიანა მიშტოიან ნიკალაევიჩი, ხათუნა გოგორიშვილმა თუ მარიამ საჯაიამ?

ეგეც არ იყოს და, ქლიბის დისკომფორტი პირველად გავიგე. ქლიბი იმის ქლიბია, რომ დისკომფორტს არ გრძნობს და ყოველთვის ქლიბად რჩება. საერთოდ, არის რაღაც-რაღაცები, რაც არასოდეს იცვლება — ქურდები ქურდობენ, მათხოვრები მათხოვრობენ, ბოზები ბოზობენ, ქლიბები ქლიბობენ და საზოგადოებრივი მაუწყებელიც, ვის ხელშიც უნდა იყოს, მაინც საზოგადოებრივ მაუწყებლად რჩება და, წესითა და რიგით, ცალკე საზოგადოებრივი უნდა ისმებოდეს ბრჭყალებში და ცალკე — მაუწყებელი. აი, ასე — „საზოგადოებრივი“ „მაუწყებელი“.

რატომ გამახსენდა? რატომ და, გასულ კვირაში სიუჟეტი ჰქონდათ — ვაზიანის სამხედრო დასახლებაში კორპუსები ინგრევაო და იქ ასეთმა ფრაზამ გაიჟღერა — „ოთხამდე კორპუსი უკვე სრულადაა დანგრეული“... მაგრად ვიცინე — მეთქი, „ოთხამდე კორპუსი“ რა პონტია, ვარდენ?

ძაან გასუქებულა ვარდენის ქალიშვილი... ბულდოზერი თუ უშველის, სხვა ვერაფერი!

რა უშველის საქართველოს პარლამენტს? პარლამენტს უშველიან იურისტები. საპარლამენტო უმრავლესობის მონოლითური შენობიდან ხმამ გამოჟონა, თითქოს უსუფაშვილს ივანიშვილისთვის ეთქვას, ვერის უბნის პუსტა-პუსტა პოლიციელებით შორს ვერ გავფრინდებით და იურისტები მომაშველეო. მოგეხსენებათ, აპრილის ბოლოს შუალედური არჩევნები იმართება და „ქართულმა ოცნებამ“ სამტრედიაშიც, ბაღდათშიც და ნაძალადევშიც იურისტები წარადგინა. სამტრედიასა და ბაღდათზე ვერაფერს მოგახსენებთ, რაც შეეხება ნაძალადევს, ვფიქრობ, ამ რაიონს მალე სახელი შეეცვლება და „არა-ნაძალადევი“ დაერქმევა, რადგან მალე მანდ მესამე სექტორი, იგივე სამოქალაქო საზოგადოება, იგივე ენჯეოშნიკები ანუ ასომთავრულები გაბატონდებიან.

როდესაც გავიგე, რომ „ქართული ოცნების“ სახელით ნაძალადევში კენჭს კაპიტან გრანტის ქალიშვილი იყრის, ძალიან ღრმა ნაფაზი დავარტყი და შემდეგ მივხვდი, რომ ნაფაზი კი არ დავარტყი, არამედ ამოვიოხრე.

რავი... აგერ, თვითმმართველობა უნდა განვითარდესო, ადგილობრივ ინიციატივებს უნდა შეეწყოს ხელიო... როგორც ჩანს, ნახალოვკა იქნება პირველი, რომელიც ერთსქესიან ქორწინებას დააკანონებს, სადაც „შე ჩემა“ შეფასდება როგორც სიძულვილის ენა, „სადილი გამიცხელე“ იქნება ოჯახური ძალადობა, ხოლო „ბოზიშვილი ვიყო“ — გენდერული ბალანსი, როგორც „არაკაცი ვიყო“-ს ალტერნატივა.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი გახდე? ამისთვის საჭიროა, შექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია ანუ „არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირი“ (ააიპ), თუმცა ეს არ კმარა. უნდა აიღო გრანტი, მაგრამ არც ეს კმარა. გრანტი უნდა დახარჯო არამიზნობრივად და დაუსრულებლად უნდა ილაპარაკო მიღწეულ შედეგებზე, ცოლ-ქმრის ჩხუბს უნდა უწოდო „ოჯახური ძალადობა“, ორსქესიან ქორწინებას — წარსულის გადმონაშთი, ხოლო ელტონ ჯონს (სამაგალითო მუსიკოსს) — სამაგალითო მამა. მოკლედ, ყველაფერი იმით იწყება, რომ ხდები „არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირი“, ოღონდ არამომგებიანი (წამგებიანი) უნდა იყო მხოლოდ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის, საკუთარი თავისთვის.

„ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, ხვალ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება... 2013 წელს ბრძანებულებაში, პრეზიდენტისა და მთავრობის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევიდა და საინფორმაციო ცენტრს ნატო-ს შესახებ სახელწოდება შეეცვალა. ის გახდა საინფორმაციო ცენტრი ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ. განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საინფორმაციო ცენტრი, ნატო-სთან ერთად, ევროკავშირის მიმართულებითაც იმუშავებს“, — იუწყებოდა „ინტერპრესნიუსი“. იფ, იფ... სახელი შეეცვალა, თენგო გოგოტიშვილი გახდა გოგო თენგოტიშვილი, ხოლო ნანუკა ჟორჟოლიანი — ჟორჟო ნანუკლიანი. საქმე? საქმე თუ გაკეთდება? ეგ არ ვიცი. დანამდვილებით, მხოლოდ ის ვიცი, რომ აუცილებლად ჩატარდება უამრავი სემინარი, უამრავი კონფერენცია, ტრენინგი, ვორქ-შოპი და ერთიც შემაჯამებელი პრეზენტაცია, ჩატარებული სამუშაოს შესახებ.

კანონს რომ არღვევდნენ, აბა, რა ეგონათ, დაარბევდნენ, მა, როგორ იქნებოდაო — განაცხადა იურიდიული მიმართულების ერთმა ენჯეომ 26 მაისის სისხლიანი ღამის შემდეგ, რითიც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არასამთავრობო სამართალმცოდნეებს, ხშირ შემთხვევაში, საერთო არაფერი აქვთ ადამიანურ სამართლიანობასთან.

ჯორჯ სოროსის გამზირი, მეტრო „პოლიტკორექტულობის“ მიმდებარე ტერიტორია — ასეთი იქნება შუალედურ არჩევნებში არანაძალადევის ოლქის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის შტაბის მისამართი. მატარებელი „კმარა-საია“ გადის მეხუთე ლიანდაგიდან. ვისაც ნამუსი არ გაქვთ, დაეწიეთ.

„არასამთავრობო ორგანიზაცია „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა, მერაბ ღოღობერიძემ ხელვაჩაურის სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალის ხელმძღვანელს კაბინეტის კარი აუჭედა. როგორც ღოღობერიძემ აღნიშნა, ამით მან ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტი გააპროტესტა. მისი თქმით, სააგენტო საკუთარი შეხედულებისამებრ ნიშნავდა სოციალურ დახმარებას. „დღეს ჩვენ პროტესტი გამოვთქვით და ხელვაჩაურის სოციალური სააგენტოს პასუხისმგებლობის საკითხი დავაყენეთ. მაგალითი ვაჩვენეთ მთელ საქართველოს, რომ არ შეიძლება მათი შეხედულებისამებრ ადამიანების შერჩევა და იმის მიხედვით სოციალური დახმარების მიცემა“, — აღნიშნა მერაბ ღოღობერიძემ“, — გასულ კვირაში ენჯეო-ნიუსების ცვენა იყო. „მაგალითი ვაჩვენეთ მთელ საქართველოს“... ეუფ!!!

კარი აუჭედა... ამ საქმეს დაჭირდა ერთი ჩაქუჩი და ორი ლურსმანი — ეს არის ინვესტიცია. მიიღებს გრანტს — ეს არის მოგება. ცხონებულ ბაბუაჩემს, რაჭველ კაცს, მთელი ცხოვრება ჩაქუჩი და ლურსმანი ეჭირა ხელში, სულ მკვდარსა და ცოცხალს უტრიალებდა უსაქმურებს და სწორედ მაშინ იყო სამაგალითოდ პოლიტკორექტული.

თქვენ იცინეთ და, შორს არ არის ის დღე, როდესაც „ქართული ოცნება“ ან ნაციონალური მოძრაობა (გააჩნია, რომელი დაასწრებს) მერაბ ღოღობერიძეს რაღაცის კანდიდატად დაასახელებს იმის გამო, რომ „მთელ საქართველოს მაგალითი მისცა“. მაგის ასაკში დემეტრე პირველს დარიალის კარი ჩამოხსნილიც ჰქონდა და ჩამოტანილიც, მაგრამ დადგება ის დღე, როდესაც ღოღობერიძე „ვეღარ“ გაიხსენებს, როგორ წაიყვანა მამამ კარის ასაჭედად...

საერთოდ კი, ღმერთმა დასწყევლოს ეს სკლეროზი... მაია ხასია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ, მისი თავმჯდომარეობის პერიოდში, თანამედროვე აღჭურვილობის მქონე „ჯიპების“ შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადებას ვერ იხსენებს. „არ მახსოვს, რომელ ტენდერზე საუბრობთ. მე წამოსული ვარ, საქმეებში არა ვარ ჩახედული, ზეპირად რომ გიპასუხოთ, არაკვალიფიციური და არასწორი იქნება. ტენდერების გამოცხადებას სპეციალური სამსახური უზრუნველყოფდა, ამიტომ ასე, ზეპირად, ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ“, — განაცხადა მაია ხასიამ.

ხასია ვერ იხსენებ, ჩვენ არ ვიცოდით. დროა, ვიცოდეთ: სატენდერო პირობებში მითითებულია, რომ ავტომობილი, რომელსაც დეპარტამენტი შეიძენს, უნდა იყოს 2013 წლის მოდელი, არანაკლებ 8-ადგილიანი, უნდა ჰქონდეს: ინტეგრირებული მონიტორი ჭერში, ნავიგაცია, ეკრანი, ხმით გამოძახება, ბლუთუზი, გარესარკეები გათბობით, მეხსიერებით, ჩაკეცვით კამერით, კრუიზ კონტროლი, მაცივარი, ელ. საათი, გარეთა ტემპერატურის მაჩვენებელი, ტყავის სალონი შავი, გვერდითი საფეხურები ხისა და ტყავის სიჩქარეების გადამრთველი, ტყავისა და ხის კომბინირებული საჭე გათბობით, ელექტრონული ლუქი დისტანციური მართვით, წინა სკამების კონდიცირება, უკანა სალონის სწრაფი გათბობა და გაციება. მითითებულ პირობებში წერია, რომ სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს ახალი (ექსპლოატაციაში არმყოფი).

შეიძლება, ცოტა ისე გამომივიდეს, მაგრამ რა ვქნა... თქვე დალოცვილებო, ქვეყანაში აქტიური ფერია ანთია გყავს და თანამდებობაზე სკლეროზიან მაია ხასიას ნიშნავთ?! სად არის სამართალი?!

აი, კოტე გაბაშვილმა, ზაალ სამადაშვილისა არ იყოს, ყველა თანამდებობის დედა ვატირეო და... „საქართველოს ყოფილი ელჩი იტალიაში კოტე გაბაშვილი თანამდებობიდან წასვლის მთავარ მიზეზად ქვეყნის საგარეო კურსის დაუბალანსებლობას ასახელებს. „გადაწყვეტილების მიღებისას მე შეცდომა არ დამიშვია. ერთია, მოქალაქეობრივი განცდა და მეორეა — დიპლომატის ცხოვრება. რთულია ისეთი დავალებების შესრულება, რომელსაც არ ეთანხმები და არ გჯერა. მე ეს დავინახე და ამიტომ წამოვედი“, — აცხადებს გაბაშვილი“ — როგორც მიხვდით, ეს იყო ნიუსი. ჩემგან იყო დაგინება, რომელიც გარშემომყოფებმა კი გაიგეს, მაგრამ აქ აღარ დავწერე. თვითცენზურა და რამე...

წარმოიდგინეთ, რომ კოტე გაბაშვილი არის დაკონსერვებული ხორცი. წარწერა კონსერვის ქილაზე გვამცნობს, რომ იგი შეიცავს ნიტრატებს, პესტიციდებს, დანამატებს, ემულგატორებსა და ათას საზიზღრობას. მიკროსკოპული ასოებით წერია, მაგრამ თუ კარგად დააკვირდები, იკითხება. წარწერა ასევე გვამცნობს (უფრო მსხვილი შრიფტით), რომ კონსერვს მოხმარების ვადა 1991 წელს გაუვიდა.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# სოროსის მილიარდი დოლარი ორი საიდუმლო კანონპროექტისთვის, რომელიც საქართველოს დაშლის



ნათია აბაშიძე

**პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რეგიონებში ლამის ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო — „ოცნების“ მხარდამჭერები ადგილობრივი ხელისუფლების ოფისებთან ხმაურიან მიტინგებს მართავდნენ და მუნიციპალიტეტის გამგებლებისა თუ სოფლის მმართველების გადაყენებას ითხოვდნენ. ამ აჟიოტაჟს, ცხადია, ოპოზიციაში გადაბარგებული ნაცმოძრაობა თვალს მხოლოდ აქტიურად კი არ ადევნებდა, არამედ ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებსაც აკეთებდა, „ოცნება“ და პირადად, პრემიერი ივანიშვილი ქვეყანაში დიქტატურას ამყარებს და თვითმმართველობაზე იერიშიც ამიტომ მიაქვსო.**

რეგიონებში განვითარებული მოვლენებით საერთაშორისო თანამეგობრობაც დაინტერესდა. მოგვიანებით, თავად ბიძინა ივანიშვილმაც აღიარა, რომ ამ კუთხით ყურადღება მოადუნა...

სხვათა შორის, პირველი „რეგიონული შტურმი“ განხორციელდა თუ არა, ითქვა, რომ „ოცნებისტები“ ნაციონალებმა ააბუნტეს ანუ „ოცნების“ რეგიონულ და რაიონულ შტაბებში ნაცმოძრაობამ არჩევნების წინ თავისი აგენტები ჩანერგა და სწორედ ისინი მოუწოდებდნენ ხალხს, გამგებლებისთვის კარი აეჭედათ.

საერთოდ, აგენტების თემა „ოცნებისთვის“ უცხო არაა — ამას წინათ, უმრავლესობის ლიდერმა, დავით საგანელიძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ კოალიციაში შემავალ სხვადასხვა პარტიაში წინა ხელისუფლების „ნდობით აღჭურვილი“ პირები იყვნენ ჩანერგილნი. ამასთან, საგანელიძემ ძალოვან უწყებებს მიმართა, ამ თემით დაინტერესებულიყვნენ, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ქართული კანონმდებლობით, პოლიტიკური შპიონაჟი არ ისჯება, აგენტების თემა „მოკვდა“...

ასე იყო თუ ისე, რეგიონებში სიტუაცია „განეიტრალდა“, თუმცა არსებული ინფორმაციით, ხელისუფლება, მეტი დემოკრატიულობისთვის, თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონის მიღებას გეგმავს.

„ვერსიის“ წყაროების ცნობით, ამ მიმართულებით უკვე ორი კანონპროექტია შემუშავებული, რომელიც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დღე დღეზე იქნება შეტანილი. კულუარებიდან გამოჟონილი ხმით, ერთ-ერთი კანონმდებლობის ლობისტი რესპუბლიკური პარტიაა, მეორე კი „სოციალ-დემოკრატებმა“ დაწერეს.

მართალია, ეს კანონპროექტები თვალით ჯერ არავის უნახავს, მაგრამ პოლიტიკური წრეებისთვის გარკვეული დეტალები ცნობილია, ამიტომაც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული კანონპროექტიდან რომელიმე კანონის სახეს მიიღებს, ეს ქვეყნის დაქუცმაცების დასაწყისი იქნება.

მაინც რა წერია თვითმმართველობის შესახებ კანონის ვარიანტებში? — როგორც კულუარებში ამბობენ, ერთ-ერთი პროექტის მიხედვით, რომელსაც, თურმე, „რესპუბლიკელები“ ლობირებენ, აღნიშნულია, რომ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი ხუთ, ასე ვთქვათ, ერთეულად უნდა დაიყოს და ყველა ერთეულს თავისი „მამასახლისი“ უნდა ჰყავდეს, რომელიც მოგვიანებით, ქვეყნის სენატის წევრი გახდება — კანონპროექტი, თურმე პარლამენტის შეცვლასაც ითვალისწინებს ანუ საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანად უნდა გადაკეთდეს და ქვედა პალატა სწორედ ზემოხსენებული მამასახლისებით დაკომპლექტდება, რომელთაც სენატორები ერქმევათ.

ყოველივე ზემოთქმულში, ერთი შეხედვით, ცუდი არაფერია, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტების ხუთ ერთეულად დაშლასა და რეგიონული ენების სკანდალს შორის გარკვეული კავშირი არსებობს — იმ შემთხვევაში, თუკი მუნიციპალიტეტები ხუთ ერთეულად მართლაც დაიყოფა, არაქართველებით დასახლებულმა მთელმა რიგმა სოფლებმა, შესაძლოა, მოითხოვონ, ამა თუ იმ ენას რეგიონულის სტატუსი მიენიჭოს.

„ვერსიამ“ ოფიციალურ დონეზე ვერ დაადგინა, ზემოხსენებული დეტალები კანონპროექტში მართლა არსებობს თუ არა, მაგრამ პოლიტიკურ კულუარებში აქცენტს კიდევ ერთ საფრთხეზე აკეთებენ:

თვითმმართველობის ერთ-ერთი კანონპროექტის თანახმად, ყველა სოფელი კერძო სამართლის იურიდიული პირის მსგავს ერთეულად დარეგისტრირდება, რომელსაც ადგილობრივების მიერ არჩეული პირი უხელმძღვანელებს. ამ პირს უფლება ექნება, სოფლის ქონება — მიწა თუ შენობა-ნაგებობები, პრაქტიკულად, ერთპიროვნულად განკარგოს და სურვილის შემთხვევაში, მაგალითად, ბანკში დააგირაოს. ექსპერტები ეჭვობენ, თუ კანონპროექტში მსგავსი დეფინიცია მართლაც არსებობს, ამან ხელი, შეიძლება, „თანამედროვე ფეოდალების“ წარმოქმნას შეუწყოს...

რაც შეეხება პარლამენტის ორპალატიან საკანონმდებლო უწყებად გადაკეთებას, რამდენიმე თვის წინ, „ოცნების“ ცალკეულმა წარმომადგენლებმა სამსჯავროზე გამოიტანეს იდეა, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი მოსახლეობამ პირდაპირი წესით კი არა, პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ამ ინიციატივას საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა.

საერთოდ, საზოგადოების ნაწილი ყველაფერს, რაც „ოცნებას“ ანუ ბიძინა ივანიშვილს უკავშირდება, დადებითად აფასებს და ამის ნათელი მაგალითი ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობაა — არჩევნებამდე ამ მეჩეთის მშენებლობას ლამის მთელი საქართველო აპროტესტებდა, სააკაშვილსა და მის გუნდს კი ეროვნული ფასეულობების შერყვნა-განადგურებაში ამხელდა. სხვათა შორის, სწორედ ამ კონტექსტში, „ოცნებელმა“ მურმან დუმბაძემ, რომელსაც ახლა მაღალი პოლიტიკური თანამდებობა უკავია და პარლამენტის ვიცე-სპიკერია, ერთ-ერთ საარჩევნო შეხვედრაზე „ისტორიული ფრაზა“ წარმოთქვა, თუ „ხუთიანს“ შემოხაზავთ, მარჯვენა გაგიხმებათო. გასაგებია, რომ „ხელის გახმობა“ ხატოვნად ნათქვამი იყო, მაგრამ დღეს, როცა მეჩეთის მშენებლობას მხარს უკვე ახალი ხელისუფლებაც უჭერს, მურმან დუმბაძე და, საერთოდ, ყველა „ოცნებელი“ ეროვნული ფასეულობების შელახვაზე აქცენტს ყასიდადაც აღარ აკეთებს.

მოკლედ, ის, რომ პრეზიდენტი მოსახლეობამ პირდაპირ კი არა, პარლამენტმა უნდა აირჩიოს, „ოცნების“ მხარდამჭერებმა დადებითად შეაფასეს, თუმცა მას შემდეგ, რაც ამ იდეას საერთაშორისო საზოგადოებამ არადემოკრატიული უწოდა, მმართველმა გუნდმა ეს თემა „დააკონსერვა“. როგორც კულუარებში ამბობენ, თუ პარლამენტი ორპალატიანად გადაკეთდება, ზემოხსენებული იდეა კვლავ გააქტიურდება და „ოცნებას“ არადემოკრატიულობაში აღარავინ დასდებს ბრალს, რამეთუ ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს მიერ პრეზიდენტის არჩევა მსოფლიოში, ასე თუ ისე, ცნობილი მეთოდია. ამასთან, თუ პარლამენტის ე.წ. ქვედა პალატაში ყველა სოფლის წარმომადგენელი იქნება, ხელისუფლებას სათქმელი ექნება, პრეზიდენტი ხალხმა აირჩიაო, თან ამდენი არჩევნებით მოსახლეობაც დაღლილია. შესაბამისად, პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევამ, შესაძლოა, პრობლემების გარეშე ჩაიაროს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელზეც კულუარებში ზემოხსენებულ კანონპროექტებზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებენ: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი კანონების დასაფინანსებლად ჯორჯ სოროსმა, თურმე, მილიარდი დოლარი გამოყო. საერთოდ, საქართველოში მოსაზრება — „სოროსი გვებრძვის“ — ერთობ აქტუალურია. ალბათ, სწორედ ამიტომ, რამდენიმე წლის წინ, თემურ ჟორჟოლიანმა, რომელიც 2006 წელს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის ბრალდებით, იგორ გიორგაძის სხვა მომხრეებთან ერთად დააკავეს და რომელმაც საპატიმრო ახლახან დატოვა, სოროსის თეატრალური დაკრძალვის ცერემონიალი მოაწყო.

მართლა ებრძვის თუ არა სოროსი საქართველოს? — ეს, ასე თუ ისე, რიტორიკული კითხვაა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, მაგალითად, უკრაინასა და აზერბაიჯანში ის პერსონა ნონ-გრატადაა გამოცხადებული. ქართველთა ნაწილი, სოროსის მთავარ „მამხილებლად“ იმას მიიჩნევს, რომ 80 წელს გადაცილებული მიზანთროპი ეროვნულობასა და სქესს უარყოფს.

თუ გავყვებით ვერსიას, რომ თვითმმართველობის კანონპროექტები, რომელთაც დღის სინათლე ჯერ არ უნახავთ, ქვეყნის დაქუცმაცებას ემსახურება, მაშინ იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ყველაფერ ამის უკან, მართლაც, სოროსი დგას...

ასეა თუ ისე, ქართულ პოლიტიკაში შეთქმულების თეორია ისევ მოდურ-აქტუალურია...



## სექტემბერში სამხედრო სწავლება „დიდგორი 2013“ ჩატარდება

სექტემბერში, საქართველოში მასშტაბური სამხედრო სწავლების ჩატარება იგეგმება, თავდაცვის სამინისტროს ამერიკელ პარტნიორებთან ერთად. სწავლებას „დიდგორი 2013“ ერქმევა. მისი პირობითი სცენარი საგანგებო მდგომარეობის დროს ყველა სამთავრობო უწყების კოორდინირებულად მუშაობისთვის მომზადებას გულისხმობს. სწავლება მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება და ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლები. დანარჩენი დეტალები, ამ დროისთვის, უცნობია.

***„ინტერპრესნიუსი“***



## რუსთაველი „ოცნებელები“ ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვენ

„ქართული ოცნების“ რუსთავის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა პრემიერ-მინისტრის ბიზნეს-ცენტრთან აქცია გამართეს და ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა მოითხოვეს.

აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ მათ ორგანიზაციაში ვითარება გაურკვეველია, პარტიაში ძველ თანაგუნდელებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ და მათ ადგილას ახალი კადრები მოჰყავთ, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა არ იცნობს.

***„მედიანიუსი“***



## არჩილ კბილაშვილი არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს ომზე დაიკითხოს

მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებას ჰააგის სასამართლოს პროკურატურის ოფისის წარმომადგენლები ითხოვენ, რომლებიც ამ დღეებში საქართველოს სტუმრობდნენ.

**„აქამდე, წინა ხელისუფლება ეწეოდა ე.წ. რეზინის გაწელვის პოლიტიკას, ანუ გამოძიება ტარდებოდა გამოძიებისთვის და 4 წლის განმავლობაში არანაირი შედეგი არ დამდგარა. ჩვენს წინაშე იყო კონკრეტული საკითხი, კერძოდ: აპირებს თუ არა საქართველოს ახალი ხელისუფლება, ჯეროვნად შეაფასოს, შეისწავლოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და უპასუხოს კითხვას, ჰქონდა თუ არა ადგილი ომის დანაშაულს. ახალმა ხელისუფლებამ და მისმა თავმჯდომარემ პოლიტიკური ნება გამოხატა, ეს საკითხი ობიექტურად იქნება გამოძიებული. ამისთვის ჩვენ უნდა შევქმნათ საგამოძიებო ჯგუფი და შევუდგეთ გამოძიებას. ეს თემა, ვარაუდის დონეზე, არ გამორიცხავს ვინმეს და, მათ შორის, პრეზიდენტის დაკითხვასაც“,** — განაცხადა კბილაშვილმა.

***„მედიანიუსი“***

*მე-2 გვერდიდან*

ამან კიდევ, თანამდებობიდან წასვლის მიზეზი ქვეყნის საგარეო კურსიაო და 19 აპრილის აქციაში მონაწილეობას მივიღებო... აი, შენ კი მოგხვდა არმაგედონის ზანგის, გოკა!!!

დარწმუნებული ვარ, ხალხი ვადაგასულ კონსერვს პირს აღარ დააკარებს, აგერ, ვადაგასული ხორცის სხვა კონსერვიც გვაქვს და აღარავინ ჭამს. ოქტომბრამდე თაროზე ეგდოსო — ამბობს ხალხი. საქონლის ხორცის ამბავში, გემოვნება აშკარად დაიხვეწა. რა ხდება თევზთან მიმართებაში? შეგვიძლია, ვიმსჯელოთ ქინძმარში ჩადებული ლოქოს მაგალითზე. დავიწყოთ ნიუსის სათაურით — „გრიგოლ ვაშაძემ რუსეთის კულტურის მინისტრისადმი მიწერილ წერილზე კომენტარი გააკეთა“.

მოკლედ, აგვისტოს ომიდან სამ თვეში, კულტურის მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს თავისი რუსი კოლეგისთვის მიუწერია, თათრებს ჩამოგიყვან, „ერისიონს“ ვაცეკვებ, მხატვრებს გამოვფენ და ვიყოთ ასე, ვიჭუკჭუკოთ, რა გვაქვს გასაყოფიო. წერილი გია ხუხაშვილმა გამოამზეურა, ვაშაძე კი, ნაცვლად იმისა, რომ ახსნას, რატომ იყო რუსებთან წაკუზული, აქეთ იმუქრება, საიდუმლო წერილი იყო, რატომ გამოამზეურეთ, დაგსჯითო.

# ორი კურდღელი სამადაშვილისთვის

ეგეთ წერილებს კიდევ ბევრს ვნახავთ, ეგეთ ამბებს კიდევ ბევრს გავიგებ, მაგრამ არ მგონია, სადმე, დედამიწის ზურგზე, ოკუპირებული ქვეყნის მინისტრი ოკუპანტი ქვეყნის პასპორტს რომ დაკანკალებდეს. ჩემი აზრით, ვაშაძე არის უდიდესი ბრიყვი და ლოქოსთან ბოდიში მომიხდია. იმ კერძში, ლოქო ქინძმარში, გრიგოლ ვაშაძე ერთ-ერთი აუცილებელი ინგრედიენტია, მაგრამ იგი არც ლოქოა და არც ძმარი.

თუ რუსეთის დაზვერვაში სულ ეგეთი ქინძები არიან, კარგად ყოფილა მაგათი საქმე!!! ეგენი გვებრძვიან?!

„თამბაქოსთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა — ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ განაცხადა“ — ასეთი თავზარდამცემი ნიუსი გავრცელდა გასულ კვირას. ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი ან რომელიმე ეგეთი კვერცხი რომ იყოს, ნიუსი სულაც არ იქნებოდა თავზარდამცემი, მაგრამ სერგეენკო სხვა თემაა, სერგეენკო სერიოზული მოწინააღმდეგეა. რა ვქნა, შიმშილობა გამოვაცხადო (ბავშვს ბატონები აქვს, არ ვსვამ და ბარემ კვებასაც შევწყვეტ)... თუ სერგეენკოს კარი ავუჭედო და ამით მთელ მწეველ საქართველოს მაგალითი მივცე? ეგ რომ ვქნა, იტყვიან ენჯეოშნიკიაო და ასეთ შეურაცხყოფას ისევ მოწევისთვის თავის დანებება სჯობდეს. გამიჩინეს საფიქრალი. ენჯეოშნიკისა და უსაქმურის დაძახებას არავის ვაპატიებ და არც მოწევას შევეშვები. რაღაცას მოვიფიქრებ.

ისევ დავარტყი ღრმა ანუ გლუბოკი ნაფაზი — როგორც ჩვენში იტყვიან, და ისევ გამიჩნდა განცდა, რომ ამოვიოხრე. რა გინდა, ქნა? ვის უნდა ენდო — პოლიციელებსა თუ უფლებადამცველებს? მე პოლიციელებს არ ვენდობი, უფლებადამცველებს კი ვინ ენდობა, მე რომ ვენდო? მესამე გზაა, გავერიდო ყველაფერს და გავხდე განდეგილი ანუ თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ — მარგინალი. მოვშორდები ამა სოფლის ჭრელ ამაოებას ანუ ეკლექტურ რეალობას და ვიქნები ასე... არჩევანის ანუ დილემის წინაშე ვდგავარ.

„შსს აქცენტს აკეთებს მხოლოდ საია-ს მძღოლის ნასვამ მდგომარეობაში ყოფნაზე და არაფერს ამბობს უწყების მაღალჩინოსნის ქმედებაზე. მე ვესაუბრე ჩვენი ორგანიზაციის მძღოლს და როგორც მან განაცხადა, გუშინ ნამდვილად დალია მშობლის დაბადების დღეზე, თუმცა აღნიშნა, რომ დღეს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არ ყოფილა. სულ რომ ნასვამი ყოფილიყო, ერთია მის მიერ ჩადენილი ეს დანაშაული და მეორეა თელიას ქმედება. მათი საქციელი თანაზომადი ნამდვილად არაა, ამიტომაც მოვუწოდებთ შსს-ს, მისი სისტემის მაღალჩინოსნის ქმედებითაც დაინტერესდეს და გამოძიება ობიექტურად აწარმოოს“, — აღნიშნა საია-ს ხელმძღვანელმა, კახა კოჟორიძემ — ეს იყო ნაწყვეტი ერთ-ერთი, იმ მრავალრიცხოვანთაგანი ნიუსიდან, რომელიც ეხებოდა საია-ს გადამწყვეტ ბრძოლას სამართლიანობისთვის.

„ბოლოს ხელი მიჯიკა და რომ გაიარა ორი სამი ნაბიჯი, მობრუნდა და სიგარეტის ნამწვი მესროლა. შემდეგ პოლიცია მოვიდა. მე არ ვიცოდი, საერთოდ, ვინ იყო“, — აღნიშნა როინ ფარტენაძემ. როგორც ფარტენაძე აცხადებს, ალკოჰოლი დღეს არ მიუღია და ექსპერტიზაზე შემოწმდება. „ნასვამი არ ვარ, ახლა მივდივარ ექსპერტიზაზე. გუშინ დავლიე, დაახლოებით 02:00 საათამდე ვსვამდი და ალბათ, ამიტომ აჩვენა ალკოტესტმა“, — აღნიშნა ფარტენაძემ“ — ეს მეორე ნიუსიდან იყო.

მდააა... გასულ კვირაში, მობილურზე საუბრის გამო 10-ლარიანი ჯარიმა დამიწერეს. არადა, ნამდვილად არ ვსაუბრობდი. უბრალოდ, ტელეფონი ყურზე მქონდა მიდებული, მეორე ხელში სიგარეტი მეჭირა, გაწეული ლუკიდან ღრუბლებს ვათვალიერებდი, ერთი ფეხი გაზზე მედგა, მეორე ფეხი ტორპედოზე მქონდა შემოდებული. არ ვლაპარაკობდი, უბრალოდ — ვუსმენდი.

მაინც დამიწერეს ჯარიმა. უნდა მეჩხუბა, მერე — პოლიციელი ანთებულ სიგარეტს მესროდა, მე ვიქნებოდი მსხვერპლი, მაგრამ იმასაც იტყოდნენ, უსაქმური ენჯეოშნიკიაო. მერე, იქნებ პარლამენტშიც შემეღწია, მექნებოდა პრემია, ხელფასი, მანქანა, კაბინეტი, პაეზდკები...

და ჯიგრულად მოვწევდი სიგარეტს, ასე კი არა, გლუბოკი ნაფაზს რომ დაარტყამ და რომ ხვდები, რომ მძიმედ, მძიმედ ამოიოხრე...

მაინც ასე მირჩევნია. წეღან ვიხუმრე. დღეს პირველი აპრილია.

**დ.პ.ა. (დღეს პირველი აპრილია) 1992 წელს ამერიკის ეროვნულმა საჯარო რადიომ გადაცემაში „ხალხის საუბარი“ გამოაცხადა, რომ რიჩარდ ნიქსონი კვლავ აპირებდა საპრეზიდენტო კანდიდატურად საკუთარი თავის წამოყენებას. მისი კამპანიის ახალი სლოგანი უნდა ყოფილიყო „მე არაფერი დამიშავებია და არც მომავალში დავაშავებ“. ამ განცხადებას მოყვა აუდიოჩანაწერი, სადაც ნიქსონი საპრეზიდენტო სიტყვით გამოდიოდა. მსმენელებმა სხვადასხვაგვარად მიიღეს ეს სიახლე. მათი უმრავლესობა რადიოს პირდაპირ ეთერში აღშფოთებისა და შოკის გამოსახატად რეკავდა. წამყვანმა ჯონ ჰოკენბერიმ კი შოუს მხოლოდ მეორე ნაწილში აღიარა, რომ ყველაფერი ხუმრობა იყო. რიჩარდ ნიქსონის ხმის პაროდიას კი კომიკოსი რიჩ ლითლი აკეთებდა.**

*(კორესპონდენტის უბის წიგნაკიდან)*

# ბრძოლა ნაძალადევისთვის



## იძებნება თეა წულუკიანის „ზამენა“ — ვის რა შანსი აქვს შუალედურ არჩევნებში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**27 აპრილს სამ საარჩევნო ოლქში — ნაძალადევში, ბაღდათსა და სამტრედიაში შუალედური არჩევნები ჩატარდება. მაჟორიტარობის კანდიდატთა დარეგისტრირების ვადა 28 მარტს ამოიწურა. ნაძალადევის №9 საარჩევნო ოლქს 132 021 ანუ ყველაზე მრავალრიცხოვანი ამომრჩეველი ჰყავს, ბაღდათის №52 ოლქში არჩევნებზე, წესით, 23 380 ადამიანი უნდა გამოცხადდეს, სამტრედიის №54 ოლქში კი — 48 161.**

საინტერესოა, რომ ამ დროისთვის, ცესკო-ში შუალედური არჩევნებისთვის აკრედიტებული მედიასაშუალება მხოლოდ ტელეკომპანია „მეცხრე არხია“ — როგორც ჩანს, „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ შეცდომებზე ისწავლა და „მედიათადარიგი“ სხვებზე ადრე დაიჭირა. შუალედურ არჩევნებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი დააკვირდება. ადგილობრივი ორგანიზაციებიდან კი დამკვირვებლებად, რბილად რომ ვთქვათ, ივანიშვილის ხელისუფლებისადმი სიმპათიით განმსჭვალული სამი არასამთავრობო ორგანიზაციაა დარეგისტრირებული — „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების ცენტრი“, „საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი“.

რაც შეეხება შუალედური არჩევნებისადმი პარტიების დამოკიდებულებას, ზოგიერთ პოლიტიკურ გაერთიანებას მაჟორიტარობის კანდიდატი არც ერთ საარჩევნო ოლქში არ ჰყავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცესკო-ში არჩევნებში მონაწილეობაზე განაცხადი მაინც შეიტანა. „უკანდიდატო“ პარტიებიდან აღსანიშნავია, ახალი მემარჯვენეები, ჯონდი ბაღათურიას „ქართული დასი“. შუალედურ არჩევნებში მონაწილე პარტიათა ჩამონათვალი ასეთია: ედპ, მერაბ კოსტავას საზოგადოება, საქართველოს მშრომელთა საბჭო, თავისუფლება — ზვიად გამსახურდიას გზა, შალვა ნათელაშვილი — საქართველოს ლეიბორისტული პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება, კახა კუკავა — თავისუფალი საქართველო, სამართლიანი საქართველოსთვის, ახალი მემარჯვენეები, ქართული დასი...

რაც შეეხება მაჟორიტარობის მსურველებს, ბაღდათისა და სამტრედიის ოლქებში „ოცნებისა“ და ნაციონალების მხრიდან ამომრჩეველთა გულისმოგებას არცთუ ცნობილი სახეები შეეცდებიან: ნაციონალებიდან — ვლადიმერ წიქორიძე, „ოცნებიდან“ კი — პაატა კიკნაველიძე.

ბაღდათის მაჟორიტარობისთვის ასევე იბრძვიან: ზურაბ მსხვილიძე და რომან რობაქიძე საინიციატივო ჯგუფებიდან, ედპ-დან — დათო შარაბიძე, საქართველოს მშრომელთა საბჭოდან — არჩილ იოსელიანი, თავისუფლება — ზვიად გამსახურდიას გზიდან — ლაშა თამაზაშვილი იყრის კენჭს, პარტიიდან სამართლიანი საქართველოსთვის — პაატა ბაკურაძე.

რაც შეეხება სამტრედიას, პოპულარულ ლიდერთა ცვენა არც აქაა: საქართველოს მშრომელთა საბჭო ამომრჩეველს მორისონ ქობულიას კანდიდატურას სთავაზობს, ნაციონალები ფსონს ემზარ შუბლაძეზე დებენ, „ოცნება“ — გიორგი კახიანზე, თავისუფლება — ზვიად გამსახურდიას გზა — ბადრი გოგელაშვილზე, სამართლიანი საქართველოსთვის კი — გოჩა ბაძგარაძეზე.

სამტრედიისა და ბაღდათისგან განსხვავებით, ნაძალადევის საარჩევნო ოლქში ნამდვილად ვარსკვლავთცვენაა, სადაც ერთმანეთს 11 კანდიდატი შეეჯიბრება: ზვიად ჩიტიშვილი და ზურაბ ქადაგიძე საინიციატივო ჯგუფებიდან, გიორგი ლილუაშვილი, გია ნემსაძე, ზაზა მეზვრიშვილი, ხვიჩა ასანიძე — სხვადასხვა პარტიიდან.

რაც შეეხება პოპულარულ კანდიდატებს, ესენი არიან: სოსო მანჯავიძე, (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) რომელსაც საზოგადოება წინააღმდეგობის მოძრაობიდან იცნობს, „ლეიბორისტი“ გიორგი გუგავა, რომელიც შალვა ნათელაშვილის დაშლილ პარტიას უკანასკნელ ერთგულ წევრად შემორჩა, ნაციონალი მირზა (პაპუნა) დავითაია, რომელიც წინა ხელისუფლების დროს დიასპორის მინისტრი გახლდათ, თუმცა სხვა ნაციონალების მსგავსად, საზოგადოების აგრესიის ობიექტი არასოდეს ყოფილა. ნაძალადევის მაჟორიტარობისთვის ასევე იბრძვიან — „ოცნებიდან“ თამარ კორძაია, „რესპუბლიკელებთან“ ასოცირებული იურისტი და თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა.

წინასწარი განწყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ოცნებას“ საქმე მთლად გულხელდასაკრეფად არ უნდა ჰქონდეს — ჯერ ერთი, ოპონენტები თამარ კორძაიას მთავარ მინუსად მის „რესპუბლიკელობას“ მიიჩნევენ, თან ნაძალადევის მაჟორიტარულ არჩევნებში გაბრაზებული „ლეიბორისტებიც“ მონაწილეობენ და კახა კუკავაც, ნაციონალების არცთუ სუსტ კანდიდატზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია: რამდენიმეათასკაციან „ფეისბუქგამოკითხვაში“, რაც უნდა საოცარი იყოს, „ოცნებისა“ და ნაციონალების კანდიდატებს რეიტინგით კახა კუკავა უსწრებს. დავითაია-კორძაიას რეიტინგი კი, ერთმანეთისგან სულ რამდენიმე ხმით განსხვავდება. ისე, არც „ლეიბორისტების“ სარფიანად ვაჭრობის უნარი უნდა დაგვავიწყდეს და არც ის, რომ კუკავა თითქმის ყველა არჩევნებში მონაწილეობს, მაგრამ ბოლოს წინა ან ბოლო დღეს საკუთარ კანდიდატურას, როგორც წესი, ხსნის ხოლმე. ასე რომ, აპრილის ბოლოს, შესაძლოა, ზემოხსენებული 11 კანდიდატიდან სამი ან ოთხიღა დარჩეს.

გამარჯვების ვის რა შანსი აქვს შუალედურ არჩევნებში, განსაკუთრებით, ნაძალადევის ოლქში? — ამის შესახებ „ვერსიისთვის“ ანალიზს საარჩევნო საკითხების ექსპერტი **კახი კახიშვილი** აკეთებს:

**„საარჩევნო ბარიერი არ შეცვლილა, სიებიც იგივეა, რომელზეც პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე თავად „ოცნება“ ამბობდა, გაბერილიაო. ასეთ ვითარებაში, 30%-იანი ბარიერი ყოველთვის სახელისუფლო კანდიდატს ეხმარება, მაგრამ ამ არჩევნებში შს სამინისტრო, პროკურატურა და ცენტრალური მთავრობა, ჩემი აზრით, არ ჩაერევა. ამიტომ კანდიდატებს სრულყოფილი საარჩევნო კამპანიის წარმოების შანსი აქვთ. ამ არჩევნების შედეგები მხოლოდ იმას არ ემსახურება, ვინმე პირველ ადგილზე გავიდეს — ნაციონალური მოძრაობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ მაჟორიტარულ ოლქებში ამ არჩევნებს ვერ მოიგებს, მიუხედავად იმისა, რომ პაპუნა დავითაიასადმი მოსახლეობის განწყობა, მართლაც, არაა რადიკალური. ნაციონალებისთვის მთავარი, მეორე ადგილზე გასვლაა. სხვათა შორის, ნაციონალები საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასაც იმიტომ მიიღებენ, რომ მეორე ადგილი დააფიქსირონ და ყველას აჩვენონ, ნაციონალური მოძრაობა საქართველოში, მხარდამჭერთა ოდენობით, მეორე პარტიააო. აქედან გამომდინარე, დანარჩენი ოპოზიციური პარტიების ამოცანა მხოლოდ ის კი არ უნდა იყოს, ტელევიზორში მოხვდნენ და რამდენიმე დღით საზოგადოების ყურადღება მიიქციონ, არამედ, ნაციონალებს მეორე ადგილი არ დააფიქსირებინონ, რადგან ეს სახიფათოა — ოპოზიციური ელექტორატის ხმების გახლეჩით, ნაციონალურმა მოძრაობამ მეორე ადგილზე გასვლა, შესაძლოა, მართლაც მოახერხოს, რაც ძალიან ცუდი იქნება შემდგომი პოლიტიკური პროცესებისთვის... ამიტომ მეტ-ნაკლებად ცნობად და გამოცდილ ოპოზიციონერ კანდიდატებს ვურჩევ, შიდა პრაიმერი ჩაატარონ და ლიდერი გამოკვეთონ, რათა ნაციონალებს მანიპულაციის შანსი არ მისცენ.**

**პირველი ოქტომბრის მერე, „ოცნების“ რეიტინგი შედარებით დაეცა. ამასთან, ბევრი ადამიანი „ოცნებას“, როგორც პარტიას, შესაძლოა, მხარს უჭერს, მაგრამ არა მის კანდიდატ კორძაიას, ამიტომ, რა მოხდება ნაძალადევში, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ 30%-იანი ბარიერის პირობებში, ხმები რომც გაიყოს, სახელისუფლო კანდიდატს მაინც ყველაზე მეტი შანსი აქვს“.**

ეკა სეხნიაშვილი

# დიმიტრი შაშკინი „ოცნებას" ორი საფლავის გათხრას ურჩევს

**გულახდილი ინტერვიუ ყოფილ მინისტრთან — ასე ვუწოდებდი ჩემს საუბარს სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთ ყოფილ მაღალჩინოსანთან, რომელიც აშშ-დან ახლახან დაბრუნდა. დიმიტრი შაშკინი, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლებაში სასჯელაღსრულების, განათლებისა და თავდაცვის მინისტრის პოსტები ეკავა, აქტიურ პოლიტიკაში რჩება და „ვერსიასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში, საკუთარ შეცდომებსა და მიღწევებზე ღიად საუბრობს.**



თემები, რომლებზეც სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას დღემდე ხმამაღლა არ ულაპარაკია

**— ბატონო დიმიტრი, საქართველოში თქვენს დაბრუნებასთან დაკავშირებით, არაერთი ვერსია არსებობს. ამბობენ, აშშ-ში ვიზიტით მყოფ თეა წულუკიანს შეხვდით და მისგან ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღეთ.**

— არა, ეს სინამდვილეს არ შეეფერება. არჩევნებიდან მალევე, აშშ-ში წასვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ იყო გადაღლილობა, ჯანმრთელობის საკითხები, ამას დაემატა ოჯახის უსაფრთხოების პრობლემები. ამ 5 თვის განმავლობაში, აშშ-ში ყოფნისას, ვნახე და გავაცნობიერე, რომ ძალიან მიჭირს საქართველოს გარეშე ცხოვრება. ამასთან, დავაფიქსირე, რომ საქართველო დგას საშიშროების წინაშე, დასავლეთის ინტერესისა და ყურადღების რადარიდან გაქრეს. არის ასეთი პიროვნება — მინიკი, ეუთო-ში ამერიკის ყოფილი ელჩი, რომელიც საქართველოში 2008 წელს იყო ჩამოსული და რომელმაც მკითხა, იცით, საქართველოს მთავარი პრობლემა რა არისო? ვუპასუხე, ოკუპირებული ტერიტორიები-მეთქი. არა, ეს იმ პრობლემის შედეგია, რასაც თქვენნაირი პატარა ქვეყანა განიცდის და ეს დიდი ქვეყნების მხრიდან ყურადღების პრობლემააო, მომიგო. ამ ეტაპზე, დასავლეთის მხარდაჭერის დაკარგვა არ გვემუქრება, თუმცა ჩვენზე საუბარი ეტაპობრივად ნელდება. ბოლო წლებში ბრენდი ქვეყანა ვიყავით, ვინც რაც უნდა თქვას, ეს რეალობაა და ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ეს ტემპი გაგრძელდეს.

**— ისე, დღევანდელი ხელისუფლება არ ფიქრობს, რომ ბრენდი ქვეყანა ვართ... ჩემი ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, სამართალდამცავებმა დაგკითხეს. რა საკითხზე გესაუბრნენ?**

— რამდენიმე დღის წინ, სამხედრო პოლიციამ, მართლაც, დამკითხა. საკითხი შეეხებოდა სამხედრო თემას, რომელსაც გრიფით „საიდუმლო" ადევს და, შესაბამისად, დეტალებზე ვერაფერს გეტყვით.

**— გაჩნდა ვერსია, რომ თქვენი ჩვენების საფუძველზე, თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას, შესაძლოა, ბრალი დაუმძიმდეს...**

— არანაირად, ამაზე საუბარი არც ყოფილა. საქმე აბსოლუტურად სხვა რამეს, ერთ-ერთ საიდუმლო ოპერაციას ეხება.

**— ლაფანყურის სპეცოპერაციაზე ხომ არაა საუბარი?**

— არა... საქმე ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეების თანამშრომლობას ჩვენს ქვეყანასთან და ძალიან მნიშვნელოვანია, ამ ადამიანების უსაფრთხოება დაცული იყოს. მათმა გამჟღავნებამ, შესაძლოა, ფიზიკური ლიკვიდაცია გამოიწვიოს.

**— ბატონო დიმიტრი, თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა განაცხადეს, ყაზარმები ცუდ მდგომარეობაშია და თავდაცვის ძველი მინისტრები მხოლოდ კაბინეტებისა და პირადი მოხმარების მანქანების კეთილმოწყობაზე იყვნენ გადასულებიო. არადა, წლების განმავლობაში ვიცოდით, რომ ქართული ჯარი ფინანსდებოდა და სათანადოდაც იყო აღჭურვილი. ახალაიას დროს შეძენილი მანქანები ხომ თქვენ გადმოგეცათ?**

— ახალაიას დროს შეძენილი მანქანები ჩემამდე არ მოსულა. იყო ნორმალური პრაქტიკა — როდესაც მინისტრი გადადიოდა სხვა სამინისტროში, დამატებითი ხარჯები რომ არ გაეწია, გადაჰქონდა მანქანა, კომპიუტერი, იარაღი და ა.შ. იმ მანქანებით, რაც აჩვენეს, არ მისარგებლია. მყავდა იგივე მანქანა, რაც განათლების სამინისტროში მუშაობისას. ამ მანქანით, თუ არ ვცდები, ახლა მინისტრის მრჩეველი დადის. თავდაცვის მინისტრი სამი თვის განმავლობაში ვიყავი. აგვისტოს ბოლოს დავასრულე ყველა ყაზარმისა და თავდაცვის ობიექტის შემოვლა. ჩემთვის, როგორც განათლების სამინისტროდან გადასული მინისტრისთვის, დიდი სიურპრიზი იყო, რამხელა ინფრასტრუქტურის მომცველი ყოფილა თავდაცვის სისტემა. ნურავის ჰგონია, რომ საქართველოს თავდაცვა მხოლოდ 6 ან 10 ობიექტისგან შედგება. მეორე ობიექტური ფაქტორი, რაც უნდა გვესმოდეს, ისაა, რომ 2008 წელს საქართველომ გადაიტანა ომი. რუსეთის ჯარმა სადაც გაიარა, გადაწვა ან ააფეთქა, გაძარცვა, უნიტაზებს იპარავდა, სხვანაირად რომ ვერ აფუჭებდა, კანალიზაციებში ბეტონს ასხამდა. 2008 წლის შემდეგ, პრაქტიკულად, ნულიდან დავიწყეთ ამ ინფრასტრუქტურის აშენება, ვერ დავიბრალებ, რომ მე გავაკეთე... ის კადრები, რომელიც თავდაცვის ახალმა მინისტრმა აჩვენა, მარნეულის ან ბოლნისის საპარაშუტო სკოლის, ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა, რადგან ვიცოდი მათი მდგომარეობის შესახებ, თუმცა მე, როგორც მინისტრს, უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები მქონდა. ბოლნისის საპარაშუტო სკოლას, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანი გამოიყენებს, ძალიან დიდ პატივს ვცემდი, თუმცა როდესაც ჩვენ გვაქვს პირველი ბრიგადა, რომელიც გაფანტულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თავდაცვითი ინფრასტრუქტურის გადაადგილების გამო, მისი მშენებლობა ბევრად უფრო დიდი პრიორიტეტია და ჯერ უფრო მნიშვნელოვანისთვის უნდა მიგვეხედა. მათემატიკა ძალიან მიყვარს, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 100-მილიარდიანი არაა, რომ ყველაფერს მოხმარდეს, ამიტომაც მინისტრი უფრო მნიშვნელოვან პრიორიტეტებს სახავს. ჩემი პრიორიტეტი ვარკეთილის სამხედრო ქალაქის მშენებლობა იყო, რომელიც დავამთავრეთ. ჩემი გეგმით, დარჩენილი სამხედრო მოსამსახურეები მაისში სრულად მიიღებდნენ საცხოვრებლებს. 1 000 ბინა გადავეცით და 2000 კიდევ უნდა ჩაგვებარებინა. ჩემთვის, ასევე, პრიორიტეტი იყო, პირველი ბრიგადის მშენებლობა დამესრულებინა. პრიორიტეტი იყო თბილისის გარშემო თავდაცვის წრის შეკვრა. არ ვიცი, ეს პროექტი გრძელდება თუ არა, მაგრამ თბილისის გარშემო ბევრი საიდუმლო ობიექტი აშენდა, რომელსაც შეუძლია, თბილისი რუსეთის ინტერვენციისგან დაიცვას.

**— მიუხედავად ამისა, ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ თავდაცვისთვის გამოყოფილი ფული არასათანადოდ იხარჯებოდა...**

— გულახდილად გეტყვით, რომ დღევანდელი ხელისუფლებისგან თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით, პოლიტიკური სპეკულაცია არ უნდა ხდებოდეს, თუნდაც ერთი მიზეზის გამო — რუსეთში დღესაც არაფერი შეცვლილა. როცა თავდაცვის სამინისტროზე ვსაუბრობთ, ჩვენს ხალხსა და ხელისუფლებასაც უნდა ახსოვდეს, რომ რუსეთი, როგორც მტერი, არ გამქრალა და აფხაზეთი და ოსეთი ოკუპირებული აქვს, ჩვენი მტერია. სანამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმ ქვეყნის საელჩოა გახსნილი, რომელსაც შენი ტერიტორიის ერთი მესამედი აქვს ოკუპირებული, უნდათ მითხრან, რომ ის ჩვენი მეგობარია? ასეთ შემთხვევაში, უსაფრთხოების ორი გარანტორი გვყავს: აშშ-ს, ნატო-სა და ევროკავშირის მხარდაჭერა და ჩვენი შეიარაღებული ძალები. რუსეთის შემაკავებელი სხვა ფაქტორი არ არსებობს. ვიღაცამ შესაძლოა, თქვას, ჩვენი ჯარით რუსეთისას არ უნდა შევედაროთ, თუმცა გარწმუნებთ — რომ არა ჩვენი შეიარაღებული ძალები, რუსეთი თბილისს 2008-ში აუცილებლად აიღებდა.

**— ბატონო დიმიტრი, ახალი ხელისუფლება სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობასაც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს. როცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი იყავით, ის ადამიანები, რომლებიც „ციხის კადრებში" ვიხილეთ, სისტემაში მუშაობდნენ?**

— სიმართლე გითხრათ, სხვა პირები არ მახსოვს, ჭაკუა კი, დანამდვილებით ვიცი, იყო. რაც შეეხება სტრუქტურას, სკოლების მაგალითზე გეტყვით, შეიძლება, ბევრი სკოლა გაჩვენოთ, რომელიც რთულ მდგომარეობაშია და ამით უნდა ვთქვათ, რომ განათლების სისტემაში არაფერი კეთდებოდა? ჩემი მინისტრობისას, საქართველოში 2 200 სკოლა იყო, აქედან ერთი მესამედი — გარემონტებული, ორი მესამედი კი რეაბილიტაციას ითხოვდა. პოლიტიკური ნება არსებობდა, მაგრამ სრული რემონტისთვის 1 მილიარდი ლარი იყო საჭირო. განათლების სამინისტროს სრული ბიუჯეტი კი, მასწავლებლების ხელფასებიან ვაუჩერებიანად, 600 მილიონი გახლდათ. იგივე შემიძლია ვთქვა სასჯელღასრულების სამინისტროზეც. ჩემი მინისტრობისას დაიწყო ქსნისა და რუსთავის ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების მშენებლობა...

სასჯელაღსრულების მინისტრი 2009 წელს თებერვლიდან დეკემბრამდე, რვა თვის განმავლობაში ვიყავი.

**თუ ვინმეს აქვს ფაქტები ან რამე მტკიცებულებები, რომ ჩემი მინისტრობის დროს პატიმრების წამება ხდებოდა, ამაზე პასუხს ვაგებ, მაგრამ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპციაც. არ ვარ ვალდებული, ვამტკიცო, რომ უდანაშაულო ვარ. თუ ვინმე მიიჩნევს, რომ რამე დანაშაული ჩავიდინე, ეს უნდა დამიმტკიცოს. არავისგან მსმენია, რომ 2009 წელს იყო წამების ფაქტები და არც იმ ჩანაწერებში ყოფილა 2009 წლის ფაქტები.**

მაშინ სახალხო დამცველი სოზარ სუბარი გახლდათ, შეგიძლიათ, ამოიღოთ მისი დასკვნები და წაიკითხოთ. სუბარი ჩვენდამი დიდი სიყვარულით არასოდეს გამოირჩეოდა და მისი დასკვნები, შესაბამისად, არაა მიკერძოებული. ამავე წლებში, გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ჯგუფების მონიტორინგიც იყო, რომლის მიხედვითაც, ციხეებში სიკვდილიანობა 30 პროცენტით იყო შემცირებული. ჩვენი პრობლემა ციხეების გადატვირთულობა გახლდათ, რომლის ერთადერთი ალტერნატივა ციხის კარის გახსნა და ხალხის გამოშვება იყო, რასაც ჩვენ არ დავუშვებდით.

რაც შეეხება გამოძიებასთან თანამშრომლობას. როგორც ყველა მოქალაქეს, შემიძლია ვუპასუხო ნებისმიერ კითხვას, როგორც კი ამის სურვილს გამოთქვამს რომელიმე უწყება, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მე არ უნდა ვიწყებდე მტკიცებას, რომ დამნაშავე არ ვარ!

**— ბატონო დიმიტრი, სასჯელაღსრულებისა და, განსაკუთრებით, თავდაცვის მინისტრობისას, მაშინდელი ოპოზიცია ინტენსიურად საუბრობდა, რომ ფიქტიური მინისტრი იყავით და სიტუაციას, რეალურად, ბაჩო ახალაია მართავდა...**

— ეს ჩვენზე არსებული სტერეოტიპების კიდევ ერთი მცდარი მაგალითი იყო. 2009 წელს, აღდგომის ღამეს, ქალთა კოლონიაში ბუნტი მოხდა. მაშინდელი სახალხო დამცველი, სოზარ სუბარი მოვლენების ეპიცენტრში იყო და შეგიძლიათ, მას ჰკითხოთ, ვინ ხელმძღვანელობდა ოპერაციას, ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს და ა.შ.

**— ამ დროს ჭაკუა იყო ხომ სამინისტროში?**

— კი, დეპარტამენტის უფროსი იყო. 2009 წელს, როცა მინისტრად ვმუშაობდი, დავით ჭაკუასთან პრეტენზია არ მქონდა. დათომ სერიოზულად იმუშავა ქალთა კოლონიის ბუნტის დროს ისევე, როგორც სპეცდანიშნულების რაზმებმა და პატიმარ ქალბატონებს ხელიც არ გაკაწვრია, თან წარმოიდგინეთ, რომ ეს ორთაჭალის, კამერებიანი დაწესებულება არ გახლავთ, რომ საკანში შეიყვანო და ვთქვათ, რომელიმე ბუნტისთავის იზოლაცია მოახდინო. პატიმარმა ქალებმა გაძარცვეს აფთიაქი, ბავშვები მძევლად აიყვანეს... ამ დროს მიმდინარეობდა პოლიტიკური აქციები და მაშინდელი პოლიტიკური ლიდერების ნაწილი სპეცდანიშნულების რაზმებს ელოდა, რათა შეხლა-შემოხლა და პროვოკაცია მოეხდინა. მივიღეთ გადაწყვეტილება და სპეცრაზმი შემოვიდა მტკვრიდან. დათო ჩემთან ერთად ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას და არ ვიქნები საკუთარ თავთან მართალი, ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარებას ხაზი რომ არ გავუსვა.

*დასასრული მე-8 გვერდზე*



## საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი სარეაბილიტაციოდ ფინეთში გაემგზავრა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მორიგი სარეაბილიტაციო კურსის ჩასატარებლად ფინეთში გაემგზავრა. გამგზავრებამდე, პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში წირვა აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ კი მრევლი დალოცა და სთხოვა, მათაც ელოცათ მისი ჯანმრთელობისთვის.

**„ექიმების რეკომენდაციით, ორი კვირით მივდივარ ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში და იქ ყურადღებას მომაქცევენ ექიმები. ღვთის მადლითა და თქვენი ლოცვით, მშვიდობით დავბრუნდები. იმედი მაქვს თქვენი ლოცვის“,** — ბრძანა პატრიარქმა და სამშობლოს სიყვარულზე, მამულთან, კულტურასა და სარწმუნოებასთან კავშირის აუცილებლობაზე იქადაგა. მისი თქმით, სამშობლო არ არის მარტო ცა და ქვეყანა, ყოველი ჩვენგანი მისი ნაწილი ვართ და ფიქრით ყოველთვის სამშობლოს სამსახურში უნდა ვიდგეთ. პატრიარქმა ისიც აღნიშნა, თუ რაოდენ გასაკვირია მისთვის, როდესაც თანამემამულეები ხშირად სამშობლოზე მეტად, თანამდებობაზე, შემოსავალსა და პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ. განსაკუთრებით, ქართველ პოლიტიკოსებსა და პარტიებს მოუწოდა უწმინდესმა სამშობლოს მსახურებისკენ, განურჩევლად იმისა, უმცირესობას ეკუთვნიან ისინი თუ უმრავლესობას.

**„ძალიან მაკვირვებს, როცა ჩვენი პარლამენტარები ამბობენ, ეს უმცირესობას ეკუთვნის, ის კი — უმრავლესობასო. გვავიწყდება, რომ ჩვენს უკან ჩვენი სამშობლო დგას, ის სანუკვარი, საოცარი რამ, რომელიც თუ დაიკარგა, ყველაფერი გაქრება. აღარც ჩვენ ვიარსებებთ და გავითქვიფებით რომელიმე ერში, ამიტომ სამშობლოს უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც თვალისჩინს. იმაზე კი არ უნდა ვფიქრობდეთ, რომელ პარტიას ვეკუთვნით. ჩვენ, ყველას, ერთი პარტია გვაქვს და ეს არის ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი“,** — ბრძანა პატრიარქმა და კენედის ისტორიული სიტყვებიც გაიხსენა: ნუ იფიქრებთ იმაზე, სამშობლომ რა უნდა მოგცეთ. თქვენ რა უნდა მისცეთ სამშობლოს? პატრიარქის თქმით, ეს ძალიან აქტუალური გახდა.

**„ჩვენ რომ რაღაც მივცეთ სამშობლოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიპოვოთ ჩვენი ადგილი ამ ცხოვრებაში, ვინ ვარ მე?! რას ვაკეთებ?! სად მივდივარ?! — ეს ყველაფერი უნდა გვაწუხებდეს, უნდა აწუხებდეს მშობლებს, რომლებიც ზრდიან შვილებს, უნდა აწუხებდეს სასწავლებლებს, განსაკუთრებით კი, ფსიქოლოგებს“,** — ბრძანა უწმინდესმა და დაწესებულებებში ფსიქოლოგების აუცილებლობაზე ისაუბრა. პატრიარქი მიიჩნევს, რომ ადამიანებისა და საერთოდ, კაცობრიობის წინაშე, მრავალი პრობლემა დგას, ფსიქოლოგები კი, ჯერჯერობით, თავის მოვალეობას ვერ ასრულებენ.

**„ჩემი აზრით, ნებისმიერ დაწესებულებაში უნდა იყოს ფსიქოლოგი და ეს ბევრად გაგვიადვილებს ცხოვრებას“,** — აღნიშნა პატრიარქმა.

პატრიარქის საკვირაო ქადაგებისას სამების საკათედრო ტაძარში მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც ორ კვირაში ავღანეთში მიემგზავრებიან. უწმინდესმა მათ გზა დაულოცა და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა. ამის გარდა, პატრიარქმა პატიმრებისა და მათი ოჯახების დახმარების მიზნით, ახლადშექმნილი ფონდი დალოცა, ხოლო ქადაგების დასრულების შემდეგ, ბერი დავით სუთიძე ოქროს ჯვრით, ხოლო დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა ჭყონდიდის ეპარქიიდან, დამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

*„ვერსიანიუსი“*

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**85 კილოგრამი ნარკოტიკი საქართველოდან, ბელორუსის გავლით, ლიტვაში უნდა გაეტანათ. ბელორუსმა მებაჟეებმა ავტომობილი, რომელიც უალკოჰოლო სასმელით იყო დატვირთული, ბელორუსი-ლიტვის საზღვარზე დააკავეს... როგორ მოხვდა უალკოჰოლო სასმელით დატვირთულ მანქანაში 85 კილოგრამი ნარკოტიკი? — გამოძიებაში საქართველოს შს სამინისტროც აქტიურად მონაწილეობს. პარალელურად, „ექსპერტთა კლუბის“ თავმჯდომარე სოსო ცისკარიშვილი, ამ ფაქტის კომენტირებისას რიტორიკულად კითხულობს: სად წავიდა კახა თარგამაძისდროინდელი ნარკოტრასა, რუსეთში რომ გაიქცა, ზურგზე მოიკიდა თუ გადათხარა? „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რა ხდება სინამდვილეში და რას ნიშნავს 85 კილოგრამი ავღანური ჰეროინის აღმოჩენა მაინცდამაინც ბელორუსში? იქნებ, ყველაფერი ეს რუსული სპეცსამსახურების მიზანმიმართული, ანტიქართული ისტერიის ნაწილია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველო დააკნინოს და ნარკოტრეფიკიორ ქვეყნად წარმოაჩინოს?**



# ავღანური ნარკოტიკის სამი სკანდალური ვერსია და რუსული სპეცსამსახურების საიდუმლო სცენარი, რომლითაც საქართველოს დსთ-ში შეყვანა იგეგმება

შემთხვევითი სულაც არაა, რომ 85 კილოგრამი ავღანური ჰეროინი სწორედ უალკოჰოლო სასმელით დატვირთულ ავტომობილში აღმოჩნდა. თუკი რუსული სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გამოძიებაც დაადასტურებს და დამტკიცდება, რომ ავღანური ნარკოტიკი ლიტვაში, ბელორუსის გავლით, საქართველოდან შეჰქონდათ, მაშინ გაჩნდება ლოგიკური კითხვა — როგორ გადალახა ავტომობილმა საქართველოდან ბელორუსამდე რამდენიმე ქვეყნის საზღვარი ისე, რომ ბელორუსი მებაჟეების გარდა, ეჭვი არც ერთ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე არ შეპარვიათ?

პირველი ვერსიით, ყველაფერი ეს რუსული სპეცსამსახურების მიერ კარგად დაგეგმილი სპეცოპერაციაა ანუ წინასწარ იყო გათვლილი, რომ ნატო-ს ვილნიუსის სამიტის წინ, დიდი რაოდენობის ნარკოტიკებით დატვირთულ ავტომობილს, არც მეტი არც ნაკლები, სწორედ ბელორუსის საზღვარზე გააჩერებდნენ, მძღოლს დააკავებდნენ და მოკვლევას დაიწყებდნენ. მოკლედ, ამ ვერსიით, კრემლის მიზანი „დიადი და ნათელია“ — საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოს იმიჯს სერიოზული ზიანი მიაყენოს და გაჩნდეს კითხვა: ქვეყანა, რომლის გავლითაც ლიტვაში დიდი რაოდენობის ნარკოტიკის შეტანას ცდილობენ, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის ღირსი არის თუ არა? რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს ამ პროვოკაციას? ალბათ, ის, რომ კრემლმა საქართველო, ბელორუსის ხელით, დსთ-ს სივრცეში შეათრიოს. „ექსპერტთა კლუბის“ თავმჯდომარე **სოსო ცისკარიშვილი** ამ ვერსიას ტრაგიკულს უწოდებს:

**„ტრაგიკული ვერსიაა, მაგრამ ნაკლებად მჯერა. ამ ტიპის ინფორმაცია მხოლოდ წინასწარი დაბეზღებით თუ გაჟონავდა, მაგრამ ეს, დიდი ალბათობით, ნარკობიზნესში არსებულ კონკურენტულ ბრძოლას უკავშირდება, ვიდრე ჩვენი ქვეყნის იმიჯის შელახვას. ქვეყნის იმიჯის გასანადგურებლად ბევრად იაფი საშუალებები არსებობს, რასაც საზღვარგარეთ ვოიაჟებით „მიხეილ მავნე“ პერიოდულად იყენებს ხოლმე. ვიდრე არ დადასტურდება, ავტომობილი ნარკოტიკებით სად და რომელ ქვეყანაში დაიტვირთა, არ მგონია, ამ ტიპის ვერსიები შედეგისმომტანი იყოს. კატეგორიული პერსპექტივა, რაც საქართველოს დსთ-ს სივრცეში დაბრუნებას უკავშირდება, კატეგორიულად გამოვრიცხავ, რადგან დსთ-ში შესვლა საქართველოს სახელმწიფოს ნებაყოფლობითი არჩევანი არასოდეს ყოფილა და თავის დროზე, როცა საქართველოს ორად გახლეჩის გეგმა მზად იყო, ამ ორგანიზაციაში ძალით შეგვიყვანეს... არ მგონია, 85 კილოგრამი ჰეროინის აღმოჩენამ ის სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები გადაფაროს, რომლებმაც ევროკავშირსა და ნატო-სთან მიგვაახლოვა, თუმცა თუკი მაინც ასე მოხდა, ამით არასერიოზულად, უპირველეს ყოვლისა, ნატო და ევროკავშირი წარმოჩინდებიან. რომ გითხრათ, ნატო-სა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ნარკოტიკს არავინ მოიხმარს-მეთქი, ნუ დამიჯერებთ... ბელორუსი მებაჟეების პროფესიონალიზმთან დაკავშირებით კმაყოფილების გრძნობა მიჩნდება, მაგრამ არ გამოვრიცხავ, ისინი არსებული ტვირთის შესახებ ინფორმაციას წინსმსწრებად ფლობდნენ“.**

სოსო ცისკარიშვილისგან განსხვავებით, ბელორუსი-ლიტვის საზღვარზე აღმოჩენილ დიდი რაოდენობით ნარკოტიკებს რუსული სპეცსამსახურების მიერ კარგად ორგანიზებულ სპეცოპერაციას უწოდებს საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, **გიორგი გაჩეჩილაძე**:

**„იმ ფონზე, როცა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ძალიან აქტიურად დაიწყო ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა და თურქეთიდან ნარკოტიკების არალეგალურად შემოტანის ფაქტებიც აღკვეთა, ამ ტიპის ინფორმაციის გავრცელება გამიკვირდა. სხვათა შორის, წლების განმავლობაში, გაერო-სა და აშშ-ს ადმინისტრაციის მოხსენებებში, საქართველო დაფიქსირებული იყო, როგორც ავღანური ჰეროინის ტრანზიტი ქვეყანა და ნარკოტრასის მარშრუტებიც იყო მითითებული, რომ საქართველოს გავლით, 7-8 ტონა ჰეროინი გადიოდა, მაგრამ რუსული საინფორმაციო საშუალებები ამ ინფორმაციით არასდროს დაინტერესებულან. ჩნდება ეჭვი, რომ ბელორუსის საზღვართან მომხდარი ინციდენტი, შეიძლება, წმინდა წყლის პოლიტიკური პროვოკაციაა. საერთოდ, რუსეთი ჰეროინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია, ავღანეთიდანაც ერთ-ერთი ნარკოტრასა სწორედ რუსეთზე გადის და მარშრუტიც ცნობილია — ავღანეთი-შუა აზია-რუსეთი. სხვათა შორის, რუსეთში ავღანეთიდან, დაახლოებით, 40-50 ტონა ჰეროინი შედის. შესაბამისად, რუსეთის სპეცსამსახურებს ყოველთვის აქვთ საშუალება, საზღვრებზე პროვოკაცია მოაწყონ და მერე, ბრალი საქართველოს ან იმ ქვეყანას დასდონ, რომლის დისკრედიტაციაც საერთაშორისო დონეზე სჭირდებათ. ზუსტად ვიცი, საქართველოს შს სამინისტრო ნარკოტიკების წინააღმდეგ აქტიურად იბრძვის, მაგრამ ეს საკმაოდ რთული საკითხია“.**

ვიდრე სხვა ვერსიებს განვიხილავთ, ჯერ ის მარშრუტი უნდა განვსაზღვროთ, როგორ და რომელი ქვეყნების გავლით ხვდებოდა ავღანური ჰეროინი საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან, რას ნიშნავს საქართველოს ნარკოტრასა და რა ტიპის ინფორმაცია ქვეყნდებოდა გაერო-სა და აშშ-ს ადმინისტრაციის ყოველწლიურ დასკვნებში. სოსო ცისკარიშვილი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს რიტორიკულ კითხვას უსვამს: **„სად გაქრა თქვენს მიერ 9 წლის განმავლობაში ყბადაღებული კახა თარგამაძის ნარკოტრასა?“** „ექსპერტთა კლუბის“ თავმჯდომარე ლოგიკურად ასკვნის, რომ მას შემდეგ, რაც თარგამაძემ თავი მოსკოვს შეაფარა, ნარკოტიკული საშუალებების სატრანზიტო მარშრუტს ზურგზე ვერ მოიკიდებდა. ცისკარიშვილი ვერ ამტკიცებს, მაგრამ ვარაუდობს, რომ კახა თარგამაძის ნარკოტრასა ნაციონალური მოძრაობის მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა „გადაიბარეს“ და 9 წლის განმავლობაში ნარკოტიკების ტრანზიტსაც სწორედ ისინი აკონტროლებდნენ!

თუკი საქართველოს ნარკოტრასა არ არსებობს, საინტერესოა, როგორ ხვდებოდა ეს მარშრუტი გაერო-სა და აშშ-ს ადმინისტრაციის ყოველწლიურ ანგარიშებში? თუ არსებობს, ლოგიკურად, ჩნდება ეჭვი, რომ კახა თარგამაძე მისმა ნაციონალმა კოლეგამ — ვანო მერაბიშვილმა ჩაანაცვლა. შესაბამისად, სოსო ცისკარიშვილი შეკითხვით სწორედ შს ყოფილ მინისტრ მერაბიშვილს მიმართავს: **„თუ ასეთი ტრასა არ არსებობდა, რატომ არ უჩივლა ნაციონალურმა მოძრაობამ აშშ-ს ადმინისტრაციას ან გაერო-ს“?**

*დასასრული მე-7 გვერდზე*

*მე-6 გვერდიდან*

რაც შეეხება გიორგი გაჩეჩილაძეს, ის კიდევ ერთხელ იხსენებს იმ მარშრუტს, რომლის შესახებაც „მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარეობის დროს, განგაშის ზარი არაერთხელ შემოუკრავს და რომელი მარშრუტიც გაერო-ს ყოველწლიური დასკვნების ძირითადი თემა იყო:

**„გაერო-სა და აშშ-ს ყოველწლიურ მოხსენებაში საქართველო დაფიქსირებული იყო, როგორც ავღანური ჰეროინის ტრანზიტი ქვეყანა. საინტერესოა, რომ ეს მარშრუტი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაიხსნა. საკმაოდ დიდი რაოდენობისა და მოცულობის ავღანური ჰეროინი საქართველოში ხვდებოდა ავღანეთი-შუა აზია-კასპიის ზღვა-აზერბაიჯანი-საქართველოს მარშრუტით, საქართველოდან კი ევროპაში, ძირითადად, ბულგარეთსა და რუმინეთში გადიოდა. ცხადია, ეს მარშრუტი ინტერპოლის საშუალებით დადგინდა. სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს გარკვეული ტექნიკური აღჭურვილობა გადასცა, რომელიც აკონტროლებდა ნარკოტიკების მიმოქცევას საქართველოს ტერიტორიასა და მის საზღვრებზე, ეს ტექნიკური აღჭურვილობა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე უნდა დაემონტაჟებინათ, მაგრამ წინა ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა. ახალი ხელისუფლება მაქსიმალურ კონტროლს აწარმოებს ნარკოტიკებთან დაკავშირებით და ტექნიკურ აღჭურვილობასაც აუცილებლად დანერგავს, რათა ეს მარშრუტი შეაჩეროს. იმედი მაქვს, გაერო-ს 2013 წლის მოხსენებაში საქართველოს, როგორც ავღანური ჰეროინის ტრანზიტ ქვეყანას, აღარ დააფიქსირებენ“.**

მეორე ვერსიით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს იმ ქართველი მებაჟეების პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოუწევს, რომლებმაც ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე გაატარეს უალკოჰოლო სასმელით დატვირთული ავტომობილი, რომელშიც ბელორუსმა მებაჟეებმა 85 კილოგრამი ჰეროინი აღმოაჩინეს. ეს საერთაშორისო სივრცეში საქართველოს ღირსების საქმეა და, ცხადია, შინაგან საქმეთა სამინისტრო მებაჟეებს დაკითხავს, თუმცა სოსო ცისკარიშვილს მიაჩნია, რომ უმჯობესია, გამოძიების დასრულებას დაველოდოთ:

**„ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ქართველი მებაჟეების სირცხვილია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძიების შედეგად დამტკიცდება, რომ ამ რაოდენობის ჰეროინი ავტომობილში სწორედ საქართველოში მოათავსეს. არ გამოვრიცხავ, რომ ავტომობილში, რომელიც ბელორუსში დააკავეს, ჰეროინი საქართველოსა და ბელორუსს შორის ტრასაზე, რომელიმე ქვეყანაში განეთავსებინათ. ვიდრე ქართული საბაჟოების ფუნქციაზე ვისაუბრებთ, უნდა დავრწმუნდეთ, იყო თუ არა ჰეროინი ავტომობილში მაშინ, როდესაც ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტი გაიარა. გამოძიებით ადვილად დადგინდება, სად და რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოხვდა ავღანური ჰეროინი ავტომობილში“.**

მესამე ვერსიით, ბელორუსში აღმოჩენილი ავღანური ჰეროინის სკანდალი მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორსა და ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელს უკავშირდება. რუსული სააგენტოების ინფორმაციით, ამ ავტომობილში ჰეროინი ახალგორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვდა, რომელსაც ქართველი სამართალდამცველები ვერ აკონტროლებენ. რუსული სააგენტოების მონაცემებით, საქართველოდან ლიტვაში „ზედაზენის“ ლიმონათი გაჰქონდათ, ეს კომპანია კი ცეზარ ჩოჩელისაა. გამორიცხული არ არის, ჩოჩელი კიდევ ერთხელ დაიბარონ შსს-ში, ოღონდ ამჯერად, სერიოზული ბრალდება წაუყენონ. სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ რუსულ სპეცსამსახურებს ლიტვის დისკრედიტაცია უფრო სერიოზულ საქმედ მიაჩნიათ, ვიდრე — საქართველოსი და, მით უმეტეს, ცეზარ ჩოჩელისა:

**„თუ რამდენიმე წუთით დავიჯერებთ ვერსიას, რომ ავტომობილი ჰეროინით, მართლაც, ახალგორში დატვირთეს, მაშინ აქ ცეზარ ჩოჩელის პერსონაზე საუბარი სრულიად ზედმეტია... ისე, თუ ერთი მხრივ, ქართველი მებაჟეები საბაჟოზე ყაყაჩოს თესლს აკავებენ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც შემომტანს შესაბამისი სერტიფიკატი გააჩნია, მეორე მხრივ, უფრო მეტი შეკითხვა ჩნდება, თუკი გამოძიების შედეგად დამტკიცდება, რომ ლიტვაში ჰეროინი, მართლაც, საქართველოდან უნდა მოხვედრილიყო, თუმცა თუ გამოძიებას ცეზარ ჩოჩელის დაკითხვით დაიწყებენ, ეს კიდევ უფრო კომიკური სიტუაცია იქნება“.**

არის თუ არა რუსული სააგენტოების ინფორმაციაში სიმართლის მარცვალი თუ ესეც სპეცსამსახურების მორიგი პროვოკაციაა სამართალდამცავების ყურადღების მოსადუნებლად? ქვეყანა სერიოზულ სკანდალშია გახვეული და რამდენად ლოგიკურია, ამ ტიპის საერთაშორისო ნარკოსკანდალი რიგით ქართველ ჩინოვნიკზე, თუნდაც ყოფილ ბიზნესმენზე „დახურდავდეს“? რაც მთავარია, რამდენად შესაძლებელია, ნარკოტრასის მარშრუტში რუსეთის მიერ ოკუპირებული ახალგორის რაიონიც ფიქსირდებოდეს? ამ შეკითხვებზე გიორგი გაჩეჩილაძეს ზუსტი პასუხი არ აქვს:

**„ზუსტად ვერ გეტყვით, რა მარშრუტით მოხვდა ბელორუსის ტერიტორიაზე 85 კილოგრამი ჰეროინი ან ამ მარშრუტში ახალგორის რაიონი ჩართულია თუ არა. გაერო-სა და აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციის მოხსენებებში საბორნე გადასასვლელები იყო დაფიქსირებული. ამ ინფორმაციის შედეგად კი, მხოლოდ იმის მტკიცება შეგვიძლია, რომ ნარკოტრასის მარშრუტებში საბორნე გადასასვლელები საბაჟო-გამშვებმა პუნქტებმა ჩაანაცვლეს და საქართველოს საბაჟოებზე საკმაოდ სერიოზული პრობლემებია, თუმცა იმედი მაქვს, საბაჟოებზე ამერიკელების ნაჩუქარ ტექნოლოგიურ აღჭურვილობას დაამონტაჟებენ და შესაბამისად, ნარკოტიკების მსხვილი პარტიების გატანა-შემოტანა შეუძლებელი გახდება“.**



# თბილისში ხილი და ბოსტნეული გაძვირდა




## რითი ხსნიან მოვაჭრეები კარტოფილზე, პომიდორზე, სტაფილოზე, ბულგარულ წიწაკზე, სოკოსა და ბანანზე ფასის მომატებას

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**რამდენიმე დღეა, ბანანა გაძვირდა — თუკი აქამდე ამ ტროპიკული ხილის ფასი 35-დან 70-თეთრამდე მერყეობდა, ახლა 0,80 თეთრი და ლარნახევარიც ღირს. ე.წ. ცალობით მოვაჭრეებმა გაძვირების ზუსტი მიზეზი არ იციან. ზოგი ამბობს, რომ აფრიკულ ქვეყნებში წელს ბანანის ცუდი მოსავალი იყო და ფასმაც ამიტომ მოიმატა, ზოგი კი ამტკიცებს, შემომტანებს საბაჟოზე პრობლემა შეექმნათო... საბითუმო ბაზარზე კი, ბანანის გაძვირებას უამინდობითა და შტორმით ხსნიან, რის გამოც გემები პორტში ვერ შემოვიდნენ და, შესაბამისად, ქვეყანაში „ბანანის კრიზისი“ დაიწყო.**

როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, საქართველოში მწვანე ბანანი ოთხი გემით შემოდის. ხილს, რამდენიმე დღე, სპეციალურ საწყობებში ინახავენ, სადაც მწიფდება და სარეალიზაციოდ მხოლოდ ამის შემდეგ გააქვთ, თუმცა უამინდობის გამო, პორტში შემოსვლა ბანანით დატვირთულმა მხოლოდ ერთმა გემმა მოახერხა. „ბანანით დატვირთული 3 გემი გზაშია და საქართველოში ორ დღეში იქნება, ამიტომ ამ კვირიდან ბანანი შეიძლება გაიაფდეს და ფასი ძველ ნიშნულს დაუბრუნდეს“, — ამბობენ საბითუმო ბაზარზე. ცალობით მოვაჭრეები კი ამტკიცებენ, ბანანზე ფასი 1-2 თვე არ დაიკლებსო.

ბოლო დღეებში, ბანანის გარდა, სოკო, პომიდორი, ბულგარული წიწაკა, სტაფილო, კარტოფილი და ლობიოც გაძვირდა: 1 კილოგრამი ქამა სოკო, რომელიც ადრე 6 ლარი ღირდა, ახლა 12 ღირს. მოვაჭრეები, სოკოს მსგავსად, ლობიოს გაძვირებასაც (ლობიოს ფასმა 50-70 თეთრით მოიმატა) დიდი მარხვის დაწყებით ხსნიან.

არცთუ დიდი ხნის წინ, წალკელი ფერმერები ჩიოდნენ, უხვი მოსავალია, ხალხს ვეხვეწებით, კილოგრამი 50 თეთრად წაიღოს, მაგრამ კლიენტი მაინც არაა და კარტოფილი გვიფუჭდებაო. ახლა კი, მდგომარეობა გაცილებით დრამატულია — უხვი მოსავლის მიუხედავად, კარტოფილი 20-30 თეთრით გაძვირდა. ასევე, 20-30 თეთრით გაძვირდა სტაფილოც: ერთი კილოგრამი ქართული სტაფილო 1 ლარი ღირს, ირანული კი — 1,50.

ბულგარული წიწაკის ფასი ლამის ხორცისას გაუტოლდა და ერთი კილოგრამი 9-10 ლარი ღირს: ე.წ. ბერძნული ბულგარული წიწაკის ყიდვა 10 ლარად შეგიძლიათ, თურქულისა კი — შვიდად. მოვაჭრეები ამბობენ, ბულგარული წიწაკა ასეთი ძვირი არასოდეს ყოფილა და ვიდრე ადგილობრივი არ შემოვა, არც გაიაფდებდაო. ადგილობრივი ბულგარული წიწაკის შემოსვლამდე კი, მინიმუმ, სამი თვეა დარჩენილი.

როგორც აღვნიშნეთ, პომიდორიც გაძვირდა — თუკი რამდენიმე დღის წინ, ერთი კილოგრამი 3,5-4 ლარი ღირდა, ახლა 5-7 ლარი ღირს და მოვაჭრეები პომიდვრის გაიაფებას სეზონის დაწყებამდე არც ელოდებიან.

სადღესასწაულო დღეებში პროდუქტი, როგორც წესი, ძვირდება ხოლმე. წელს კი, ფასების მატება აღდგომამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. სააღდგომოდ ბაზარს „ცეცხლი“, ალბათ, უფრო „მოედება“ და ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის უმეტესობა აღდგომას მხოლოდ პასკითა და კვერცხით შეხვდება.



## სიკვდილამდე ბერეზოვსკი 300 მილიონ დოლარს ელოდა



ბორის ბერეზოვსკის 300 მილიონი დოლარი უნდა მიეღო, — იუწყება „ბი-ბი-სი“, რომლის წყაროს ცნობითაც, აწგანსვენებულ ბიზნესმენს ეს თანხა სხვადასხვა ოფშორულ ზონაში საკუთარი აქტივების გაყიდვით უნდა მიეღო.

ბერეზოვსკის 3 ოფშორული ფონდის მმართველი საინვესტიციო კომპანია Salford Capital Partners, ბერეზოვსკის დავალებით, აქტივების ლიკვიდაციას იმისთვის აპირებდა, მისთვის, დაახლოებით, 300 მილიონი დოლარის კაპიტალი რომ შეეთავაზებინა.

როგორც ცნობილია, ოლიგარქს პოლიტიკური თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში ჰქონდა. იგი 23 მარტს ბერქშირის საგრაფოში, საკუთარი სახლის, აბაზანაში გარდაცვლილი იპოვეს. როგორც „სანდი თაიმსი“ წერს, ახალი გარემოება ყოფილი მილიარდერის გარდაცვალების საქმეს ინტრიგას მატებს და ბერეზოვსკის თვითმკვლელობაზე გავრცელებულ ვერსიას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

*„მედიანიუსი“*

# დიმიტრი შაშკინი „ოცნებას" ორი საფლავის გათხრას ურჩევს



*მე-5 გვერდიდან*

**— მართალია, თქვენზე არცთუ ბევრი კომპრომატი არსებობდა, მაგრამ განათლების მინისტრობისას თქვენი ერთი ფრაზა გაპიარდა, რომლითაც სკოლის დირექტორებს მიმართეთ: „თქვენს სისხლს დავლევ!" ამასთან, თქვენივე მინისტრობისას დამტკიცდა ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობა. დღეს ამბობენ, რომ ეს საბჭო თქვენი დაკვეთით მუშაობდა. თქვენი მინისტრობის დროსვე გადაეცა აგრარული უნივერსიტეტი კახა ბენდუქიძეს საკუთრებაში. ამ მიმართულებით ხომ არ დადგება თქვენი პასუხისმგებლობის საკითხი?**

— ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა, რამაც ჩვენი გუნდის არჩევნებში დამარცხება გარკვეულწილად განაპირობა, იმაში მდგომარეობდა, რომ არ ვცემდით პასუხს იმ ბრალდებებს, რომლებიც ჩვენი მისამართით წლების განმავლობაში იღვრებოდა, გროვდებოდა და ილექებოდა. ყველამ, ჩემი ჩათვლით, მივიჩნიეთ, რომ მარგინალური ჯგუფებისთვის პასუხის გაცემით არ უნდა დავკავებულიყავით და საქმე გაგვეგრძელებინა. მე, როგორც მინისტრი, ჩემი გეგმით, როგორც იტყვიან, „ჩემი ეჯენდით" ვმუშაობდი. გითხრათ სიმართლე? ჩვენი მთავრობის მთავარი პრობლემა ის გახლდათ, რომ ბოლოს, პოლიტიკური მთავრობა კი აღარ ვიყავით, სუპერმენეჯერები გავხდით.

**— ეს სააკაშვილისგან მოდიოდა?**

— არა, ეს ჩვენი, ყველას შეცდომა იყო, მათ შორის, ჩემიც. გადავეწყვეთ და გავხდით არა პოლიტიკოსების, არამედ მენეჯერების მთავრობა. გვქონდა მკაფიო ხედვა, სად მიგვყავდა ეს ქვეყანა და პოლიტიკური პიარის გასუფთავებაზე ნაკლებად ვფიქრობდით. გვინდოდა, მალე ეგრძნო ხალხს ეკონომიკური წინსვლა. მახსოვს, თბილისში „ექო მოსკვის" რედაქტორი ვენედიქტოვი იყო ჩამოსული და მან მითხრა, საქართველოში ადვილია რეფორმების ჩატარება, რადგან ძალიან პატარა ქვეყანააო. ამ დროს კი, პირიქით — საქართველოში 500 ადამიანი უკვე ამინდს, სტერეოტიპს, შეხედულებას ქმნის.

**— ახლა მინისტრი რომ იყოთ, რას შეცვლიდით?**

— აუცილებლად, უფრო მეტი კომუნიკაცია მექნებოდა ხალხთან. ჩვენ ეს კონტაქტი ბოლოს დავიწყეთ და უკვე გვიან იყო. მაგალითად, ბევრი ადამიანისთვის არ აგვიხსნია და დღესაც უცნობია, როდესაც ვაფასებთ ეკონომიკურ სიტუაციას ბოლო 9 წლის განმავლობაში, უნდა აგვეხსნა მიღწევა უფრო თვალნათლივ: ეროვნული ბანკის გათვლებით, საქართველო 1989 წელს იყო იმავე განვითარების სტადიაზე, როგორც იყო პოლონეთი, თურქეთი და ა.შ. ამის შემდეგ, 3 წელიწადში, 1992 წელს დავკარგეთ ეკონომიკის 75 პროცენტი და მხოლოდ 2012 წელს გავედით 1989 წლის მაჩვენებელზე, მაგრამ ადამიანების უმრავლესობამ ეს არ იცოდა. დღევანდელი მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა წინსვლა შენარჩუნდეს. ასევე, რატომღაც მივიჩნიეთ, რომ ქვეყანაში მოხდა დიდი მენტალური პროცესები, რაც ასევე მცდარი აღმოჩნდა. ელემენტარულ მაგალითს მოგიყვანთ: როდესაც განათლების მინისტრი ვიყავი, სკოლის მოსწავლეებს ინტენსიურად ვხვდებოდი და მე-10-11 კლასელთა უმრავლესობა თითქმის ერთსა და იმავე კითხვას მისვამდა: სახელმწიფო რატომ არ აშენებს ქარხნებს, რომ ხალხი დასაქმდესო? ეს ულტრაკომუნისტური, ულტრასოციალისტური მესიჯია, თითქოს სახელმწიფო ვალდებულია, ააშენოს ფაბრიკა-ქარხნები და დაასაქმოს ხალხი. 14-15 წლის ბავშვს არ შეიძლება, ეს აზრი დამოუკიდებლად მოუვიდეს, ეს იმის შედეგია, რომ ერთ სახლში ცხოვრობს სამი თაობა: ბებია-ბაბუას უდიდესი გავლენა აქვს ბავშვზე. მიუხედავად რეფორმებისა, რასაც ჩვენ ვატარებდით, თურმე, მენტალური ცვლილებები ხდებოდა ძალიან ნელი ტემპით.

რაც შეეხება ე.წ. სისხლის დალევის გახმაურებულ ჩანაწერს. ეს იყო ერთ-ერთი ნიმუში, თუ როგორ იქმნება ჩვენს ქვეყანაში სტერეოტიპები. ასევე გეტყვით, რა შეცდომა დავუშვი — ეს იყო დახურული სამუშაო შეხვედრა დირექტორებთან, სადაც სიცილისა და იუმორის ფონზე, მიმდინარეობდა გულახდილი საუბარი. ჩემი ერთ-ერთი ფრაზა, სკოლების გარემონტებასთან დაკავშირებით, ასეთი იყო: წელს თქვენ დალიეთ ჩემი სისხლი, რადგან მარემონტებინებთ ამ სკოლებს და მოგცემთ თანხას რემონტისთვის, მაგრამ შემდეგ, მე დავლევ თქვენს სისხლს, თუ ყველაფერი წესრიგში არ იქნება-მეთქი. შემდეგ ამოაგდეს ჩემი ფრაზა კონტექსტიდან და დატოვეს მხოლოდ ის წინადადება, სადაც „სისხლის დალევაზეა" საუბარი. როდესაც ეს გავრცელდა, იგივე დირექტორები მოვიდნენ ჩემთან და ითხოვდნენ პრესკონფერენციის ჩატარებას, რათა მომხდარი ზუსტად განემარტათ, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან ამას ნეპოტისტურ გამოვლინებად ჩათვლიდნენ. ასე იქმნებოდა სტერეოტიპი.

**— რას ამბობდნენ სააკაშვილი და მთავრობის სხვა უმაღლესი პირები ასეთ სტერეოტიპზე. ისინიც ფიქრობდნენ, რომ ამაზე საჭირო არ იყო საზოგადოებისთვის განმარტებების მიცემა?**

— შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ ჩემთვისაც სიურპრიზი იყო, როცა 2008 წელს, მინისტრი რომ გავხდი, აღმოვაჩინე, მიხეილ სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, მიკრომენეჯმენტის დონეზეც არ ერეოდა მინისტრების საქმიანობაში.

**— ხალხს კი სჯერა, რომ მაგალითად, სკოლის კედლის ფერიც კი სააკაშვილთან თანხმდებოდა...**

— ეს ისევ ის სტერეოტიპია, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში ითხზვებოდა. მხოლოდ ძალიან მაკრომენეჯმენტის დონზე შეიძლებოდა მომხდარიყო პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრების მხრიდან ჩარევა. მინისტრი იღებდა გადაწყვეტილებებს თავის სფეროში.

მინდა, გიპასუხოთ აგრარული უნივერსიტეტის თემასთან დაკავშირებით. განათლების სამინისტროში 2009 წლის დეკემბერში მივედი, პირველი ორი თვე დავდიოდი, ვეცნობოდი თანამშრომლებს და სისტემის ინფრასტრუქტურას, რათა ამ სისტემაში არსებული პრობლემები სხვების საშუალებით კი არა, პირადად გამეგო. 2009 წელს აგრარული უნივერსიტეტი გაძარცული დამხვდა... იქ რომ მისულიყავით, ნახავდით, პირდაპირ ძველი „ჟიგულებიდან" როგორ ხდებოდა გოჭების გადალაგება პროფესორების ახალ მანქანებში, ჩათვლის მისაღებად ან ნიშნის დასაწერად. დავიწყეთ ფიქრი, რა გვექნა უნივერსიტეტისთვის, მაშინ ზოგიერთს ჰქონდა იდეა, დაგვეხურა, მაგრამ 4 000 სტუდენტი სად წაგვეყვანა, მით უმეტეს, რომ ამ პროფილის სპეციალობები სხვა უნივერსიტეტში არ იყო, ამიტომ დავიწყეთ ინვესტიციის ძებნა. აგრარული უნივერსიტეტი, თამამად გეტყვით, ბენდუქიძემ გადაარჩინა! მისი რეაბილიტაციისთვის თანხის გამოყოფა ბიუჯეტს არ ძალუძდა. კახა ბენდუქიძე წარმატებული ადამიანია განათლების სფეროშიც, მისი „თავისუფალი უნივერსიტეტი" დღესაც ნომერპირველია. კახამ აჩვენა, რომ კარგად მიხედა ამ საქმეს. დიდი მოლაპარაკების შემდეგ, გადაიხადა ბიუჯეტში თანხა და აიღო ვალდებულება, 12 მილიონის ინვესტიცია განეხორციელებინა. აშშ-მ, „მილენიუმის" პროგრამის ფარგლებში, გამოაცხადა კონკურსი საგანმანათლებლო სისტემის ირგვლივ და ამ ღია ტენდერში მოიგო კახამ, მისმა კონსორციუმმა, მოიპოვა თანხა და ჩადო აგრარულის განვითარებაში. ამ კომისიაში დიმა შაშკინი და ნიკა გილაური კი არ შედიოდნენ, ამერიკელი ექსპერტები წყვეტდნენ. ჩვენ ამ საქმესთან შეხება არ გვქონია.

რაც შეეხება აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციას, როგორც ჩანს, ვიღაცამ პოლიტიკური ქულების ჩაწერა გადაწყვიტა. აგრარულის ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება იმდენად იდიოტური იყო, რომ არ მგონია, ტოპმენეჯერული დაკვეთა ყოფილიყო.

**— ბატონო დიმიტრი, რას აპირებთ და, საერთოდ, როგორ ხედავთ ნაციონალური მოძრაობის მომავალს? ისე, პოლიტიკურ კულუარებში არსებობს მოსაზრება, რომ ყოფილი სახელისუფლებო პარტია რამდენიმე დაჯგუფებისგან შედგება და თქვენ ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტის ფრთას მიეკუთვნებით...**

— „თავისუფლების ინსტიტუტში" არასოდეს ვყოფილვარ. ფრთებსა და მსგავს ილუზიებზე ბევრი ჭორია და, სიმართლე გითხრათ, ამ ხმაზე მეტად, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც აქამდე გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში, ის არ დაიკარგოს, დაწყებული თავდაცვიდან, განათლებით დასრულებული. მოქმედმა მინისტრებმა არაერთხელ აღნიშნეს, ყოფილი მინისტრების რჩევა არ გვჭირდებაო, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის რამდენიმე ძირეული საკითხი, რომელიც უნდა გაგრძელდეს. იგივე სააკაშვილსა და ობამას შორის მიღწეული შეთანხმება, რომლის თანახმადაც, დეკემბერში უნდა წარგვემართა კონკრეტული მოლაპარაკებები აშშ-სთან ე.წ. ჰოკების ჩამოტანის კუთხით, ეს გახლავთ ანტისაჰაერო თავდაცვითი სისტემები. როგორც თავდაცვის მინისტრს, მქონდა გეგმა, რომლის თანახმადაც, 2013 წლის დეკემბერში უნდა დაწყებულიყო აშშ-დან დახმარების მიღება. ჩვენი შეიარაღებული სისტემის მეორე სუსტი წერტილი ვერტმფრენებია — გვჭირდება სატრანსპორტო ვერტმფრენები და ეს თემები უნდა გაგრძელდეს.

**— თქვენი ინფორმაციით, ამ საკითხებზე მუშაობა გრძელდება?**

— არანაირი ინფორმაცია არ მაქვს — თავდაცვის სამინისტროში აღარ ვმუშაობ და ყველა ის ადამიანი, რომელიც ჩემს დროს მუშაობდა, თითქმის უკლებლივ გაათავისუფლეს. ჩემთვის ძალიან მტკივნეული კომენტარი გააკეთა მინისტრის მოადგილემ, თურმე ეს ადამიანები იმიტომ გაუშვეს, რომ რაღაც კურსები არ გაიარეს. სამსახურიდან გაათავისუფლეს იურისტები, ფინანსისტები, პიარისა და აიტის სპეციალისტები. დღეს ხომ დადგნენ იმის წინაშე, რომ სამხედროსავალდებულო გაწვევაში შეფერხებები აქვთ? სწორედ ამ გუნდთან ერთად კი, ვაკეთებდით ერთიან ბაზას ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

**— ირაკლი ალასანიამ მოსვლისთანავე განაცხადა, „მოსმენების განყოფილება" ანუ ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველო ე.წ. ოტო გავაუქმეო. თქვენი მინისტრობის დროს, სამხედრო პოლიციას მართლა ჰქონდა მოსმენების სამსახური?**

— სამხედრო პოლიციას, კანონის მიხედვით, ჰქონდა ე.წ. ოტო — ბუნებრივია, გარკვეული ოპერატიული ღონისძიებებისთვის და, კანონის ფარგლებში, ამის არსებობა აუცილებელი იყო. მესმის, მინისტრი მოვიდა თავის გუნდთან ერთად, თავისი გეგმა აქვს, მაგრამ ქვეყნისთვის მთავარი ის კი არაა, შაშკინმა რა დატოვა ან რა გააკეთა, არამედ ის, რომ ყველაფერი გაგრძელდეს, შენარჩუნდეს.

> **ჩვენ მავნებლები არ ვიყავით, ვაკეთებდით იმას, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდებოდა. მიპასუხეთ, არ სჭირდებოდა ეს თავდაცვითი სისტემები საქართველოს? არ სჭირდებოდა პირველ ბრიგადას ახალი ყაზარმები? თავდაცვის სამინისტროს რომ თავი დავანებოთ, ცუდი პროექტი იყო განათლების სისტემაში პირველკლასელთათვის პერსონალური „ბუკები"? სამწუხაროდ, ამერიკელი მასწავლებლების პროექტიც შეაჩერეს, შეჩერებულია ყველაზე სათუთი და მნიშვნელოვანი თემა — სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ეროვნულ უმცირესობებთან ქართული ენის სწავლების პროგრამა. ქართული ენის სახელმძღვანელოს უფასოდ ვარიგებდით სამცხე-ჯავახეთში. იკითხეთ, რა მდგომარეობაა ახლა იქ. ისიც ბინძური პიარის შედეგი იყო, თითქოს ეროვნულს ვებრძოდით. სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით იყო — ყველაფერს ვაკეთებდით ქართული სახელმწიფოს წინსვლისა და განვითარებისთვის.**

ამ ხელისუფლებამ უნდა გაითავისოს, რომ აშშ ჩვენი მეგობარია და მეგობრის დაკარგვა უფრო იოლია, ვიდრე — შეძენა.

**— არ მიპასუხეთ, როგორ აპირებთ პოლიტიკაში დარჩენას — არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას ხომ არ გეგმავთ?**

— პირველი, ჩემს ოჯახს უნდა მივხედო. ნაციონალური მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრი ვარ... ყველა აღიარებს, რომ ნაცმოძრაობაში რებრენდინგია ჩასატარებელი, ახალი სახეებია საჭირო, ახალი კონცეფციაა შესამუშავებელი.

**— 19 აპრილის აქციაზე მიხვალთ?**

— აუცილებლად. ეს აქცია ჩვენი პროდასავლური კურსის მხარდამჭერი მანიფესტაციაა.

დღევანდელმა უმრავლესობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ როცა პოლიტიკურ შურისძიებას იწყებ, ორი საფლავი უნდა ამოთხარო: ერთი შენთვის და ერთიც — მოწინააღმდეგისთვის. ამიტომაც, პოლიტიკური შურისძიების ნაცვლად, ხელისუფლება ქვეყნის წინსვლის კურსის შენარჩუნებით დაკავდეს.

**— ბატონო დიმიტრი, ამბობთ, აშშ-ში დიდხანს საქართველოს გარეშე ვერ გავჩერდიო. თქვენსავით, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოდან წავიდა იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი. როგორ ფიქრობთ, ისიც უნდა დაბრუნდეს საქართველოში?**

— ყველა ადამიანი თავისუფალია არჩევანში და მის გარშემო არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, იცის, რაა მისთვის უპრიანი. ურთიერთობა მაქვს ყველა ადამიანთან, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი და ვმეგობრობდი, მათ შორის — ადეიშვილთანაც. 4 წლის წინ მივედი საქართველოს მთავრობაში ნაკლები გამოცდილებით და ძალიან ბევრი რამ ზურაბ ადეიშვილისგან ვისწავლე. ამას არასოდეს დავმალავ და მასზე არსებული ხმებიც იმ სტერეოტიპების ბრალია, რასაც ჩვენ პასუხს არ ვცემდით. გვეგონა, ხალხი მაინც მიხვდებოდა, რომ საქმეს ვაკეთებდით და სტერეოტიპების მსხვრევაზე დროს არ ვკარგავდით.

# მწერალ დავით ტურაშვილს, რომელმაც სააკაშვილს პირდაპირ ეთერში აგინა, პრეზიდენტის გრანტი მისცეს

რუსუდან შელია
557-100-768

## ნაციონალებმა გია ნოდიას კეთილგანწყობა 800 ათასად იყიდეს?!



**საქართველოს პრეზიდენტის მიერ მედიის განვითარებისთვის გამოყოფილი მილიონი ლარი ორ არასამთავრობო ორგანიზაციაზე გადანაწილდა — 800 ათასი ლარი გია ნოდიას „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს“ ერგო, 200 ათასი კი — ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარებისა და ხელშეწყობის საქველმოქმედო ფონდს „სიცოცხლე მშვენიერია“. ამ ორმა ორგანიზაციამ მიღებული თანხა, თავის მხრივ, არასამთავრობო სექტორზე შვიდკაციანი კომისიის დახმარებით გადაანაწილა. პრეზიდენტის „საჩუქარი“, როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას გია ნოდია აცხადებს, საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრსა და უშიშროების საბჭოს ყოფილ თავმჯდომარე ეკა ტყეშელაშვილსა და მწერალ დავით ტურაშვილსაც ხვდათ.**

— პრეზიდენტის ფონდის მიერ გამოყოფილი მილიონი ლარიდან, გრანტის მისაღებად, განცხადება სხვადასხვა ტიპის ასამდე ორგანიზაციამ შემოიტანა. ეს განცხადებები დამოუკიდებელმა კომისიამ განიხილა და გადაახარისხა. საერთოდ, ჩემი მისამართით ორი შეკითხვა არსებობს: რატომ გადაწყვიტა პრეზიდენტმა აღნიშნული ფონდის შექმნა და რატომ მივეცით სამოქალაქო სექტორს ფული? სააკაშვილის გადაწყვეტილება ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო, ამიტომ ორივე კითხვას თავად უნდა უპასუხოს.

**— ცოტა დაუჯერებელია, რომ არ იცოდეთ, რატომ და რა მიზნით მიიღეთ პრეზიდენტის მიერ გამოყოფილი მილიონი ლარიდან საკმაოდ სოლიდური თანხა...**

— გრანტის მისაღებად განაცხადი ჩვენც შევიტანეთ და არც ვმალავ, რომ ორგანიზაციული უზრუნველყოფისთვის დაფინანსება მივიღეთ. მოგეხსენებათ, პრეზიდენტისგან გამოყოფილი მილიონი ლარი ორ ორგანიზაციაზე განაწილდა, თანხის ძირითადი ნაწილი ჩვენმა ინსტიტუტმა მიიღო, დანარჩენი კი — ნინო დარასელის ორგანიზაციამ, თუმცა არ ვიცი, ნინომ ეს ფული როგორ გადაანაწილა.

**— ის რვაასი ათასი, რომელიც თქვენ გერგოთ, რომელ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გადაანაწილეთ და რა პრინციპით? ითქვა, გრანტი მხოლოდ იმ ადამიანებს მიეცით, რომლებიც წინა ხელისუფლების მხარდამჭერებად მიიჩნევიან.**

— ასე ვერ ვიტყოდი. დავით ტურაშვილს, რომელმაც მიხეილ სააკაშვილს პირდაპირ ეთერში აგინა, პრეზიდენტის მიერ გამოყოფილი მილიონიდან გრანტი მივეცით. საერთოდ, პრინციპით — ვინც სააკაშვილის მომხრეა, ფულიც იმას უნდა მივცეთ, არ გვიხელმძღვანელია. გრანტი ისეთმა ორგანიზაციებმა მიიღეს, რომლებსაც კომისიის წევრები არც კი იცნობდნენ, თუმცა ვერც იმას დავმალავთ, რომ ეკა ტყეშელაშვილისა და ირაკლი ფორჩხიძის ორგანიზაციებიც დაფინანსდნენ. თუ საკითხს ასე დავსვამთ, ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფულის მისაღებად შეიქმნა, რადგან ყველა გრანტებზე მუშაობს. დიახ, ჩემი ორგანიზაციაც 20 წლის წინ, ხელოვნურად შეიქმნა, მაგრამ სულაც არ მაქვს იმის განცდა, რომ პრეზიდენტის ფონდიდან ფულის მიღებით არასწორი გადაწყვეტილება მივიღე. სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილს, მომავალში, იგივე პრეცედენტის განმეორების საშუალება აღარ ექნება, თუმცა თუ ახალი პრეზიდენტიც გადაწყვეტს სამოქალაქო სექტორისთვის მილიონი ლარის გამოყოფას, შესაძლებლობის შემთხვევაში, თანხას მისგანაც დაუფიქრებლად მივიღებ. საერთოდ, არ მესმის, ფონდთან დაკავშირებით, ნეგატიური ტალღა რატომ აგორდა.

> **პირადად მე, პრობლემას, რომ პარადოქსულ ვითარებაში აღმოჩენილმა მიხეილ სააკაშვილმა, ხელისუფლებიდან წასვლის წინ, რეალობას სხვა თვალით შეხედა და სამოქალაქო სექტორის დაფინანსება გადაწყვიტა, ვერ ვხედავ.**

**— ბატონო გია, რომელ დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს პრეცედენტი, როცა დამოუკიდებელი ინსტიტუტი პრეზიდენტისგან ფინანსდება?**

— მსგავსი პრეცედენტი ბევრ სახელმწიფოში არაა, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ხელისუფლებამ სამოქალაქო სექტორის მხარდასაჭერად, ერთჯერადი გრანტი გამოყო. იცით, რა?! — კარგი იქნებოდა, მიხეილ სააკაშვილს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მილიონი ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ კი არა, ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც გამოეყო.

**— ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ მიხეილ სააკაშვილი მაგისტრანტ სტუდენტებს უცხოეთში სწავლას დაუფინანსებს. რატომ გაახსენდა პრეზიდენტს სტუდენტები ახლა?**

— როგორც ვიცი, პრეზიდენტი სტუდენტებს ადრეც აფინანსებდა, ახლა კი, უბრალოდ, ფორმულირება შეიცვალა.

> **საზოგადოება ყოველთვის ამბობდა, სააკაშვილი ამას მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის რეჟიმში აკეთებსო. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ბიძინა ივანიშვილმა დენის გადასახადი სამი თეთრით შეამცირა, წინასაარჩევნო რეჟიმშია და საზოგადოებას ატყუებს? რატომ არ ნერვიულობს საზოგადოება იმაზე, რომ პრემიერი აბსოლუტური ძალაუფლებისთვის იბრძვის? მმართველი გუნდი ყველა ხერხს მიმართავს, რათა სხვადასხვა სფეროში ნაციონალური მოძრაობის გავლენა გაანეიტრალოს, კერძოდ, თბილისის მერია, რომელზეც დიდი ხანია, შეტევები ხორციელდება, სასამართლო ხელისუფლება, საზოგადოებრივი მაუწყებელი და „რუსთავი 2“, რომლის „ოცნების“ ხელში მოქცევის პროცესი უკვე დაწყებულია.**

**— ესე იგი, აღიარებთ, რომ ნაცმოძრაობას სასამართლოზე, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და „რუსთავი 2“-ზე გავლენა ჰქონდა და ახლაც აქვს?**

— მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ივანიშვილს არ უნდა, ოპოზიციას მასთან საპაექროდ რაიმე სახის ბერკეტი შერჩეს. იგივე ხდებოდა აგრარულ უნივერსიტეტშიც, როცა მას ავტორიზაცია აბსოლუტურად პოლიტიკური ნიშნით გაუუქმეს. მაქვს ვარაუდი, რომ ამ საკითხით პირადად ბიძინა ივანიშვილი იყო დაინტერესებული, რადგან ფიქრობს, ჭკვიანი, ფულიანი და სტუდენტებში საკმაოდ დიდი რეიტინგის მქონე კახა ბენდუქიძე მმართველი გუნდისთვის საფრთხისშემცველია.

> **მართალია, კახა ბენდუქიძე, ბიძინა ივანიშვილთან შედარებით, ერთი ღარიბი ბიჭია, მაგრამ ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის იგი ყველაზე მდიდარი ფიგურაა, ამიტომაც ივანიშვილმა გიორგი მარგველაშვილს კახა ბენდუქიძის განეიტრალების პირდაპირი დავალება მისცა.**

**— ბატონო გია, დამეთანხმეთ, რომ ამ პროცესს პოლიტიკური ელფერი თავად ნაციონალებმა მისცეს, როცა სტუდენტთა აქციაზე მივიდნენ...**

— ადრეც ასე არ ხდებოდა?! — როცა ხელისუფლების წინააღმდეგ აქცია მიმდინარეობს, ოპოზიცია ცდილობს, ვითარების ეპიცენტრში იყოს. ვფიქრობ, ყველა რექტორი მმართველი გუნდის ან ოპოზიციის მომხრეა და ამაში არაბუნებრივს ვერაფერს ვხედავ. ყველა ადამიანს საკუთარი პოლიტიკური შეხედულება აქვს. ზოგადად, ოპოზიცია ხელისუფლებისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ასე აღიქვამს ნაციონალურ მოძრაობას. თუ ოპოზიციაში არის ადამიანი, რომელიც ერთდროულად ჭკვიანიცაა, ფულიანიც და უნივერსიტეტიც აქვს, საფრთხედ აღიქმება. არ ვამბობ, რომ სტუდენტები პოლიტიკური იარაღი გახდნენ, უბრალოდ, ნათელია, თუ ახალგაზრდებს უნივერსიტეტს დაუხურავ, საკუთარ ინტერესებს ბოლომდე დაიცავენ. პრემიერმა ვერ გაიაზრა, რომ სტუდენტები უკან არ დაიხევდნენ, ამიტომ იძულებული გახდა, გადაწყვეტილება შეეცვალა.

> **არ მომერიდება იმის თქმას, რომ აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის აღდგენით, განათლების სამინისტრომ თავისი გადაფურთხებული ალოკა, თუმცა თავისთავად, ფაქტი, რომ საკუთარი შეცდომის აღიარების უნარი მმართველ გუნდს აქვს, მისასალმებელია.**

**— შეცდომის აღიარება კახა ბენდუქიძესაც მოუწია, როცა ავტორიზაციისთვის აუცილებელი პირობები დააკმაყოფილა. გიორგი მარგველაშვილმა ისიც კი თქვა, ვულოცავ ბენდუქიძეს, კანონმორჩილი მოქალაქე გახდაო...**

— მარგველაშვილს თავის გასამართლებლად რაღაც ხომ უნდა ეთქვა? განათლების მინისტრი მხოლოდ პროცესების მსხვერპლი აღმოჩნდა, რადგან სხვის დავალებას ასრულებდა. ასეთი შეცდომების ფონზე, ნაციონალური მოძრაობის ტაქტიკა საკმაოდ გამართლებული მეჩვენება — სააკაშვილის გუნდი „ქართულ ოცნებას“ დროს აძლევს, რომ საზოგადოებამ ნათლად დაინახოს, რეალურად, რა შესაძლებლობების მქონე ხელისუფლება აირჩია. ვფიქრობ, სააკაშვილი ბევრად ადრე, ორ ოქტომბერს დანებდა, როცა არჩევნები წააგო და ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილს გადააბარა. ვფიქრობ, სწორადაც მოიქცა, რომ მარცხს მშვიდად შეხვდა და აჯანყება არ დაიწყო, თუმცა ნაციონალურ მოძრაობას რეალურად აქვს იმედი, ხელისუფლების პოპულარობა დიდხანს არ გაგრძელდება, ქვეყანაში ეკონომიკური და კრიმინოგენური ვითარება გაუარესდება, რაც უკვე სახეზეა და ამას ყველანი ვგრძნობთ.

**— ანუ ნაციონალური მოძრაობა დღეს ხელისუფლებას ოპონირებას კი არ უწევს, მხოლოდ ჩასაფრებულ პოზიციაშია და სხვა მხრივ, რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენს?**

— ვფიქრობ, ნაცმოძრაობას სურვილი აქვს, საზოგადოებამ რაც შეიძლება მალე დაინახოს, რომ „ოცნებამ“ მოატყუა. ზოგადად, მმართველი გუნდისთვის ნებისმიერი ოპოზიციური ძალა საფრთხეა, რომელსაც ენა და შესაძლებლობა აქვს, ხელისუფლების ნებისმიერი ქმედება გააკრიტიკოს. სხვათა შორის, იმ პირობებში, როცა უმრავლესობასა და უმცირესობას შორის კონსტიტუციურ ცვლილებებზე შეთანხმება მიღწეულია, „ქართული ოცნება“ ბევრად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა — ველარ მოიმიზეზებს მიხეილ სააკაშვილის გიჟურ გადაწყვეტილებებსა და მთავრობის დათხოვნის საფრთხეს, რაზეც რამდენიმე თვის განმავლობაში ყურადღების კონცენტრირებას ახდენდა. ნაციონალური მოძრაობის ხელში არსებული შესაძლო საფრთხე განეიტრალებულია და ახლა „ოცნებისგან“ დაპირებების შესრულებას ველოდებით.

## ვერსიანიუსი

### პრეზიდენტ სააკაშვილს 54 ავტომანქანა ემსახურება

არასამთავრობო ორგანიზაცია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას აქვეყნებს. 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ყველაზე მაღალი პრემია — 47 710 ლარი ადმინისტრაციის პროტოკოლისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ზურაბ დარჩიაშვილმა აიღო. გაცემული პრემიის ოდენობით, მეორე ადგილზე პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი ნათია ბანძელაძეა 40 013 ლარით, მესამეზე კი, პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი, რომელმაც 13 თვის განმავლობაში 38 940 ლარის პრემია აიღო, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციიდან მიწოდებულ ინფორმაციაში არ არის მითითებული თანამდებობის პირების სახელები, დანამდვილებით იმის თქმა, პრეზიდენტის შვიდი მრჩევლიდან რომელს ეკუთვნის ეს პრემია, შეუძლებელია.

**„ადმინისტრაციამ მოგვაწოდა ინფორმაცია ბალანსზე რიცხული ავტომანქანების შესახებაც, რის მიხედვითაც, ირკვევა, რომ 54 ავტომანქანა ემსახურება ადმინისტრაციას“,** — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში. ასევე, ცნობილი ხდება, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2012 წელს სახელმწიფო შესყიდვებზე სულ 3 040 723,48 ლარი დახარჯა.

**„მაგალითად, პრეზიდენტის სასახლის დასათვალიერებლად მოსული სტუმრებისთვის კვების მომსახურების შესყიდვაზე დაიხარჯა 72 294,4 ლარი“,** – აღნიშნავენ IDFI-ში.

2013 წლის 11 თებერვლის მონაცემებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შტატში დასაქმებულია 139 თანამშრომელი, შტატგარეშედ — 5. 2010 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 11 თებერვლამდე, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან საკუთარი ინიციატივით გათავისუფლდა 69 თანამშრომელი, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად — 3 თანამშრომელი. როგორც IDFI-ში აცხადებენ, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე პასუხი მიღებული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის, პირველი ნაწილით გათვალისწინებული პროცედურული ნორმის დარღვევით — ინფორმაცია მოწოდებულია ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის შემდეგ.

*„მედიანიუსი“*



## ოფიციალური თბილისი რუსეთის მიერ შავ ზღვაში სამხედრო წვრთნების დაწყების გამო შეშფოთებულია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შავი ზღვის რეგიონში რუსული შეიარაღებული შენაერთების ფართომასშტაბიანი წვრთნების მოულოდნელად დაწყებას ითვალისწინებს.

რუსეთის ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, რომ წვრთნებში, დაახლოებით, 7000 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს, მათ შორის, საავიაციო და საზღვაო შენაერთებიდან და ჩართულია 30-ზე მეტი სამხედრო ხომალდი. წვრთნები საქართველოს სახმელეთო და საზღვაო საზღვრების სიახლოვეს ტარდება და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ მათი ჩატარების ხანგრძლივობისა თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ.

**„აღნიშნული წვრთნები დაუგეგმავია და სცდება სამხედრო შენაერთების განლაგების ჩვეულ ადგილს, რომელიც შესაბამისობაშია „ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ“ ვენის 2011 წლის დოკუმენტთან. მასშტაბიდან გამომდინარე, წვრთნები ვერ მიიჩნევა მოსალოდნელ საფრთხეზე პროპორციულ რეაგირებად. რუსეთის ქმედება ეწინააღმდეგება ევროპის სამეზობლოში სტაბილურობისა დაცვის ინტერესებს. საქართველო შეშფოთებულია რუსული სამხედრო შენაერთების მოულოდნელი და პროვოკაციული ქმედებებით, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ რუსეთი კვლავაც უარს აცხადებს, უპასუხოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2010 წელს ცალმხრივად ნაკისრ ვალდებულებას ძალის არგამოყენების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 7 მარტს, ერთსულოვნად მიღებული დეკლარაციით დაადასტურა“,** — ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

საქართველო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, უზრუნველყოს რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულება. რუსეთის მიერ შავ ზღვაში დაწყებულ სამხედრო წვრთნებს ამერიკის შეერთებული შტატები ეხმიანება და სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი ვიქტორია ნულანდი აცხადებს, რომ წვრთნები საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებს არ სცდება.

***„მედიანიუსი“***

## შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა




სამართალდამცველებმა თელავის რაიონის სოფელ რუისპირში, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით, 42 წლის სიმონ ხ. ხოლო ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციისთვის 55 წლის ელიზბარ რ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სიმონ ხ-ს პირადი ჩხრეკისას ერთ შეკვრად დაფასოებული „ჰეროინი“ ამოიღეს. იმავე დღეს დააკავეს ნარკოტიკული საშუალების რეალიზატორი, რომლისგანაც სიმონ ხ-მ „ჰეროინი“ შეიძინა. ელიზბარ რ-ს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 12 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინი“ ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნარკოტიკის საერთო წონა 2,4234 გრამს შეადგენს, რომელშიც 0, 1882 გრამი „ჰეროინი“ აღმოჩნდა.

**„გამოძიებამ დაადგინა, რომ ელიზბარ რ-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ თურქეთის რესპუბლიკაში შეიძინა და საქართველოში რეალიზაციის მიზნით ჩამოიტანა. ნარკოლოგიური შემოწმებისას, დაკავებული სიმონ ხ-ს სისხლში „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების კვალი აღმოჩნდა“,** — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება) პირველი ნაწილის და 262-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალები უკანონო შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე) პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამმართველო აწარმოებს.

***„ინტერპრესნიუსი“***

# პაპუნა დავითაიას „ნაციონალური გრეხები“

## რა გარიგება ჰქონდა ნაცმოძრაობასთან, ვის უკერავდა ჩოხებს და რატომ გაცვალა ხელოვნება პოლიტიკაზე დიასპორის ყოფილმა მინისტრმა და ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატმა



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**შუალედურ არჩევნებში დარეგისტრირებულ კანდიდატთა ნაწილი საარჩევნო დაპირებებს უკვე აფრქვევს. ამ მხრივ, ერთ-ერთი აქტიური, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი პაპუნა დავითაიაა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იყო და რომლის სახელსაც არაერთი დამთავრებულ-დასამთავრებელი პროექტი უკავშირდება... დავითაია ახლა პარლამენტში შესასვლელად სწორედ იმ რაიონში იბრძვის, რომელმაც რამდენიმე თვის წინ, მაჟორიტარად „ოცნების“ ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი, მრისხანე ქალბატონი, იუსტიციის ამჟამინდელი მინისტრი თეა წულუკიანი აირჩია. მანამდე კი, ნაძალადევი მაჟორიტარის მარადიული მანდატით მერაბ სამადაშვილს აჯილდოვებდა... პაპუნა დავითაიას ადვილი ბრძოლა სულაც არ ელის, მით უმეტეს, ახალი რეალობის გათვალისწინებით.**

### რას პირდება პაპუნა დავითაია ნაძალადეველებს

რამდენიმე დღეა, ნაციონალებმა დადიანის ქუჩაზე საარჩევნო შტაბი დააკომპლექტეს და ჩვეული ტემპით, მოსახლეობასთან შეხვედრებსაც მართავენ. პაპუნა დავითაია ოპონენტებზე ორაზროვნად ამბობს, წინასაარჩევნო კამპანიას წარსულ შეცდომებზე აგებენო, თუმცა საკმარისია, მის დაპირებებს მოუსმინოთ, რომ აშკარად მიხვდებით, შეცდომების გამეორებაზე უარს არც თვითონ ამბობს:

— პირველ რიგში, ყველა ნაძალადეველს ვპირდები, რომ არ ვიქნები კანდიდატი, რომელიც დეპუტატი გახდება და მერე, ამომრჩეველს თვალით აღარ ენახვება! სწორედ ეს პრეტენზია მესმის ახლადარჩეულ მაჟორიტარებზე — არჩევნების შემდეგ ისინი მოსახლეობას თვალით აღარ უნახავს. მე კი ჩემს ამომრჩეველთან მჭიდრო კონტაქტს შევინარჩუნებ.

დღეს პოლიტიკური დუღილი, ძირითადად, ისეთ თემებზე მიდის, რაც ხალხის პრობლემებს სულაც არ ეხმაურება. კომიკური აღმოჩნდა პარლამენტში მიღებული რამდენიმე, მაგალითად, პრეზერვატივების კანონი, რომელიც ჩვენს მოსახლეობას ყველაზე მეტად არ სჭირდება! რაც შეეხება ჩოხების კანონს, კულტურის სამინისტროში ფოლკლორის პროგრამას ვკურირებდი და საქართველოში ყველაზე მეტი ჩოხა სწორედ მაშინ შეიკერა, მაგრამ ეს ჩოხები ზვიად ძიძიგურის ფრაქციისთვის არ შემიკერავს! ეს ხუმრობით...

პარლამენტში ჩემი მთავარი საზრუნავი იქნება, რომ საკინკლაო საკითხები გვერდზე გადავდოთ და კონცენტრაცია იმაზე მოვახდინოთ, როგორ ამუშავდეს ეკონომიკა. სხვათა შორის, ბოლო თვეებში ინფრასტრუქტურული პროექტების გაჩერებამ, ათასობით სამუშაო ადგილის გაუქმება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში, ნაძალადევზეც ძალიან ცუდად აისახა. მაგალითად, რკინიგზის გადატანის პროექტი, ე.წ. შემოვლითი რკინიგზა, ერთი მხრივ, მოსახლეობას ასაქმებდა, მეორე მხრივ კი, ნაძალადევისთვისაც მართლა ახალი სიცოცხლე იყო, მაგრამ ეს პროექტი გაურკვეველი ვადით, თითქოს ჯინაზე, იმის გამო გაჩერდა, რომ „ოცნების“ პროექტი არ იყო! რატომ გაჩერდა ხიდის, შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა და რატომ უშვებენ ადამიანებს სამსახურიდან? — ჩემი მიზანი სწორედ ამ კითხვებზე პასუხი და შემდეგ, გამოსვლის ძიებაა!

### „ოჯახი მხარს ჩემს მეორე, სახელოვნებო ცხოვრებას უჭერს, რადგან ის უფრო უსაფრთხოა!“

ალბათ, ყველამ არ იცის, რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ფერმწერი, რეჟისორი და ფილმების პროდიუსერიცაა. პაპუნას მეუღლე, ჟურნალისტი ნატალია თოფურია მხარს სწორედ ამ „სახელოვნებო ცხოვრებას“ უჭერს. ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატი სამი ქალიშვილის — ლიზას, ანასტასიასა და თვეების ნინას მამაა. „ბიჭი რომ არ მყავს, ამაზე სულ არ ვნერვიულობ“, — ამბობს დავითაია... როცა თავის მეორე ანუ სახელოვნებო ცხოვრებაზე საუბრობს, შეუძლებელია, არ ჰკითხო, თუკი ხელოვნება ასე გიყვარს, პოლიტიკაში რაღას მიდიოდიო. ამ კითხვაზე, ყველა ნაციონალის დარად, დავითაიაც პათეტიკურად პასუხობს:

„მინდა, ჩემი ქვეყანა უკეთესი იყოს და ამას სრულიად გულწრფელად გეუბნებით...

ვიდრე მინისტრი გავხდებოდი, გერმანიაში ვცხოვრობდი და სტუდია „კარტუმ ფილმში“ მულტიპლიკაციურ ფილმებზე ვმუშაობდი. გერმანიაში წასვლამდე კი, კინოსტუდიასთან არსებული მულტიპლიკაციური სკოლა დავამთავრე. ცნობილ მერაბ სარალიძესთან ერთად, რომელმაც „სოფლის მაშენებელნი“ გადაიღო, რამდენიმე ფილმზეც ვმუშაობდი. ასე რომ, ბავშვობიდან ამ სფეროში ვარ. სხვათა შორის, ახლა კიდევ ერთ ჰოლივუდურ ფილმზე ვმუშაობ — ჰოლივუდიდან ერთი თვის წინ დავბრუნდი. საერთოდ, ოჯახს უნდოდა, მობილიზება სწორედ სახელოვნებო ნაწილზე გამეკეთებინა... მოვახერხე, დრო გამოვნახე და ხატვას დავუბრუნდი — რამდენიმე შემოთავაზება პარიზის, ლონდონისა და ნიუ იორკის გამოფენებიდან მაქვს... ოჯახი მხარს, რა თქმა უნდა, ჩემს მეორე, სახელოვნებო ცხოვრებას უჭერს — ეს უფრო უსაფრთხო, წყნარი და მშვიდია, ამდენ პაექრობასა და დაპირისპირებას არ ითხოვს. გინახავთ პროდიუსერები დებატებში? რომ გითხრათ, ოჯახს დიდად გაუხარდა გახურებულ პოლიტიკაში ჩემი ჩართვა-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ რა სხვა გზაა — მას მერე, რაც გადაწყვეტილება მივიღე, ყველანაირად მხარს მიჭერენ“.

### ფერმერი ბურები, საარჩევნოდ დარიგებული მოწმობები, ლევილის მამული და „აგვისტოს 5 დღის“ ჩავარდნილი პრემიერა

**— გასული წლის ოქტომბრიდან დღევანდლამდე რამე შეიცვალა, შუალედურ არჩევნებში თქვენს, როგორც ნაციონალების კანდიდატის მონაწილეობას აზრი ჰქონდეს?**

— განწყობა რაციონალიზმის სასარგებლოდაა შეცვლილი. ვფიქრობ საქართველოს, ამ შემთხვევაში ნაძალადევს, შემიძლია, ისეთი რამ შევთავაზო, რაც ჩემს ოპონენტებს არ შეუძლიათ.

**— საერთოდ, ნაძალადევთან რა გაკავშირებთ?**

— ამ რაიონში ვარ დაბადებული და ბევრი მეგობარიც მყავს. ასე რომ, ნაძალადევი ჩემთვის შორეული და უცხო რაიონი არ არის.

**— ამ რაიონში ნაციონალურ მოძრაობას მთლად კარგი „ბეგრაუნდი“ არ აქვს...**

— ჯერ ერთი, ეს მაჟორიტარული არჩევნებია და ყველაფრის პარტიულ რეიტინგზე მიბმა სწორი არ იქნება. ჩემი ძირითადი ოპონენტი „რესპუბლიკელებთან“ დაახლოებული კანდიდატია „ოცნებიდან“. არ ვფიქრობ, „რესპუბლიკელებს“ უკეთესი რეიტინგი აქვთ. საერთოდ, მგონია, ამ არჩევნებში აქცენტი პიროვნებებსა და იმაზე გაკეთდება, ვისი იდეები უფრო ახლოს დგას ნაძალადევის პრობლემებთან. შეხვედრები უკვე დავიწყე და როგორც ნაციონალ კანდიდატს, ხალხისგან აგრესია არ მიგრძვნია. აგრესია თუ წამოვა, ეს ჩემი პირადი შეცდომების გამო უნდა მოხდეს. ნაძალადევში კენჭს კახა კუკავა და გიორგი გუგავაც იყრიან. მართალია, ისინი გამოცდილი პოლიტიკოსები არიან, მაგრამ მათი ხედვა, ჯერჯერობით, მხოლოდ აგრესიულ-სადამსჯელოა. ვფიქრობ, ეს ის არაა, რაც ჩვენს მოსახლეობას სჭირდება. არ შეიძლება მუდმივად წარსულზე საუბარი.

**— მართალია, წარსულზე ლაპარაკი არ გინდათ, მაგრამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მაშინდელმა ოპოზიციამ ბრალი ემიგრანტი ქართველების ხმების გაყალბებაში დაგდოთ. რა მოწმობები გადაეცით მაშინ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს?**

— იმედია, ეს ბრალდება მხოლოდ საქმეში ჩაუხედაობამ გამოიწვია... ეს თანამემამულის მოწმობა იყო, რომელიც საქართველოს არამოქალაქე ჩვენს თანამემამულეებს იმიტომ ეძლევათ, რომ საქართველოში უცხოელზე მეტი უფლება ჰქონდეთ.

*დასასრული მე-11 გვერდზე*

*მე-10 გვერდიდან*

საუბარია საქართველოში უვიზოდ შემოსვლაზე, საჯარო სკოლაში უფასოდ სწავლასა და არა არჩევნებში ხმის მიცემაზე. ეს ამ მოწმობის მოკლევადიანი ეფექტია, რაც შეეხება გრძელვადიანს, ჩვენი მოქალაქეების იდენტიფიცირება ხომ გვჭირდება? — რამდენიმე თაობის შემდეგ, ეს ამბავი შეიძლება, ძალიან გაგვიჭირდეს, რადგან არის ქვეყნები, სადაც ქართველები გვარს, ენასა და რელიგიას ვერ ინარჩუნებენ. ამ ადამიანების იდენტიფიცირებას სწორედ ამ მოწმობებით ვაპირებთ.

**— ახლა კი, ყველა დროის ჩამჭრელ კითხვაზე მიპასუხეთ — რამდენი ემიგრანტი გვყავს და აქედან რამდენია არალეგალი?**

— აი, ეგ მართლა რთული თემაა — რაოდენობა, რა თქმა უნდა, არ ვიცით. ქვეყნიდან გასული ადამიანების იდენტიფიკაცია არ ხდებოდა და ვერავინ გეტყვით, საზღვარგარეთ რამდენი მოქალაქეა გასული. მათ ჩვენს ქვეყანასთან ინსტიტუციური ბმა სწორედ მას შემდეგ გაუჩნდებათ, რაც ზემოხსენებულ საბუთს აიღებენ.

**— თუ ამდენ პრობლემას წყვეტდა, ამ საბუთის დარიგება 2012 წელს, არჩევნების წინ უნდა დაგეწყოთ?**

— რა თქმა უნდა, უფრო ადრეც შეიძლებოდა და საერთოდ, კარგი იქნებოდა, ეს ამბავი მეცხრამეტე საუკუნეში მომხდარიყო.

**— ინვესტორი და ფერმერი ბურების ჩამოსახლების პროექტი რატომღა ჩაგივარდათ?**

— სულ 25-მდე წარმატებული, გამართული „ბურული“ მეურნეობაა საგარეჯოში, სართიჭალაში. ბურების რაოდენობა არასოდეს დამისახელებია და არც ის დამიანონსებია, მათგან საქართველოში რამდენი დარჩებოდა, თუმცა ბურების ჩამოსახლება ჩავარდნილ პროექტად ნამდვილად არ მიმაჩნია.

**— ლევილის მამულთან დაკავშირებით რაღა მოხდა — საქართველომ დაიბრუნა, ააყვავა, მუზეუმიც ააშენა და, საერთოდ, ყველაფერი თქვენი ანონსის მიხედვით მიდის?**

— ეს მოლაპარაკებები, ათწლეულების განმავლობაში ჩიხში იყო შესული. ბევრი ბარიერი იყო, რათა ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის წევრთა შთამომავლებს საქართველოსთვის ლევილის გადმოცემაზე თანხმობა განეცხადებინათ. შარშან, მაისში, ამ საბუთს ხელი მოვაწერეთ, გადმოცემის პირობებზეც დავიწყეთ მუშაობა, მუზეუმის პროექტიც გამზადებულია, მაგრამ ამასობაში, თანამდებობა დავტოვე. პროექტი ახალი ხელისუფლების ხელთაა და იმედია, დაასრულებს!

**— ე.ი. პასუხისმგებლობას იხსნით?**

— არა, რატომ? თუ ჩვენი დახმარება დასჭირდებათ, ამას სიამოვნებით გავაკეთებთ.

**— „აგვისტოს 5 დღის“ პროდიუსერი ხართ — რატომ არ შედგა დაპირებული მსოფლიო პრემიერა და როცა ერთი მინისტრი ამ ფილმს იღებდა, მეორე, გრიგოლ ვაშაძე მოსკოვს კონცერტების ჩატარებას რატომ ეხვეწებოდა. როდის იყო თქვენი მთავრობა გულწრფელი?**

— ამ შემთხვევაში, გიპასუხებთ, როგორც პიროვნება — ბავშვობიდან უამრავი რაღაც მაქვს გადაღებული... ამას ვაკეთებდი არა, როგორც საჯარო მოხელე. ეს მნიშვნელოვანი დეტალია!

რაც შეეხება ფილმს, დიახ, იგი დიდ მოგებაზე ნამდვილად ვერ გავიდა და ამის მიზეზსაც გეტყვით: საერთოდ, ყველა ფილმი, რომელიც ჰოლივუდში კეთდება, წარმოების ბიუჯეტის გარდა, ხშირად, ორჯერ მეტ სადისტრიბუციო ბიუჯეტს საჭიროებს. პროდუქტს რეკლამირებაც უნდა.

**— ფილმი იმიტომ კი არ ჩავარდა, რომ რენი ჰარლენის საშუალო დონის ბოევიკი იყო, არამედ მისი რეკლამირება ვერ მოახერხეთ?**

— ამაზე „საშუალო ფილმები“ ბევრად დიდ მოგებაზე გადიან, ეს სუფთა მარკეტინგული ამბავია და ფილმის შინაარსსა და ხარისხთან კავშირში არაა.

**— შერონ სტოუნის მერე, საქართველოში შარლოტა გინსბურგიც ჩამოიყვანეთ და ფრანგული ფილმის გადაღება დაიწყო. ეს რა პროექტია?**

— ფილმში საქართველო ნახსენები არაა, თუმცა მისი პროდიუსერი ვარ. გადაღებები კი, საქართველოში იმიტომ მიდიოდა, რომ კომუნისტური არქიტექტურა გვჭირდებოდა. გარდა ამისა, ქართველი კინემატოგრაფების დასაქმება მინდოდა. 1994 წლიდან ამ ინდუსტრიაში ვარ, ბევრი მეგობარი მყავს, მათ შორის, ფრანგი პროდიუსერებიც და ეს ფილმი საქართველოში სწორედ მათი მეშვეობით „გადმოვქაჩე“, თორემ მისი გადაღება რუმინეთში იგეგმებოდა. საქართველოში გადაღება უკვე დასრულდა, ახლა საბოლოო დამუშავება პარიზში მიმდინარეობს და ამ ფილმს მაისში, კანის კინოფესტივალზე იხილავთ.

**— ისე, ნაძალადევში ერთი-ორჯერ გინსბურგსა და სტოუთან ერთად რომ გაიაროთ, არ ფიქრობთ, არჩევნების მოგების მეტი შანსი გექნებათ?**

— თქვენ ასე ფიქრობთ? ჩამოყვანას ვერ მოვასწრებ, თან მგონია, ნაძალადეველებისთვის ბევრად მნიშვნელოვანია დასაქმება და არა გინსბურგის ყურება. რეალურად, ოპოზიცია, თუკი ის კონსტრუქციულია, ხელისუფლებას ეხმარება. ჰოდა, მე რომ კონსტრუქციული ოპოზიცია ვიქნები, ამის გარანტიას გაძლევთ — დავეხმარები ხელისუფლებას, არ დაუშვას შეცდომები და მეტი საქმე აკეთოს!

**— რაკი სიტყვა გარანტიებზე ჩამოვარდა, ხმა დადის, დავითაია ნაციონალებს არჩევნებში მონაწილეობას იმ პირობით დათანხმდა, თუ დეპუტატი ვერ გახდება, ნაძალადევის რაიონის გამგებლად დანიშნავენო...**

— ეს არ არის შეთანხმება, ვერ დავადასტურებ! მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ და სხვა არაფერზე! შეიძლება, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, ნაძალადევში რაიმე პოსტზე ჩემი დარჩენა უნდოდეს, მაგრამ ნაძალადევში მხოლოდ მაჟორიტარად დავრჩები!

# თემურ შაშიაშვილი: „26 მაისს სააკაშვილს აღლუმის ჩაბარების უფლებას არ მივცემთ!“

რუსუდან შელია
557-100-768

**სახალხო კრების მთავარი საბჭოს წევრი, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას მმართველ გუნდს ბრალს პოლიტიკის მონოპოლიზებაში სდებს. სწორედ ამიტომ და, კიდევ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, საზოგადოებრივ პარლამენტს ქმნის, რომელიც მუშაობას სამ თვეში დაიწყებს და რომელიც პოლიტიკოსებს გააკონტროლებს:**

სახალხო კრება „გაპარპაშებული პოლიტიკოსების“ გასაკონტროლებლად საზოგადოებრივ პარლამენტს ქმნის



— „ქვეყანაში პოლიტიკის მონოპოლიზების პროცესი მიმდინარეობს, რომელიც „მოქკავშირის“ დროს დაიწყო... ახალმა მმართველმა გუნდმა კოჰაბიტაცია არასწორად გაიგო და ფიქრობს, ასპარეზზე მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალა უნდა დარჩეს, დანარჩენები კი, უბრალოდ, დაიხოცნენ! ხელისუფლებას ამ გეგმის განხორციელებას არ ვურჩევ, რადგან გაპარპაშებული პოლიტიკოსების წინააღმდეგ საკმაოდ ეფექტური მექანიზმი შევიმუშავეთ. ამ პროექტისთვის თვეში 10-12 ათასი ლარი გვჭირდება...

**— ბატონო თემურ, ასეთი რა პროექტია და, საერთოდ, პოლიტიკოსთა გასაკონტროლებლად ფული რა საჭიროა?**

— უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი პარლამენტი, რომელიც პოლიტიკოსებზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს და გპირდებით, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები საკუთარ ბედს დაწყევლიან. საზოგადოებაც დარწმუნდება, რომ „ქართული ოცნება“ იტყუება, როცა ცდილობს დაგვაჯეროს, თითქოს ქვეყანაში ერთადერთი ოპოზიციური ძალა ნაციონალური მოძრაობაა. „ოცნებას“ ავიწყდება, რომ ოპოზიცია პოლიტიკური სუბიექტი კი არა, სწორედ ის ხალხია, რომელიც ხელისუფლებას საკუთარი ჯიბით ქირაობს და აკონტროლებს. ვწუხვარ და განვიცდი, რომ „ქართული ოცნება“ თავისი წინამორბედების კვალს მიყვება.

**მეგონა, ბიძინა ივანიშვილი არასოდეს დაუშვებდა, რომ მინისტრს ან დეპუტატს პენსიონერზე ოცჯერ მეტი ხელფასი ჰქონოდა, მაგრამ სამწუხაროდ, შევცდი. დღეს საქართველოში ადამიანი იმდენ ფულს ბიზნესში ვერ შოულობს, რამდენსაც — სახელმწიფო სამსახურში და მარწმუნებენ, რომ კორუფციას ებრძვიან?! საზოგადოებრივი პარლამენტი სწორედ იმ პოლიტიკოსების რისხვა იქნება, რომლებიც გაბიუროკრატდნენ.**

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ სახალხო კრების საბჭოს სხდომა გამართა, სადაც სამოქმედო გეგმაზე ვიმსჯელეთ.

**— ესე იგი, სახალხო კრება დუმილს არღვევს და მესამე პოლიტიკურ ცენტრად ფორმირებას ცდილობს?**

— დღეს ადამიანები არსებობისთვის იბრძვიან — პრაქტიკულად, დარვინის ეპოქაში ვცხოვრობთ. ხალხთან ყოველდღიური კონტაქტი მაქვს და კარგად ვიცი, რომ საზოგადოებაში პირველი ოქტომბრის ზეიმი ნელ-ნელა კვდება. თუ პროცესები ასე გაგრძელდა, დასასრული მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის დამარცხება კი არა, კატასტროფა იქნება. დიახ, რეალობა ისეთი სულაც არაა, როგორიც არჩევნების შემდეგ წარმოგვედგინა... ისიც სამწუხაროა, რომ ბატონ ბიძინას სახალხო კრების წევრებთან შეხვედრის სურვილი არ გაუჩნდა.

**კარგი, ვთქვათ, თემურ შაშიაშვილი არ მოსწონს, მაგრამ ნონა გაფრინდაშვილმა და რეზო ესაძემ რა დაუშავა? ამიტომ ვფიქრობთ, თუ რეალური ბიძინა ივანიშვილისა და მისი პროგრამების ხილვა გვინდა, პრემიერს, პირველ რიგში, ჩასაფრებული ნაციონალური მოძრაობა უნდა მოვაშოროთ — პრეზიდენტი ისეა ჩასაფრებული, შიმშილით გარდაცვლილი ბავშვითაც კი მანიპულირებს. როცა ნაციონალებს მოვიშორებთ, კოალიციას შემდეგ ვანახებთ, რას ნიშნავს ნამდვილი ოპოზიცია.**

**— ნაციონალების ჩამოშორების გეგმაც შემუშავებული გაქვთ?**

— ნაცმოძრაობის 90%-სთვის სააკაშვილი უკვე მიუღებელია, რადგან იციან, რომ ეს ადამიანი მათ პოლიტიკურ მომავალს ღუპავს, მაგრამ სუსტები არიან და ამას ხმამაღლა ვერ ამბობენ. სახტად დავრჩი, როცა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ნაციონალურ მოძრაობას სახე შევუნარჩუნეთო...

რაც შეეხება გეგმებს, ჩვენი პირველი მოთხოვნა ვადამდელი არჩევნების დანიშვნაა. პარალელურად, ნაციონალების იმპიჩმენტს დავიწყებთ და სასამართლოში სარჩელსაც შევიტანთ. ქვეყნისთვის აუცილებელია, ვადამდელი არჩევნები სექტემბერში ან მაქსიმუმ, 2014 წლის მაისში გაიმართოს. თუ საქართველო ბიძინა ივანიშვილსაც უყვარს, ეს ნაბიჯი უნდა გადადგას, რადგან არსებული პარლამენტი სამარცხვინოა. იმ მილიონნახევარ ხელმოწერას, რომელიც სააკაშვილის წინააღმდეგ შევაგროვეთ, ახლა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნისკენ მივმართავთ. იმაზეც შევთანხმდით, რომ წელს, 26 მაისს, მიხეილ სააკაშვილს აღლუმის ჩაბარების უფლებას არ მივცემთ და სააკაშვილის გასამართლების პროცესი სწორედ 26 მაისს დაიწყება!

**— ბატონო თემურ, რა ამის პასუხია და, მას შემდეგ, რაც რუსი ოლიგარქის, ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალების შესახებ გახდა ცნობილი, ითქვა, რომ ბერეზოვსკი და სააკაშვილი ბათუმში ერთმანეთს ფარულად ხვდებოდნენ და ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესს ინაწილებდნენ...**

— ბერეზოვსკიმ ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა მეგობრობა გივი თარგამაძესთან დაიწყო. უკრაინაში საკმაოდ ცნობილმა პიროვნებებმა მითხრეს, გავოცდით, როცა ბათუმში მმართველი გუნდის მიერ ჩვენთვის გაშლილ სუფრასთან ბერეზოვსკიც აღმოჩნდაო. დიახ, ბერეზოვსკი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, სააკაშვილის გუნდი კი მას ფეხქვეშ ეგებოდა და ამის მოწმეებიც არსებობენ. იცით, სააკაშვილი ამას რატომ აკეთებდა? — პუტინთან მებრძოლი დემოკრატის იმიჯს იქმნიდა, რის გამოც, აბსოლუტურად ყველას შეეკრა, მათ შორის ბერეზოვსკისაც. გარწმუნებთ, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება, ყველას, ვისაც კი მასთან მცირეოდენი შეხება ჰქონია, ძალიან შერცხვება. სააკაშვილი ადრე მეუბნებოდა, შენ ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი ხარო, მაშინ მასთან ერთად პარტიის შექმნაზეც იყო საუბარი, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ეს არ გავაკეთე — მივხვდი, საქმე რასთანაც მქონდა. ედუარდ შევარდნაძისთვისაც არაერთხელ მითქვამს, რეალური პრეზიდენტი იყავი და სააკაშვილი თავზე ნუ დაისვი-მეთქი, მაგრამ არ მომისმინა...



## 1 აპრილიდან 67 წლამდე პირთა პენსია 125 ლარამდე გაიზრდება

1 აპრილიდან პენსიები იზრდება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 67 წლამდე ასაკის პირთა პენსია 110-დან 125 ლარამდე გაიზრდება.

1 აპრილიდან, ასევე, მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა (I ჯგუფის ინვალიდები) პენსია 100-დან 125 ლარამდე გაიზრდება.

1 ივლისიდან სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის (57 ათას ქულამდე მყოფი) პირველ წევრზე, 30-ის ნაცვლად, 60 ლარი გაიცემა, ხოლო ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე, არსებული 24-ის ნაცვლად — 48 ლარი.

1 სექტემბრიდან ყველა პენსიონერისა და პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსია 125-დან 150 ლარამდე გაიზრდება.

შშმ ბავშვთა და II ჯგუფის ინვალიდობის პენსია 70-დან 100 ლარამდე გაიზრდება. მარჩენალდაკარგულებისა და პოლიტრეპრესირებულების პენსია კი, — 55-დან 100 ლარამდე.

*„ინტერპრესნიუსი“*



## უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაკულტეტების სია, სადაც სწავლა უფასო იქნება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა ფაკულტეტების ნუსხა გამოაქვეყნა, სადაც სწავლა უფასო იქნება და სტუდენტებს სახელმწიფო დააფინანსებს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა) 200 ადგილი; ისტორია — 150;

არქეოლოგია — 25; ფილოსოფია — 25; განათლება — 25; მათემატიკა — 100; ფიზიკა — 100; ქიმია — 100; ბიოლოგია — 100; ეკონომიკა — 400.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: მათემატიკა — 50 ადგილი; საინჟინრო ფიზიკა — 100; მშენებლობა — მათემატიკა — 500; არქიტექტურა — 150; ინჟინერია (ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია) — 450.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა) 50 ადგილი; ისტორია — 100; არქეოლოგია — 50; ფიზიკა — 100; ბიოლოგია — 50.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა) 135 ადგილი; ისტორია — 50; არქეოლოგია — 25; განათლება — 200; მათემატიკა — 50; ფიზიკა — 25; ბიოლოგია — 60; ეკონომიკა — 90. ინჟინერია (ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია) — 60.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა) 55 ადგილი; მათემატიკა — 30; ფიზიკა — 20; ბიოლოგია — 25; აგრონომია —20; მშენებლობა — 25.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა) 15 ადგილი; ისტორია — 15; არქეოლოგია — 15; ქიმია — 10; ბიოლოგია — 10; ეკონომიკა — 10.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ბიოლოგია: 25 ადგილი.

***„ვერსიანიუსი“***



## 1 აპრილიდან სწრაფი გადახდის აპარატებით ტელეფონის ბალანსის შევსების წესი იცვლება

1 აპრილიდან მობილური ოპერატორების („მაგთიკომი“, „ჯეოსელი“ და „ბილაინი“) მომხმარებლები ბალანსის შევსების საკომისიოს თავად გადაიხდიან.

საკომისიოს ოდენობას თითოეული სწრაფი გადახდის კომპანია ინდივიდუალურად განსაზღვრავს.

ანგარიშის შევსება საკომისიოს გადახდის გარეშე კვლავაც შესაძლებელი იქნება სხვა ალტერნატიული გადახდის საშუალებების გამოყენებისას (სასაუბრო ბარათები, ოპერატორების სერვის-ცენტრები და ოპერატორების ვებ-გვერდები).

***„პირველი“***

# განათლების სამინისტრო ინკლუზიური სწავლების ახალ მოდელს ნერგავს

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**საქართველოში ინკლუზიურმა განათლებამ ფეხი ვერ მოიკიდა, რასაც ექსპერტები, პროგრამის არასწორ დაგეგმვასთან ერთად, საზოგადოებაში არსებული სტიგმითაც ხსნიან — მოსწავლეებმა სპეციალური საჭიროების მქონე თანატოლები მიიღეს და მათ დაუმეგობრდნენ კიდეც, მაგრამ მშობლების უმეტესობამ გააპროტესტა, არ მინდა, ჩემი შვილის გვერდით, ეტლში მჯდომი ან სხვა პრობლემის მქონე ბავშვი სწავლობდეს, რადგან ამის გამო ჯანმრთელი ბავშვი სტრესს იღებსო.**



## აღდგება თუ არა სპეცსკოლები და რა სქემით მოხდება მოსწავლეთა მიღება სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში

თავის დროზე, ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვისთანავე, კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც სკოლის დირექტორს არ აქვს უფლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სკოლაში მიღებაზე უარი უთხრას, პარალელურად, სპეცსკოლებიც დაიხურა. ეს ცვლილებები ზოგიერთ საჯარო სკოლაზე უარყოფითად აისახა, რადგან ინკლუზიურ სწავლებაში, მაგალითად, ჰიპერაქტიური ანუ ის ბავშვებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც თანაკლასელებს ფიზიკურად უსწორდებიან და არაადეკვატური ქცევით გამოირჩევიან. კანონმდებლობით, დირექტორს ასეთი მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის უფლება არ აქვს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ 2013-16 წლების სტრატეგიული დოკუმენტი შექმნა, რომლითაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების განათლების პოლიტიკა განისაზღვრება.

განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსის, ნათია ჯოხაძის თქმით, **„სკოლებში სათანადო ინფრასტრუქტურის არქონა მნიშვნელოვანი ბარიერია, რომ გარკვეული ფიზიკური შეზღუდვების მქონე ადამიანებისთვის საგანმანათლებლო ინსტიტუციები ხელმისაწვდომი იყოს. მხოლოდ პანდუსების მოწყობის საკითხი კი არაა გადასაჭრელი, იმ ბავშვებისთვის, ვისაც სმენისა და მხედველობის პრობლემები აქვს, სპეციალური ოთახები უნდა მომზადდეს“.**

ინკლუზიური განათლების ახალი სტრატეგია შვიდი კომპონენტისგან შედგება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ინკლუზიური განათლების წარმატებისთვის საჭიროა საკანონმდებლო ბაზა, ამასთან, უნდა არსებობდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მხარდამჭერი სისტემა, რომელიც მხოლოდ სკოლაში კი არა, მის გარეთაც იმოქმედებს. უნდა მოხდეს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და ყველაფერ ამისთვის, ბიუჯეტიდან 142 000 ლარია გამოყოფილი.

ინკლუზიური განათლების პროექტის დირექტორის, მარიკა ზაქარეიშვილის განმარტებით, **„სკოლებში განსაკუთრებული უნარების მქონე ბავშვებისთვის გარემოს შექმნა, მათთან მუშაობის მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოები დღემდე პრობლემაა“.**

ზემოხსენებული ახალი დოკუმენტის თანახმად, სპეცსკოლების განვითარება და რეფორმირება მოხდება, შეიცვლება სპეცსკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი, სულ 4 ტიპის სპეცსკოლა იარსებებს — ინტელექტუალური, სმენის, მხედველობისა და ქცევის დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი, ვისაც ზემოხსენებული დარღვევები მკვეთრად გამოხატული არ ექნება, ინკლუზიურ განათლებაში ჩაერთვება. ის ბავშვი კი, რომელსაც, მაგალითად, ბრაილის შრიფტით სწავლა სჭირდება, სპეცსკოლაში ჩაირიცხება. ისე, განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების პროექტის მენეჯერი მაია ბაგრატიონ-გრუზინსკი არ გამორიცხავს, რომ რამდენიმე საჯარო სკოლის პედაგოგებს ბრაილის შრიფტი შეასწავლონ, რაც მხედველობადაქვეითებულ ბავშვს საშუალებას მისცემს, საჯარო სკოლაში ისწვალოს და ინკლუზიურ პროგრამაში ჩაერთოს.

განათლების სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ინკლუზიური განათლება საქართველოში ფეხს ნელ-ნელა იკიდებს — დღეისთვის, ამ პროგრამაში 4000-ზე მეტი მასწავლებელი და 208 დამატებითი სპეციალისტია ჩართული. საჯარო სკოლებში კი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 3368 ბავშვი სწავლობს, თუმცა ინკლუზიური განათლების პროექტის დირექტორი მარიკა ზაქარეიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ინკლუზიური სწავლების პროცესისთვის უფრო მეტი მასწავლებლის მომზადებაა საჭირო და ინკლუზიური სწავლება პროფესიულ განათლებაშიც უნდა დაინერგოს — ახალი სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, შეიქმნება საუნივერსიტეტო პროგრამა, რომლითაც პროფესიონალები მომზადდებიან და ისინი სკოლებში, პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს ადეკვატურ დახმარებას გაუწევენ.

ინკლუზიური განათლების სტრატეგიის დაგეგმვაში ჩართულია გამოცდების ეროვნული ცენტრიც — განათლების სამინისტროს დაკვეთით, ის ამერიკული ტესტი თარგმნეს, რომელიც აკადემიური ჩვევების, ბაზისური უნარებისა და შემეცნებითი პროცესების შეფასებაზეა ორიენტირებული. ტესტი 6-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებზეა გათვლილი და მოზარდის ემოციურ აშლილობას, ადაპტაციის უნარს, ანუ იმას ამოწმებს, რამდენად შეუძლია ბავშვს დამოუკიდებლად ფუნქციონირება — თავის მოვლა, დღის დაგეგმვა და ასე შემდეგ. ამასთან, ტესტი უნარშეზღუდულობის სტატუსის დასადგენადაც გამოიყენება.

განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი ინკლუზიური განათლების სტრატეგიულ დოკუმენტს დადებითად აფასებს: **„სპეცსკოლები აუცილებლად უნდა აღდგეს და იქ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები უნდა სწავლობდნენ. ვისაც სმენა, მეტყველება ან მხედველობა დაქვეითებული აქვს და არა სრულად წართმეული, ინკლუზიურ სწავლებაში უნდა ჩაერთოს და საჯარო სკოლაში ისწავლოს“.**

# კბილის „დაპლომბვა“-დამუშავება უმტკივნეულოდ ანუ წყლის ლაზერით მკურნალობის უპირატესობანი



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**ბევრს სტომატოლოგთან ვიზიტის ბორმანქანის ხმის გამო ეშინია, თუმცა კბილის მაგარი ქსოვილების დამუშავება, წყლის ლაზერის გამოყენებით, ბორმანქანის გარეშეცაა შესაძლებელი. რა შესაძლებლობები აქვს ლაზერის აპარატს და რატომაა კბილის დამუშავება წყლის ლაზერით უმტკივნეულო? — ამის შესახებ „ვერსიას“ დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადებების ცენტრის ექიმი-სტომატოლოგი ლია ჯოლბორდი ესაუბრა.**

— ლაზერული სტომატოლოგია სტომატოლოგიური მკურნალობის უახლესი მეთოდია. თუკი, ბორმანქანის შემთხვევაში, კბილის პრეპარირება ბორთან კბილის კონტაქტით ხდება, სტომატოლოგიური ლაზერით კბილის დამუშავება უკონტაქტოდაა შესაძლებელი — ამ დროს, პაციენტს პირის ღრუში მხოლოდ წყალი ჩაედინება, კბილი კი, ლაზერის სხივით მუშავდება. შესაბამისად, პაციენტი თავს ფსიქოლოგიურადაც უკეთ გრძნობს და ფიზიკურადაც. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ლაზერის გამოყენებისას, პაციენტი ინფექციური დაავადებით ინვაზირებისგან (შიდსი, ჰეპატიტი) აბსოლუტურად დაცულია.

საერთოდ, წყლის ლაზერი კბილის რბილ და მაგარ ქსოვილებზე სამუშაოდ უნიკალური მოწყობილობაა. ამ აპარატით, ლაზერულ გამოსხივებასა და წყალს კბილის მაგარი ქსოვილების უსაფრთხო და ეფექტური პრეპარირებისა და ფორმირებისთვის ვიყენებთ. ლაზერს ძლიერი ენერგია აქვს და კბილის მაგარ ქსოვილს ყოველგვარი შეხების გარეშე, ადვილად ამუშავებს.

— **რა განსხვავებაა დიოდურ და წყლის ლაზერს შორის?**

— როცა სტომატოლოგიაში ლაზერის აპარატის გამოყენებაზეა საუბარი, ყველა ფიქრობს, რომ საქმე დიოდურ ლაზერს ეხება, რომელიც რამდენიმე წელია, მრავალ კლინიკაშია დანერგილი და რომლითაც მხოლოდ რბილი ქსოვილები მუშავდება. ჩვენ კლინიკაში არსებული აპარატით – waterlase MD კი, მაგარ ქსოვილებს ანუ კბილის მინანქარს ვამუშავებთ.

— **რა უპირატესობა აქვს წყლის ლაზერით კბილებისა და ღრძილების მკურნალობას?**

— თუ ადამიანს კარიესი აქვს, ანესთეზია არ სჭირდება, რადგან კბილის პრეპარირების პროცესი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. პულპიტების დროს კი ანესთეზიას ვიყენებთ. კარიესული ღრუს დამუშავებისას, სტაფილოკოკური და სტრეპტოკოკური მიკრობები კვდება, რაც მეორადი კარიესის განვითარებას უშლის ხელს. ლაზერის სხივით უკონტაქტოდ კარიესული ღრუს მხოლოდ დაზიანებულ უბანს ვამუშავებთ ისე, რომ ჯანსაღ ქსოვილს არ ვეხებით. ლაზერით დამუშავების შემდეგ, ბჟენის ფიქსაციაც უკეთესია. ბორმანქანით დამუშავების დროს ჯანმრთელი ქსოვილის გარკვეულ ფენას ბორმანქანა მაინც იღებს. გარდა ამისა, ადგილი აქვს კბილის ვიბრაციას, რაც ბზარებს აჩენს, ლაზერით დამუშავებისას კი, კბილი ვიბრაციას არ განიცდის და ბზარების გაჩენის ალბათობაც ნულამდეა დაყვანილი.

წყლის ლაზერით მკურნალობის დროს, ანესთეზია, პრაქტიკულად, არაა საჭირო, ამიტომ წყლის ლაზერით მკურნალობა განსაკუთრებით იმ პაციენტებისთვისაა რეკომენდებული, რომელთაც სხვადასხვა საანესთეზიო საშუალებაზე ალერგია აქვთ.

აღსანიშნავია ერთი მომენტიც: წყლის ლაზერით პაციენტს ერთდროულად, შეიძლება, 6-7 კბილი ისე დაუბჟინო, პრაქტიკულად, ვერც კი მიხვდეს — არ სტკივა, ვერ გრძნობს, ნემსს არ უკეთებ. ხშირად ეს გაკვირვებას იწვევს. მეტიც, ბევრს არც სჯერა.

— **ეს საკმაოდ ძვირადღირებული აპარატი ენდოკრინოლოგიური პროფილის კლინიკამ (დიაბეტის, ენდოკრინული და გულ-ფილტვის დაავადებების ცენტრი) შეიძინა. ამის საჭიროება რატომ გაჩნდა?**

— დიაბეტიანი პაციენტისთვის ნებისმიერი მანიპულაცია, განსაკუთრებით, პირის ღრუს ინექცია, რისკთანაა დაკავშირებული, რადგან, შესაძლოა, ნანემსარი დაჩირქდეს და პაციენტს პრობლემა შეექმნას. კარიესული ღრუის დამუშავებისას კი ლაზერის აპარატი ანესთეზიას არ მოითხოვს და, შესაბამისად, პაციენტისთვის ეს პრობლემაც მოხსნილია. საერთოდ, დიაბეტიანი პაციენტების პირის ღრუ სპეციფიკურია — შაქრის მაღალი დონე პირის ღრუში დარღვევებს იწვევს. სისხლის თეთრი უჯრედების დაზიანების გარდა, ერთ-ერთი გართულება, რომელიც დიაბეტს ახლავს, სისხლძარღვების კედლის სიმყიფეა, რის გამოც ქსოვილებში, მათ შორის, პირის ღრუს ლორწოვან გარსსა და პაროდონტში საკვებისა და ცხოველქმედების პროდუქტების ტრანსპორტი ფერხდება, შესაბამისად, ღრძილების კვების პროცესი ირღვევა, რაც კბილების მორყევასა და ცვენას იწვევს. ამიტომაც დიაბეტიანი პაციენტების უმრავლესობას აქვს პარადონტოზი და კბილებს კარგავენ. ჩვენს ცენტრში კი, ლაზერით მკურნალობა კომბინირებულია — ენდოკრინოლოგი და სტომატოლოგი ერთდროულად მუშაობენ.

რაც შეეხება ღრძილების დაავადებას, მათ მკურნალობას წყლის ლაზერით ალტერნატივა არ აქვს — წყლის ლაზერით, ღრძილების ტრავმირების გარეშე, ისპობა ჰიპერტროფული უბნები, პათოლოგიური ჯიბეები, ქრება სისხლდენა. რაც მთავარია, წყლის ლაზერი მკურნალობის სწრაფი მეთოდია და ორი-სამი სეანსის შემდეგ, ღრძილი ბუნებრივ ელფერს იღებს. ერთი სეანსის შემდეგ, სისხლდენა და ანთება ქრება, რაც კარდიოვასკულარული დაავადებების წარმოშობის ალბათობას რადიკალურად ამცირებს. ლაზერის საშუალებით ვახერხებთ მორყეული კბილების გამაგრება-შენარჩუნებას ისე, რომ პაციენტმა არ დაკარგოს კბილები. ამ აპარატს ლაზერული გათეთრებისა და ქვების მოცილების პროგრამაც აქვს.

— **ანესთეზიას რა შემთხვევაში იყენებთ?**

— მხოლოდ კბილის დეპულპაციის, ანუ იმ დროს, თუკი არხებიდან ნერვს ვიღებთ. ფესვის მწვერვალზე პერიოდონტიტების ან ჩირქოვანი პროცესების შემთხვევაში კი, კბილი ისე იხსნება წულის ლაზერით, რომ ვიბრაცია არ აქვს და პროცესიც უმტკივნეულოა, შესაბამისად, არც ანესთეზიაა საჭირო.

— **სტომატოლოგთან მისვლა, როგორც წესი, ბავშვებს აშინებს. წყლის ლაზერი კი, ვატყობ, ამ მხრივაც საუკეთესო გამოსავალია. ბავშვებთანაც მუშაობთ?**

— ლაზერის გამოყენება უსიამოვნო მომენტებს — ტკივილს, ვიბრაციას, ანესთეზიას მთლიანად გამორიცხავს და, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბავშვებისთვისაც კომფორტულია. ჩვენთან ვიზიტის შემდეგ, ბავშვებს შიში უქრებათ და მანიპულაციებს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იტარებენ.

— **ეს აპარატი მთელ საქართველოში მხოლოდ თქვენს კლინიკას აქვს. მკურნალობა ხელმისაწვდომია?**

— ჩვენს კლინიკაში წყლის ლაზერით კბილის მკურნალობის ფასები თბილისში არსებული საშუალო ფასების ანალოგიურია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ ამ მეთოდით მკურნალობა სტანდარტულ ფასს ბევრად აღემატება.




## თბილისის სასწრაფო სამედიცინო სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

თბილისის სასწრაფო სამედიცინო სამსახურის უფროსად შალვა ბრაჭული დაინიშნა, რომელიც ადრე „ჯეოჰოსპიტალში“ მუშაობდა.

სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა კახა ჩიხრაძემ თანამდებობა ცოტა ხნის წინ, სამსახურიდან გათავისუფლებული ექიმების საპროტესტო აქციების გამო დატოვა.

*„მედიანიუსი“*



## წითელათი თბილისში 2 ადამიანი გარდაიცვალა

„ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა, პაატა იმნაძემ განუცხადა, რომ 31 მარტს, წითელათი 11 თვის გოგონა და 19 წლის ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა.

მიმდინარე წელს, წითელას 500-ზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული. მათ შორის, 400 შემთხვევა თბილისში გამოვლინდა.

*„ინტერპრესნიუსი“*



## დონაციის აქციაში ინტელექტუალები ჩაერთვებიან

აქციაში „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“ კლუბის „რა, სად, როდის“ ინტელექტუალები ჩაერთვებიან და იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკის სამედიცინო დირექტორის, თამთა დემურიშვილის თქმით, უანგარო დონაციის აქციას შეუერთდებიან.

სისხლის გაღების მსურველთა ასაკი 18-დან 60 წლამდე განისაზღვრება. დონორი არ უნდა იყოს და C ჰეპატიტის ვირუსის მატარებელი, ასევე, ბოლო ათი წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს გადატანილი ჰეპატიტი (ბოტკინი), არ უნდა იღებდეს პრეპარატებს (ანტიბიოტიკი) და არ უნდა ჰქონდეს მიღებული ალკოჰოლი ბოლო 24-36 საათის განმავლობაში.

**„სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 0-დან 18 წლამდე ასაკში ყოველწლიურად, ლეიკემიის 40 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ბავშვების მკურნალობისთვის, ძირითადად, ქიმიოთერაპიის რამდენიმე კურსია საჭირო, შესაბამისად, პაციენტთა კლინიკაში დაყოვნების პერიოდი 9 თვეს მოიცავს. ქიმიოთერაპიის კურსის შემდგომ, თითქმის ყველა შემთხვევაში, საჭირო ხდება სისხლის გადასხმა“,** — აცხადებს თამთა დემურიშვილი.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „აღარ შემიძლია, დამღალეს!“ — კაბუ საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს!

## სკანდალური ინტერვიუ კახა აბუაშვილთან

ნათია ვასაძე
555-98-61-65

**კახა აბუაშვილი, იგივე კაბუ საზოგადოებამ „თეატრალური სარდაფიდან“ გაიცნო — იყო დრო, როცა მაყურებელი იქ სწორედ მის სანახავად დადიოდა. მოგვიანებით, კაბუმ მხოლოდ სიმღერების წერა კი არ დაიწყო, არამედ „გარეპა“ კიდეც, თუმცა მიუხედავად ამისა, თავს მაინც მსახიობად მიიჩნევს და ამბობს, ყველაფერი დანარჩენი მეორადიაო... წამალდამოკიდებულებამ კაბუს ცხოვრება რადიკალურად შეცვალა — მართალია, დღეს წამალს აღარ ეკარება, მაგრამ აღარც სცენაზე დგას და აღარც ეკრანზე ჩანს. რითაა გამოწვეული ეს შემოქმედებითი ტაიმ-აუტი და რას აპროტესტებს კაბუ?**



**„პირდაპირ გეუბნებით, ლექს-სენი მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალების უკანალის მწმენდავი იყო. ამას ხმამაღლა ვამბობ და მასაც ვეტყვი პირში“**

**— კახა, აღარ მღერი, აღარც სცენაზე დგახარ და აღარც ტელეშოუებში ჩანხარ. რატომ?**

— არც მე მომწონს, რომ არ ვჩანვარ. ყბაზე საკმაოდ მძიმე ოპერაცია გავიკეთე და ჯერ კიდევ ვმკურნალობ, თუმცა იყო კიდევ რაღაც პრობლემები, რაზეც არ მინდა საუბარი.

**— მაშინ თეატრზე ვისაუბროთ, შენი პირველი წარმატება „თეატრალურ სარდაფს“ უკავშირდება, რომელიც, მართლაც, ნოვაცია იყო ქართულ თეატრალურ სამყაროში.**

— „თეატრალური სარდაფის“ პერიოდი... რაღა გავიხსენო, აღარც მახსოვს, რა იყო და როგორ იყო. ის მახსოვს, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი. მაშინ ეს, მართლაც, ერთადერთი ნათელი წერტილი იყო თეატრალურ სივრცეში, განსაკუთრებით ჩვენთვის, ახალგაზრდა მსახიობებისთვის. ნიჭიერი ბავშვები ვიყავით. მერე რაღაც მოხდა და „თეატრალური სარდაფი“ დაიშალა. მოკლედ, ბევრი არაფერი მახსოვს. მსახიობობის პარალელურად, სხვა რაღაცებსაც ვაკეთებდი, მაგრამ ჩემთვის თეატრი უპირველესი იყო. ახლაც ასეა, მაგრამ...

**— გამოჯანმრთელების შემდეგ, სცენას დაუბრუნდები?**

— თუ დამდებენ პატივს, და დამაბრუნებენ, დავუბრუნდები. სამჯერ დავაგვიანე რეპეტიციაზე და მარჯანიშვილის თეატრიდან გამომიშვეს. არ მგონია, დაგვიანება ისეთი სერიოზული მიზეზი იყოს, მსახიობი თეატრიდან გაუშვა.

**— უდისციპლინო მსახიობი ხარ?**

— ცოტათი უდისციპლინო ნამდვილად ვარ, სამაგიეროდ, ნიჭიერი ვარ. არავისთვის არაფერი დამიშავებია. თუ რამე ცუდი მაქვს ჩადენილი, მხოლოდ საკუთარი თავისთვის, თუმცა წარსულზე ლაპარაკი აღარ მინდა, მომავალი კი ჯერ ისევ ბუნდოვანია. ახლა ერთადერთი გეგმა მაქვს — ყბაზე უნდა ვიმკურნალო.

**— „ჩემი ცოლის დაქალებში“ თამაშობ. ამ ფილმში როგორ მოხვდი?**

— არ ვიყავი უნიჭო მსახიობი და არ მეგონა, თუ ოდესმე თხოვნა დამჭირდებოდა, ფილმში გადამიღეთ-მეთქი. არ მინდა ვიწუწუნო, მაგრამ მართლა მაგრად მჭირდებოდა ამ მომენტში ამ ფილმში გადაღება. მთელი გადამღები ჯგუფი გვერდით დამიდგა. ძალიან ვაფასებ თითოეული მათგანის საქციელს.

**— რეპერობა რატომ დაიწყე?**

— რეპერი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, ჩემს ლექსებს ვამბობდი მუსიკის თანხლებით.

**— ამბობ, რეპერი არ ვყოფილვარო, არადა, რეპერობაზე პრეტენზია შენზე ნაკლებად ნიჭიერებს აქვთ...**

— მსმენელი გადაწყვეტს, ვინ ვინ არის.

**— ყოველთვის აფიქსირებდი პროტესტს იმის მიმართ, რაც არ მოგწონდა. ახლა ყველაფერი მოგწონს?**

— ამ ქვეყანაში აზრი არ აქვს რამის გაპროტესტებას. ამ ქვეყანას არაფერი ეშველება! სანამ საზოგადოებას ავადმყოფი კრიმინალი ჰგონია, არაფერი გვეშველება დედამიწის ზურგზე. როგორ შეიძლება, ჰუმანური იყოს ერი, რომელსაც ავადმყოფი სძულს?!

**— ნარკოტიკების მომხმარებლებს გულისხმობ?**

— რა თქმა უნდა.

**— წარსულში თავად იყავი ნარკოდამოკიდებული.**

— ჩემი ბრალი არ იყო. ეს ყველას შეიძლება მოუვიდეს და ძალიან ძნელადაც იკურნება.

**— რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად?**

**— ამათ რა უნდა მოაგვარონ? განა, პრობლემა არ არის, პრეზერვატივს განიხილავდე პარლამენტის სხდომაზე და ქვეყანაში ამდენი ახალგაზრდა გეღუპებოდეს? გეღუპებოდეს იმიტომ, რომ მარიხუანაზე იჭერ, სანაცვლოდ კი „ბიოს“ „აბრედინებ“. არც არჩევნების შემდეგ შეცვლილა რამე, გარდა იმისა, რომ „ის“ მაღალი იყო, „ეს“ დაბალია. აი, ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრს მხოლოდ იმიტომ არ ვახმოვანებდი, ვინმეს „მიშისტობა“ რომ არ დაებრალებინა. „მიშისტობა“ კი პირდაპირ „ჩესტზე“ მეხება და ერთხელ იქნება, ვინმეს თავ-პირი უნდა გავუხიო მაგის გულისთვის. არასოდეს ვყოფილვარ არც „მიშისტი“, არც „არავისტი“. მიშამ მე რომ მაწყენინა, შვილებს ვფიცავ, ეგრე ბიძინა ივანიშვილსაც თუ სწყენოდა მისგან რამე. მან ცხოვრება წამართვა. განა მარტო მე — ნახევარ საქართველოს მოექცა ასე.**

განა ნორმალურია, მოსაწევსა და იარაღის ტარებაზე ერთნაირი ჯარიმა იყოს? ან მკვლელს შვიდი წელი მიუსაჯო და ნარკოტიკების მომხმარებელს — რვა? სააკაშვილი კიდევ გამოდის და თავს იწონებს, სასამართლოს რეფორმა გავატარეთო. ან ეს ორი სტატუსი რატომ გვაქვს? გვითხრან მაშინ, რომ დანაშაულს ჩავდივართ და გვეცოდინება, რომ ავადმყოფები კი არა, კრიმინალები ვართ. ბარემ აღიარონ, რომ ეს ქვეყანა დემოკრატიული არ არის. გგონიათ, ამ ქვეყანას ოდესმე ეშველება? — არასოდეს. აქ ერთი შუშის სასახლე მეორე შუშის სასახლეს ეომება. ესაა და ეს. მთელ ქვეყანას ჰქონდა იმედი, არჩევნების შემდეგ რამე შეიცვლებოდა, მაგრამ რა?! მოვიდა ივანიშვილი და საპატრულო პოლიციის 70 თუ 74 მანქანა დამიმატა. კი ბატონო, კრიმინალებს ისე მიუდექი, როგორც საჭიროა, მაგრამ მე რას მეპოლიციელები? მე რატომ არ მაძლევ ცხოვრების უფლებას? სუნთქვისა და წყლის დალევის უფლებას მიტოვებ მარტო? რომ გამოდიხარ და ყვირი, ხალხის მეგობარია პოლიციაო და კლიპებს მიდგამ პატრულის კეთილშობილებაზე, განა, ასეა საქმე დღეს?! მოდი, რა, სხვა საქმე ნახონ და მე თავი დამანებონ. ვერასოდეს დამარწმუნებენ, რომ დამნაშავე ვარ.

**— მართვის მოწმობასთან დაკავშირებითაც გქონდა პრობლემები.**

— მქონდა და მაქვს. მართვის მოწმობას მაინც არ მაძლევენ. ან რა შუაში იყო ეს ჩემს ავადმყოფობასთან? ჩემს ცხოვრებაში ავარია არ გამიკეთებია, პრობლემა არ მქონია მანქანის ტარებასთან. გუშინ თუ მოსაწევი მოვწიე ან ნარკოტიკი მივიღე, სამი წლით მართვის უფლებას მართმევ ამისთვის?

**არ მესმის, რა დავაშავე. თავი დამანებონ, რა?! ცხოვრების უფლება მომცენ, მეტი არაფერი მინდა. ოღონდ ჯერ ამიხსნან, რატომ არ იჭერენ ჩემთან ერთად გრიპიანს ან რატომ არ აჯარიმებენ კიბოიანს? ამიხსნან, რატომ მაქვს წართმეული მართვის მოწმობა და იმათ არა? რა გახდა ამდენი ხანი ეს ჩემი „პრავა“? არ რცხვენიათ? წელიწადნახევარი პირობითი დამიტოვეს. ლამის მთელ საქართველოს მოუხსნეს და მე დამიტოვეს პირობითი.**

**— პირობითი სასჯელი რისთვის გქონდა?**

— აკრძალვის მიუხედავად, 2010 წელს მანქანაზე დავჯექი, თან პრიმა მუხლით გამასამართლეს, რომელსაც არაფერი ეხება. ახლა, კიდევ რამეს დამიმატებენ, ისე არ მოისვენებენ. ხომ შეიძლება, საერთოდ დამივიწყონ, მაცხოვრონ. მართლა აღარ შემიძლია, დამღალეს!

**— წინა ხელისუფლება მომღერლების გარკვეულ ნაწილს კონცერტებზე გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. შენც „იბლოკებოდი“?**

— განა თვალნათლივ არ ჩანდა, რომ „მბლოკავდნენ“?!

**— ლექს-სენიც ამბობდა, ვიბლოკებიო, მაგრამ ნაციონალების მიერ დაფინანსებულ მომღერალთა შორის კი აღმოჩნდა.**

— პირდაპირ გეუბნებით, ლექს-სენი მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალების უკანალის მწმენდავი იყო. ამას ხმამაღლა ვამბობ და მასაც ვეტყვი პირში.

**— საქართველოდან წასვლაზე არ გიფიქრია?**

— აუცილებლად წავალ აქედან, დავხევ პასპორტს და წავალ იმიტომ, რომ დავიღალე, მაგრად დავიღალე. მაგრად ტეხავს ამ ქვეყანაში ცხოვრება! არ მინდა, იმ ქვეყნის მოქალაქე ვიყო, სადაც სამარცხვინო პარლამენტი პრეზერვატივების აკრძალვაზე მსჯელობს. ეს რა ხდება, ხალხო?! ან ის ხელოვანი ადამიანები რომ სხედან პარლამენტში, როგორ არ თქვეს, რა პრეზერვატივი, ხალხო, რა დროს ეს არის, ბავშვები გვეღუპებაო?! მაგრამ არა! ჩამოტანილი „წამლები“ ფსიქოტროპულში ხომ უნდა გაიყიდოს?! „კრაკადილს“, არ სჯობდა, ისევ ის ჰეროინი ყოფილიყო? ჰეროინი ძვირი ღირდა და ბავშვი მაინც ვერ ყიდულობდა. ახლა კი რა ქნეს?! „სნატვორნებით“ აავსეს მთელი ქვეყანა. ვერ გავიგე, ასეთი რა ვალი ვერ გამოვისყიდე ჩემი სამშობლოს წინაშე?! არ მესმის, რატომ არის პრეზერვატივის განხილვა იმაზე აქტუალური, რაც მართლა პრობლემაა?! ნუ გამაგიჟეთ! რა მოხდა ასეთი ამ ქვეყანაში? რა არის ეს? ეს არის ჰუმანური ერი? ეს არის დემოკრატია? ვინ ვიყავით და რად ვიქეცით?!

ვერსიანიუსი

# ოზურგეთში მეოთხე საუკუნის სამარხი აღმოაჩინეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთში მეოთხე საუკუნით დათარიღებული სამარხი იპოვეს. სარკოფაგი ამავე სოფელში მცხოვრებმა ნინო რამიშვილმა, საგაზაფხულო სამუშაოებისას იპოვა და ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელობას აცნობა.

ისტორიული მუზეუმის დირექტორის, გოგა ტრაპაიძის თქმით, შესაბამის სამსახურებს დაუკავშირდა და სპეციალისტებით დაკომპლექტებული ჯგუფი აღმოჩენის ადგილას ჩავიდა.

არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვახტანგ გლიჩელი ამბობს, რომ აღმოჩენილია უნიკალური ძეგლი, რომელიც, სავარაუდოდ, მეოთხე-მეექვსე საუკუნით თარიღდება. მასალის შესწავლის შემდეგ, არ არის გამორიცხული, მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები გაგრძელდეს.

გურიის ექსპედიციის ხელმძღვანელის, ვაჟა სადრაძის თქმით კი, იმ შემთხვევაში თუ საფლავის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა დაიწყება, შესაძლოა, ტაძრის ნანგრევებსაც მიაგნონ.

მსგავსი საფლავი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ვაშნარის ტერიტორიაზეც იპოვეს.

*„ინტერპრესნიუსი“*


ფოკანის ტაძრის საერთო ხედი

გელა ქოქიაშვილი

## ქვათა მატიანე

# დროის მანქანა

## სამხრეთ ჯავახეთი

ჩვენი მანქანა განძანიდან ჩრდილოეთით, ფარავნის ტბისკენ მიჰქრის. აგვისტოს ნათელი და წყნარი დღეა. ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე, ხვატი ბალახს ვერ ერევა გასახმობად. აქეთ-იქით უტყეო ბორცვებია, აქა-იქ — ჟანგმოდებული ლოდები გაწოლილან მხართეძოზე. ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ დროის მანქანაში ვზივარ და სადაცაა საპირისპირო მხრიდან მომავალი, თმაგაშლილი ქალწული შემომეგება — კაბის კალთა გახუნებია და ხამლი გაცვეთია.

**17 საუკუნის წინანდელი ეპოქაა:**

... თიბათვეა. სამხრეთიდან ამოსული ნინო **„წამოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა, სადა იგი მიემართა ტბასა დიდსა გარდმომდინარესა, რომელსა ჰქვიან ფარავნა, ხოლო მოხედნა რა მუნით და იხილა მთანი ჩრდილოსანი (**აბული და სამსარი — **გ.ქ.), რამეთუ დღეთა მათ ზაფხულისათა იყვნეს სავსენი თოვლითა და ჰაერითა სასტიკითა“.** შეძრწუნდა ნინო და თქვა: **„უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან“.** თხისურს მჭიდროდ შემოიკრავს, გათოშილ თითებს დაიორთქლავს და ნაბიჯს იქით აუჩქარებს, სადაც ცხვარ-ძროხა ბალახობს. მახლობლად, ტბაში შეცურებულ ნავსა და მწყემსებს რომ დაინახავს, იტყვის, გადავრჩიო. **„საქართველო არის ესე!“** — აუხსნიან კაბადუკელ ქალწულს მწყემსები და აჩხას გაუწვდიან: „ინებე თევზი, მშიერო მგზავრო!“

**12 საუკუნის წინანდელი ეპოქაა:**

არაბთა მიერ ქართლიდან ოტებულმა აშოტ კუროპალატმა ოჯახით ძლივს ამოასწრო **„კიდესა დიდისა მის ტბისა ფარავნისასა, დამაშვრალნი სვლისაგან და გარდახდეს განსუენებად“,** ჭამეს პური და ის-ის იყო თვალი უნდა მიელულათ, რომ სარკინოზთა მდევარი ლაშქარი მოადგათ. შეიქნა დიდი სისხლისღვრა. ღვთის შეწევნით, აშოტმა გაიმარჯვა, მაგრამ, ახალი საფრთხე რომ იგრძნო, შავშეთის გავლით, კლარჯეთს მივიდა. 820-821 წლებში ხდება ეს ამბავი.


ფოკანის დედათა მონასტერში შექმნილი ერთ-ერთი ტიხრული მინანქარი

**10 საუკუნის წინანდელი ეპოქაა:**

ლიპარიტ კლდეკარის ერისთავმა, ლამის ნახევარ საქართველოს რომ ფლობდა, კახელებიც შემოიკრიბა, თრიალეთიდან ამოვიდა და ღრტილაში მყოფ ბაგრატ IV-სთან შესაბმელად ფარავნის ტბის სამხრეთ სანაპიროზე, დაბა ფოკანთან დაიბანაკა. უღალატა ბაგრატს მაწყევერელმა და ლიპარიტს ეახლა ფოკანში. ბაგრატ მეფე იძულებული გახდა, **„ზამთრისა ბუქთა საშინელთა გარდაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს“.**

... ზუსტად ამ ადგილებს — ფარავნის ტბასა და მისგან გამომდინარე ფარავნისწყალს მივადექით. ვინ იცის, ახლაც თავის ადგილზე, დაუძვრელად დევს ის ქვა, რომელიც მოციქულთა სწორ კაბადუკიელ ქალწულს ედო თავქვეშ: **„წმიდამან ნინო დაიდვა ლოდი სასთუმალ. დაწვა და დაიძინა გარდასადინელსა მის ტბისასა“.**

ტბის სამხრეთ ნაპირზეა **ფოკანი**, სადაც ღამე გაათია წმინდა ნინომ და ძილში უფლის ანგელოზი გამოეცხადა. ეს სოფელი Pagas-ის სახეცვლილი ფორმით, კასტორის IV საუკუნის რუკაზეც არის აღნიშნული. როგორც ერთ-ერთ ადრინდელ წერილში აღვნიშნეთ, ფოკანი არის მრავლობით რიცხვში გამოხატული ფოკა. ეს რომ ასეა, ამას „მატიანე ქართლისაიც“ ადასტურებს: **„ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა“.** ერთი ფოკა მდინარის მარჯვენა ნაპირზე, უნდა ყოფილიყო, სადაც წინარექრისტიანული ციკლოპური ციხის ნაშალია შემორჩენილი ბორცვზე. მეორე ფოკა მდინარის მარცხენა ნაპირზეა, სადაც დღეს მოზრდილი სოფელია. სოფელში შემონახულია ორი მცირე ნაეკლესიარი და ერთი დიდი, საპატრიარქო ტაძარი. ტაძარი, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში აღადგინეს, დიდი, ერთნავიანი დარბაზული საყდარია და ხუროთმოძღვრულადაც ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. იგი აგებულია კათალიკოს იოანე ოქროპირის (1028-1040 წწ) თაოსნობით, რომლის სახელს კარნეთისა და ტონთიოს ეკლესიათა წარწერებშიც შევხვდით. ფოკანის წარწერა, რომელიც სამხრეთ კარის ბალავარზეა, რელიეფურია და ასე იკითხება: **„ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღმრთისაო, ადიდე იოვანე ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა“.** აქვე არის მეორე, მოკლე წარწერა: **„ქრისტე, ადიდე ბაგრატ კუროპალატი“.** არქიტრავის ეს ბალავარია სწორედ ის რეკორდული ზომების ლოდი, რომელზე საუბრითაც წინა წერილი დავასრულეთ: 3,8X1,25 მ.

ძალიან საინტერესო წარწერაა მოთავსებული ამავე კარის მარცხენა წირთხლზე: **„ქ. სახელითა ღმრთისაითა, მე ბავრელი ღირს ვიქმენ შენებასა წმიდაისა ამის ეკლესიისა. საფუძველი დაიდუა, მე თანა დავშუერ ხელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“.** ამავე ფასადზე, სარკმლის საპირეში ვკითხულობთ: **„ქრისტე, ადიდე მიქელ-ქართლისა ბნქსალარი“.** წარწერებში ნახსენები ბაგრატ კუროპალატი, რა თქმა უნდა, მეფე ბაგრატ IV-ეა, ბანაქასალარი კი, როგორც სწავლულთა ერთი ნაწილი ფიქრობს, თითქოს ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესი უნდა იყოს. სიმონ ჯანაშიას მოსაზრებით, ეს ბანაქასალარი ერთ-ერთი სამხედრო თანამდებობაა (ბანაკების გამშლელი), ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებით კი, საომარი ცხენების გამგებლის — ახორსალარის (ამილახვარ-ამირიხორი) სპარსულ-თურქული შესატყვისი. თითქოს ეს ორი უკანასკნელი მოსაზრება უფრო მართებულია, რადგან არ მგონია, რომ არცთუ ისე დიდი ტაძრის მშენებლობაში ერთდროულად კათალიკოზის ბავრელ ხელოსანსა და ქვეყნის ხუროთმოძღვართა უფროსს მიეღო მონაწილეობა.


ფოკანის ტაძრის წარწერებიანი არქიტრავი

უზადოდ გათლილ ვარდისფერი კვადრებით ნაგები და აქა-იქ სამკაულებით დამშვენებული ტაძრის სამხრეთ ფასადზე და შიგნით, პილასტრზე ამოკვეთილია მავედრებელთა სახელებიც: **მომწულისძე** (იგივე მიწობლიძე?), **ხელი, მწევარი, ბაია, გაბრიელი, ელისაბედი.** პილასტრები მშვენიერი კაპიტელებითაა დაგვირგვინებული, ტაძრის სივრცე მასშტაბურია, სინათლე კი არცთუ ისე უხვად შემოედინება სამი სარკმლიდან. ერთი სიტყვით, ტაძარი ხუროთმოძღვრული ნიშნებითაც იმას გვეუბნება, რომ XII საუკუნე ჯერ არ დამდგარა.

ფოკანში დღეს ორი ქართული მონასტერია: მამათა და დედათა. ღვთისმსახურები, რომელთაც სომხური სოფელი თავდაპირველად აგრესიულად შეხვდა, მტკიცედ დგანან ფოკანში. ეს კი არადა, ახლა ფოკელი დედაკაცები დასახმარებლად ხშირად აკითხავენ მონაზვნებს, რომელთაგან ჩვენი იქ ყოფნის დროს, ორ ახალგაზრდა დედას ნინოს და შუშანიკს მინანქრის პატარა სახელოსნოც კი ჰქონდათ.

ფოკანიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 4-5 კილომეტრში, ტბას მისივე სახელწოდების სოფელი **თავფარავანი** აკრავს. სოფლის შესასვლელში არის წყარო, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, საჭმლის მონელებისა და ორგანიზმში ცხიმების დნობის უებარი წამალია. იქვეა X საუკუნის მოზრდილი ეკლესია, რომელიც ფოკანის ტაძრის მსგავსად, სუფთად გათლილი, მოვარდისფრო კვადრებითაა აშენებული, თუმცა მას მოცულობითაც ჩამორჩება, სამკაულებითაც და წარწერებითაც. მისი ორი წარწერა ერთნაირი შინაარსისაა: **„ქრისტე შეიწყალე პავლე“.** ამ ეკლესიიდან ოდნავ ქვევით, შემორჩენილია ძველისძველი ქარვასლის სამი გაშიშვლებული, თაღოვანი კედელი, რაც იმის დასტურია, რომ თრიალეთისა და ჯავახეთის ამ საზღვარზე დიდი ვაჭრობა მიმდინარეობდა. ვაჭრობის ძირითადი საგანი, რა თქმა უნდა, ცხვარ-ძროხა და მისი ნაწარმი იქნებოდა.

სოფლის და ტბის სახელწოდებები თავფარავანი და ფარავანი სწორედ მეცხვარეობასთან არის დაკავშირებული. ქართლიდან და კახეთიდან მწყემსებს სწორედ თრიალეთსა და ჯავახეთის ამ მონაკვეთში დაუდიოდათ ფარა ზაფხულობით. ნათავარ ფარას ალბათ, აქ აჩერებდნენ თრიალეთს გამოცილებული მწყემსები და თავფარავანიც იმიტომ შეერქვა. იგივე შეიძლება ითქვას, ტბის გაღმა არსებულ სოფელ ასფარანზე. ალბათ, ას ფარას იტევდა მისი მიდამოები. მათი ძველი მწყემსებიდან ერთ-ერთს დათვაი უნდა რქმეოდა. ყოველ შემთხვევაში, ფარავნის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანახებში, ზურტაკერტიდან (ამჟამინდელი დმანისის რაიონი) გადმომავალი გზის ნაპირზე მდგარ 3-მეტრიან ქვაჯვარზე ამოკვეთილი სახელი რომ სასულიერო პირის არაა და მწყემსს ეკუთვნის, ამას ტექსტი გვეუბნება: **„შვილნო ღმერთისანო ქრისტიანენო, საწყალი დათვაი ლოცვასა გვედ(რ)ივარ“.** როგორ შეიძლება, ამ ტბასთან იდგე და საწყალ დათვაისთან ერთად, თავფარავნელი ჭაბუკის ლექსი არ გაგვახსენდეს: **„თავფარავნელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა, ტბა ჰქონდა წინა სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა“.**

ვდგავარ და გავცქერი ტბას, რომელსაც მეორე ნაპირი არ უჩანს.

დროის მანქანას კვლავ ძველ ეპოქაში გადავყავარ:

... აი, გამიჯნურებული ჭაბუკი მხარულით მიარღვევს ტბას ღამით. მას მეორე ნაპირიდან მიჯნური აძლევს ნიშანს სანთლით, მაგრამ კუდიანი დედაბერი ყმაწვილ ქალს სანთელს უქრობს და გზააკვალარეული, დაღლილი ჭაბუკი ტბაში იხრჩობა.

... ბინდდება. სანთლის ნაცვლად, მთვარე ლიცლიცებს ტბაში. ჩვენ ასფარას არავინ გვიხმობს.

ჩრდილოეთით თრიალეთია, აღმოსავლეთით — ზურტაკერტი. მათ მოგვიანებით შემოვივლით, ახლა კი დასავლეთით, ასპინძისაკენ უნდა გავეშუროთ, რათა ნიალა-ჯავახეთი ვნახოთ.

*ავტორის ფოტოები*


ტაძრის ერთ-ერთი კაპიტელი



ფარავნის ტაძრის საერთო ხედი და განთქმული წყარო



# ჰოროსკოპი
## 1 აპრილი

***ვერძი*** — ნუ დაივიწყებთ, რომ ყველაფერი, რაც თავდაუზოგავი შრომის შედეგად შექმენით, ადრე თუ გვიან, შედეგს გამოიღებს. დღეს უამრავი საქმის გაკეთება მოგიწევთ, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ თქვენს შესაძლებლობებსაც აქვს საზღვარი და გარშემომყოფებს ნუ დაჰპირდებით იმას, რისი შესრულების უნარიც არ შეგწევთ.

***კურო*** — დღეს თუ უარს იტყვით მოსაბეზრებელ სამუშაოზე, დიდად არაფერი დაშავდება. ენდეთ საკუთარ ინტუიციას, ეცადეთ, გარშემომყოფთა გავლენის ქვეშ არ მოექცეთ და გაითვალისწინეთ, რომ საკუთარი პოზიციების დათმობა კარგს არაფერს მოგიტანთ.

***ტყუპები*** — პირად ცხოვრებაში ცვლილებები გელით, მხოლოდ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ეს ნამდვილად გჭირდებათ. ნებისმიერი ეჭვი შეაფერხებს პოზიტიური მოვლენების განვითარებას და ამიტომ ეცადეთ, დღეს თავი აარიდოთ ისეთ ადამიანებთან შეხვედრას, ვისაც ნაკლებად ენდობით.

***კირჩხიბი*** — ახლა თქვენთვის მოგზაურობა პრიორიტეტულია, გარემოს შეცვლა დაგეხმარებათ განტვირთვაში და გააანალიზებთ, რომ წარმატებასთან ძალიან ახლოს ხართ.

***ლომი*** — დღეს ჩვეულებრივზე მეტი ყურადღება გმართებთ, რადგან არაა გამორიცხული წვრილმანი დანაკარგი. რაც შეეხება ბიზნესს, კარგი იქნება, მოვლენებს ნაკლები ემოციურობით თუ შეაფასებთ და სამომავლო გეგმებზეც არსებული ვითარების გათვალისწინებით იმსჯელებთ.

***ქალწული*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს მცირე ნიუანსებიც კი გააღიზიანებს, ამიტომ არ ღირს შორსმიმავალ გეგმებზე ფიქრი, დამშვიდდით და დაელოდეთ, როდის დაუბრუნდება სიტუაცია ჩვეულ კალაპოტს.

***სასწორი*** — დღეს ოპონენტებთან კამათი გარდაუვალია. რეპუტაციის დაცვა მოგიწევთ, რისთვისაც გულშემატკივრების მხარდაჭერა დაგჭირდებათ. თუ ინტელექტს გამოიყენებთ და ლოგიკურად იაზროვნებთ, უპირატესობას უდავოდ მოიპოვებთ.

***ღრიანკალი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს ვარსკვლავები სიდინჯეს ურჩევენ, რასაც ადვილად მიაღწევთ, თუ ახლობლების გავლენის ქვეშ არ მოექცევით, რომლებიც სპონტანური საქციელისკენ გიბიძგებენ. გაითვალისწინეთ, რომ სიჩქარეში შეიძლება მნიშვნელოვანი ნიუანსები გამოგრჩეთ, რაც მხოლოდ თქვენ დაგაზიანებთ.

***მშვილდოსანი*** — ემოციური დღე გელით და ყველაფერს მწვავედ აღიქვამთ. ეცადეთ, მცირე წარუმატებლობა გულთან ახლოს არ მიიტანოთ და გარკვეული დროით მოვლენების ეპიცენტრს გაერიდოთ. ეს ობიექტურობის განცდას დაგიბრუნებთ.

***თხის რქა*** — დღე მეგობრებთან გართობას გპირდებათ, შეხვედრა მხიარულ გარემოში ჩაივლის და, შესაძლოა, ხელსაყრელ შეთანხმებასაც მიაღწიოთ. ეცადეთ, არსებულ პრობლემებზე ნაკლებად იფიქროთ და თავს განტვირთვის საშუალება მისცეთ. ეს თქვენს განწყობაზეც დადებითად აისახება.

***მერწყული*** — ნუ მიაპყრობთ მზერას წარსულს. შეაფასეთ ის, რაც გააკეთეთ, შეაჯამეთ შედეგი, გააანალიზეთ შეცდომები და ასე დაგეგმეთ მომავალი. იმოქმედეთ ვითარების შესაბამისად.

***თევზები*** — დღეს ნათესავები სტუმრად გელოდებიან. ნუ გაუცრუებთ ამ მოლოდინს საყვარელ ადამიანებს და მაქსიმალურად ეცადეთ, მათთვის დრო გამონახოთ. გაუზიარეთ თქვენი სამომავლო გეგმები და გაითვალისწინეთ, რომ მათი მხარდაჭერა დაგეხმარებათ, არჩეული გზიდან არ გადაუხვიოთ.

# მეცნიერებმა მაიმუნებში ფასიანი სექსი აღმოაჩინეს

სინგაპურელმა მეცნიერებმა, რომლებიც 20 თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ 50 გრძელკუდა (იავანელი) მაკაკასაგან შემდგარ ჯგუფს კუნძულ კალიმანტანზე, სექსუალური მომსახურების ნამდვილი ბაზრის არსებობა აღმოაჩინეს.



მკვლევარების თქმით, სქესობრივ აქტზე პარტნიორის დასათანხმებლად, მამრ მაკაკებს საფასურის გადახდა — მისთვის ბეწვის მოხილვა — უწევთ.

ამ საზღაურის მიღების შემდეგ, მდედრები სამჯერ უფრო დამთმობები ხდებიან და აშკარა უპირატესობას ანიჭებენ მამრს, რომელმაც ბეწვი გაუხილა.

მეცნიერთა აზრით, გრძელკუდა მაკაკების გამოკვლევა შეიძლება „ბიოლოგიური ბაზრის“ თეორიის დადასტურებად მივიჩნიოთ, რომელიც რონალდ ნოემ და პიტერ ჰამერშტაინმა წამოაყენეს. ამ თეორიის თანახმად, ბიოლოგიური ბაზარი, საქონელბრუნვა და „კომერცია“ ადამიანის და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის წარმოშობამდე არსებობდა. ამ თვალსაზრისით ურთიერთობა, როდესაც ხანდაზმული მდიდარი მამაკაცი ახალგაზრდა ქალის კეთილგანწყობას ყიდულობს, შეიძლება ბიოლოგიური ბაზრის რუდიმენტად განვიხილოთ, რომელსაც თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები დაერთო.

## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სასწაულმოქმედი ხატის ასლი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com






ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

# სუნამო ზომბების დასაფრთხობად




ამერიკელი პარფიუმერების ორი ახალი არომატი მომხმარებელს ჰპირდება, რომ „ცოცხალი მკვდრების“ შეტევის შემთხვევაში, სუნამო მათი პირველი იარაღი იქნება. ცნობილი კომპანიის არომატი უკვე გაყიდვაშია და ის ორ ვარიანტად გამოვიდა: მშვენიერი სქესისა და მამაკაცებისთვის, ეტიკეტს კი მიცვალებულთა გამოსახულება „ამშვენებს“ წარწერით: „ზომბი ქალისთვის“ და „ზომბი კაცისთვის“. ამ უჩვეულო პარფიუმის ავტორების ჩანაფიქრით, სუნამოს ადამიანისთვის პირველი იარაღი უნდა იყოს ზომბი-აპოკალიფსის დადგომისას. არომატის შემადგენლობაში შედის გამხმარი ფოთლების, სოკოს, ობის, ხავსისა და მიწის ნოტები. სუსტი სქესისთვის განკუთვნილ ვერსიას კი დამატებული აქვს ინგრედიენტი — „ღვინის კასრის ძირში არსებული ნალექი“. სიახლის ღირებულება, 30-მილიგრამიანი ფლაკონისთვის 20 დოლარს შეადგენს, 39,5 დოლარად კი 118-მილიგრამიანს შეიძენთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოსვლის დღიდან, ახალი სუნამო უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს ზომბების შეტევის მოლოდინში მყოფ ამერიკელებში.



# მჯდომარე სამუშაო ორგანიზმს აჯანსაღებს

დიდი ხანია, სწავლულები ამტკიცებენ, რომ კაბინეტური სამუშაო ანუ მჯდომარე მუშაობა ორგანიზმისთვის მავნებელია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთლად ასეც არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი სამუშაო უფრო ჯანმრთელი ყოფილა, ვიდრე შრომითი საქმიანობის სხვა, უფრო მოძრავი სახეობები სუფთა ჰაერზე ან შენობაში. ასეთ მოულოდნელ განცხადებას გერმანელი ექიმები აკეთებენ, რომელთაც ბოლო ორი წლის განმავლობაში, თანამემამულეთა საავადმყოფო ფურცელი შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ მეეზოვეები და ოფისის დამლაგებლები წელიწადში თითქმის ერთ თვეს ავადმყოფობენ, „კაბინეტური“ მუშაკები კი — მხოლოდ 3-4 დღეს. ექსპერიმენტისთვის მედიკოსებმა ერთი და იგივე ვირუსის მქონე სხვადასხვა პროფესიის მოხალისეები შეარჩიეს, გაჰყავდათ ისინი თოვლსა და ყინვაში, მაგრამ შედეგი უცვლელი დარჩა — „მჯდომარე“ პაციენტები სამჯერ სწრაფად გამოჯანმრთელდნენ. იქნებ იმიტომ, რომ მათ უფრო საინტერესო სამუშაო აქვთ? ვინ იცის...



# ღვინის ფასი მის გემოზე მოქმედებს

როგორც ჩანს, ადამიანებს ძვირადღირებული ღვინოები უფრო მოსწონთ, ვიდრე იაფფასიანი, მიუხედავად მისი ნამდვილი ხარისხისა, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევარები. მეცნიერებმა ერთგვარი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც მოხალისეებს რამდენიმე სახეობის ღვინის დეგუსტაცია შესთავაზეს და მათგან საუკეთესოს არჩევა სთხოვეს. ამასთან, მონაწილეებს ყოველი ბოთლის ფასს ეუბნებოდნენ, რომელიც მის ნამდვილ ღირებულებას არ შეესაბამებოდა. მაგალითად, 19-დოლარიანი ღვინო 90-დოლარიან კაბერნედ გაასაღეს, 5 დოლარამდე ფასის მქონე სასმელს კი 9-ჯერ მეტი თანხა დაადეს. ექსპერიმენტის შედეგებმა მისი ორგანიზატორები გააოგნა — მოხალისეთა უმრავლესობამ ყველაზე გემრიელად ის ღვინო მიიჩნია, რომელსაც ყველაზე მაღალი ფასი ედო. მკვლევარები აცხადებენ, რომ მათმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, მოლოდინი როგორ მოქმედებს მიღებული სიამოვნების დონეზე, თუმცა პროფესიონალი დეგუსტატორები არ ეთანხმებიან კალიფორნიელი სწავლულების დასკვნებს. ისინი მიიჩნევენ, რომ მხოლოდ დილეტანტს არ შეუძლია ძვირფასი და იაფასიანი ღვინოების ერთმანეთისგან გარჩევა. აი, ფასი კი მართლაც ახდენს გავლენას სასმელის ხარისხზე.

# მოწევა მილიარდ ადამიანს შეიწირავს



XXI საუკუნეში, დაახლოებით, ერთი მილიარდი ადამიანი მოწევის მავნე ჩვევის გამო დაიღუპება, — გვაფრთხილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. თუ სახელმწიფოები არ მიიღებენ გადამწყვეტ ზომებს, უახლოეს 20-30 წელიწადში, უკვე 500 მილიონი ადამიანი მოკვდება, ხოლო დაახლოებით, ამდენივე მოწევას საუკუნის ბოლოს შეეწირება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ წამოყენებულ ექვს ღონისძიებას შორის, რომელმაც პლანეტაზე მწეველი მოსახლეობის რაოდენობა უნდა შეამციროს, ყველაზე ეფექტურად სიგარეტზე მაღალი გადასახადის დაწესებას მიიჩნევენ — მათი ფასი, სულ მცირე, 75%-ით უნდა გაიზარდოს. სხვა ღონისძიებებს შორის მოიაზრება თამბაქოს გამოყენებაზე მეთვალყურეობა, მოწევის შედეგებზე გაფრთხილება, მოწევის აკრძალვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სიგარეტის რეკლამის აკრძალვა და სხვა. ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მოყვანილი ციფრები მართლაც შემაშფოთებელია. ამის მიხედვით, უახლოეს პერიოდში, მოწევის გამო მარტო ჩინეთში 30 წლამდე ასაკის, 100 მილიონამდე ადამიანი მოკვდება, ინდოეთში კი საშუალო ასაკის მოსახლეობის მეოთხედის სიკვდილი სწორედ ამ მავნე ჩვევით იქნება გამოწვეული.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 8 | 2 | 1 | 9 |
| 4 | 8 | 3 | 2 | 1 | 9 | 5 | 7 | 6 |
| 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 8 | 3 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 |
| 3 | 4 | 7 | 5 | 2 | 1 | 6 | 9 | 8 |
| 1 | 9 | 2 | 8 | 4 | 6 | 3 | 5 | 7 |
| 5 | 7 | 6 | 1 | 8 | 4 | 9 | 3 | 2 |
| 8 | 3 | 4 | 9 | 7 | 2 | 1 | 6 | 5 |
| 9 | 2 | 1 | 6 | 5 | 3 | 7 | 8 | 4 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 5 | 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 8 | 3 | 7 | 6 | 9 | 5 | 4 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 9 | 4 | 7 | 8 | 6 | 5 | 3 |
| 1 | 2 | 4 | 9 | 8 | 7 | 5 | 3 | 6 |
| 9 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 7 | 1 | 2 |
| 7 | 5 | 3 | 1 | 2 | 6 | 8 | 4 | 9 |
| 3 | 4 | 2 | 8 | 6 | 9 | 1 | 7 | 5 |
| 6 | 7 | 1 | 3 | 5 | 4 | 2 | 9 | 8 |
| 5 | 9 | 8 | 7 | 1 | 2 | 3 | 6 | 4 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 9 | 6 | 2 | 8 | 5 | 4 | 3 |
| 8 | 6 | 4 | 7 | 3 | 5 | 2 | 1 | 9 |
| 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 6 | 4 | 7 | 3 | 5 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 5 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 | 4 |
| 9 | 2 | 8 | 1 | 6 | 4 | 7 | 3 | 5 |
| 2 | 9 | 6 | 8 | 7 | 3 | 4 | 5 | 1 |
| 7 | 1 | 3 | 5 | 4 | 6 | 9 | 8 | 2 |
| 4 | 8 | 5 | 2 | 9 | 1 | 3 | 6 | 7 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 9 | 4 | 6 | 5 | 3 | 8 | 7 |
| 7 | 8 | 6 | 3 | 2 | 1 | 4 | 5 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 7 | 9 | 8 | 6 | 2 | 1 |
| 6 | 5 | 1 | 9 | 7 | 4 | 2 | 3 | 8 |
| 4 | 2 | 8 | 1 | 3 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 8 | 2 | 1 | 6 | 4 |
| 1 | 9 | 2 | 8 | 5 | 3 | 7 | 4 | 6 |
| 3 | 7 | 5 | 6 | 4 | 9 | 8 | 1 | 2 |
| 8 | 6 | 4 | 2 | 1 | 7 | 5 | 9 | 3 |



# ჰოროსკოპი

## 2 აპრილი

***ვერძი*** — დღეს ბევრი ადამიანი შეეცდება თქვენთვის ნერვების მოშლას, თუმცა ადვილად გადალახავთ ყველა წინააღმდეგობას და თავს აარიდებთ კონფლიქტს. თვალი მიადევნეთ გარშემომყოფების ქცევებს, რადგან შანსი გაქვთ, მათი ნამდვილი სახე შეიცნოთ.

***კურო*** — დღეს მხოლოდ საკუთარ ინტუიციას უნდა ენდოთ. ეცადეთ, გარშემომყოფების ნაკლს ყურადღება არ მიაქციოთ. არ ღირს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, მიყევით ცხოვრების დინებას და საკუთარი გეგმების განხორციელებისთვის უკეთეს დროს დაელოდეთ.

***ტყუპები*** — სახლის საზრუნავი იძულებულს გაგხდით, დღევანდელი გეგმები შეცვალოთ. არ არის გამორიცხული, სტუმრად წასვლაზე მოგიწიოთ უარის თქმა, მაგრამ „მსხვერპლი“ ამად ღირს, რადგან ოჯახის წევრებთან გატარებული მშვიდი საღამო, დაგეხმარებათ სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს სერიოზული და მნიშვნელოვანი საუბრისთვის უნდა მოემზადონ, თუმცა მთელი უბედურება ისაა, რომ სწორედ ახლა არ ხართ მზად მოვლენების რადიკალური ცვლილებისთვის. სჯობს, აზრებს მობილიზება გაუკეთოთ და საკუთარი პასიურობა არგუმენტირებულად ახსნათ.

***ლომი*** — დღეს სიტუაცია გაიძულებთ, ფინანსებზე დაფიქრდეთ. შესაძლოა, რაიმე საინტერესო იდეა გაგიჩნდეთ იმასთან დაკავშირებით, როგორ გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა, რაშიც ძველი მეგობრები დაგეხმარებიან — ისინი ისეთი საქმის წამოწყებას შემოგთავაზებენ, რაზეც უარის თქმა გაგიჭირდებთ.

***ქალწული*** — მთელი დღე თაყვანისმცემელთა ყურადღების ცენტრში იქნებით და ეს ერთგვარ უხერხულობას შეგიქმნით, თუმცა არჩევანის საშუალება მაინც მოგეცემათ: სიტუაციიდან სარგებელი ნახოთ ან ისე დაიჭიროთ თავი, თითქოს მათ ყურადღებას ვერც კი ამჩნევთ. ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით.

***სასწორი*** — დღეს სასწორებს სხვისი პრობლემების გადაჭრა მოუწევთ. თხოვნაზე უარის თქმას ვერ მოახერხებთ და არც ღირს მათი განაწყენება, ვინც თქვენს მხარდაჭერას ელის, მით უმეტეს, რომ დასახულ ამოცანას ადვილად გაართმევთ თავს.

***ღრიანკალი*** — დღეს სიამაყე არ მოგცემთ უფლებას, საუკეთესო თვისებები გამოავლინოთ. სავსებით შესაძლებელია, საღამოს ინანოთ, ასეთი შანსი რომ გაუშვით ხელიდან, მაგრამ არა უშავს, შეცდომების გამოსწორება გვიან არასოდესაა და ისინი, ვისაც გულწრფელად უყვარხართ, ადვილად გაპატიებენ ასეთ სისუსტეს.

***მშვილდოსანი*** — დღეს ისეთ ადამიანს გაიცნობთ, ვისზეც დამოკიდებული იქნება თქვენი კეთილდღეობა. შეეცადეთ, გადაპრანჭული და წინასწარ მოფიქრებული ფრაზების გარეშე, თანამოსაუბრეზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოთ და შექმნილი უხერხულობა ბუნებრიობით გაანეიტრალოთ.

***თხის რქა*** — დღეს აჯობებს, საყვარელ ადამიანთან შეხვედრას თავი აარიდოთ, რადგან ვარსკვლავები კამათს, შემდეგ კი დაშორებას გიწინასწარმეტყველებენ. ისე მოულოდნელად მოხდება ყველაფერი, სიტუაციის გაანალიზებასაც კი ვერ მოახერხებთ, ამიტომ ეცადეთ, დღე მარტოობაში გაატაროთ.

***მერწყული*** — მერწყულებისთვის დღეს აუცილებელია ზომიერების დაცვა ნებისმიერ საკითხში. მეგობრებთან დროის გატარება მხოლოდ თქვენთვის იქნება სასიკეთო, ეს განტვირთვის საშუალებას მოგცემთ და მომავალსაც უფრო იმედიანად შეხედავთ.

***თევზები*** — დღეს თქვენი ენთუზიაზმი გარშემომყოფებს უდავოდ გააოცებს და ეს არსებული წინააღმდეგობის იოლად დაძლევაში დაგეხმარებათ. დღე მოვლენებით დატვირთული იქნება, თუმცა ეცადეთ, დრო უახლოესი მეგობრებისა და ოჯახის წევრებისთვისაც გამონახოთ.

# „9–ნახევარი კვირა“ – ყველაზე ეროტიკული ფილმი






ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემა The Sun-მა ჰოლივუდის ისტორიაში ყველაზე ეროტიკული ფილმის გამოსავლენად, გამოკითხვა ჩაატარა და, როგორც გაირკვა, „9-ნახევარი კვირა“ პირველობას არავის უთმობს. ფილმი კიმ ბესინჯერისა და მიკი რურკის მონაწილეობით, 1986 წელს გამოვიდა და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჰოლივუდის ისტორიაში ყველაზე ეროტიკული ფილმების რეიტინგში მეორე ადგილი „მონსტრების მეჯლისმა“ დაიკავა, სადაც მთავარ როლებს ჰოლი ბერი და ბილი ბობ ტორნტონი ასრულებენ. მესამე ადგილი კი „ტიტანიკს“ არგუნეს, ქეით უინსლეტისა და ლეონარდო დი კაპრიოს ეროტიკული სცენის წყალობით, რეიტინგში მოხვდა ასევე ფილმი „მოღალატეც“.



# ბრილიანტის ფეხსაცმელი კეტრინ ვილსონისგან



ახალზელანდიელმა დიზაინერმა კეტრინ ვილსონმა, საიუველირო კომპანია Auckland's Orsini Fine Jewellery-სთან ერთად, მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ფეხსაცმელი დაამზადა — კლასიკური სტილის ფეხსაცმელი ბრილიანტებითაა შემკული და მის შექმნას დიზაინერმა 50 საათი მოანდომა. ვილსონი სამუშაოს დაცვის ორი წევრის თანხლებით ასრულებდა და ამ ქმნილების ღირებულება 500 ათასი დოლარია, ხოლო მისი გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

# წარმატება ონკოლოგიაში — წამალი ლეიკემიის წინააღმდეგ



შვიდი წლის გოგონა, ემილი ვაითჰედი ერთადერთი ბავშვია, რომელმაც ლეიკემია დაამარცხა ახალი პრეპარატის მეშვეობით. წამალმა მისი იმუნური სისტემის უჯრედები კიბოს წინააღმდეგ მებრძოლ იარაღად აქცია და მედიკოსების განცხადებით, რემისია მე-11 თვეა, აღარ მიმდინარეობს. მართალია, წარმატებაზე საუბარი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი, მაგრამ პენსილვანიელი მეცნიერები იმედოვნებენ, რომ კიბოს საწინააღმდეგო თერაპიისთვის ახალი პრეპარატის ერთი დოზაც საკმარისი იქნება და პაციენტს არც ქიმიოთერაპია თუ ძვლისტვინის გადანერგვა დასჭირდება. ახალ პრეპარატზე მეცნიერები გიგანტურ ფარმაცევტულ კომპანია Novartis-სთან ერთად მუშაობდნენ და დღეისთვის, კვლევებზე 20 მილიონი დოლარია გამოყოფილი. ექსპერიმენტის წარმატების შემთხვევაში, კიბოს საწინააღმდეგო ახალი პრეპარატი ბაზარზე რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდება.

# გზებს მუყაოს პოლიციელები აკონტროლებენ



ინდოეთში გზებზე საცობი ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის გამო, მძღოლები სახიფათო მანევრებს ხშირად მიმართავენ და ავტოსაგზაო შემთხვევებიც მრავლადაა. ავტომაგისტრალებზე კონტროლის დასამყარებლად, ქალაქ ბენგალურუს წესრიგის 6 ათასი დამცველი სჭირდება, არადა, მუნიციპალიტეტს მხოლოდ 3 ათასი პოლიციელი ჰყავს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ამ პრობლემის გადაჭრის მეტად ორიგინალური ხერხი მოეძებნა და ათასობით ბილბორდი დაამზადა პოლიციელის გამოსახულებით. როგორც ჩანს, ამ მეთოდმა გაჭრა და ადგილობრივი წესრიგის დამცველების განცხადებით, საგზაო წესების დამრღვევთა რაოდენობამ აშკარად იკლო.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 5 | 4 | | 2 | |
| 2 | | | | | | 5 | 4 | |
| | | | | | 9 | 8 | 7 | |
| | 5 | | 1 | | | 6 | | |
| | | 7 | | 8 | | 4 | | |
| | | 6 | | | 2 | | 8 | |
| | 3 | 5 | 7 | | | | | |
| | 8 | 2 | | | | | | 4 |
| | 6 | | 5 | 2 | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | | | 2 | | |
| 5 | | 2 | | 6 | | | 8 | 7 |
| 1 | 8 | 7 | | | | | | |
| | | | 7 | | 8 | 5 | | |
| 9 | | | | 5 | | | | 8 |
| | | 5 | 2 | | 1 | | | |
| | | | | | | 8 | 5 | 1 |
| 3 | 5 | | | 1 | | 4 | | 2 |
| | | 6 | | | | 9 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | | 1 | | 8 | | |
| | | 6 | 5 | 3 | 8 | | 2 | |
| | 4 | | | | | | | |
| | | 4 | | | 1 | | | 8 |
| 6 | | | | 2 | | | | 9 |
| 5 | | | 8 | | | 7 | | |
| | | | | | | | 1 | |
| | 6 | | 1 | 5 | 4 | 2 | | |
| | | 7 | | 6 | | 3 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 1 | 5 | | | | 7 |
| | 1 | 8 | 7 | | | | | |
| 7 | | 5 | | | | | | 8 |
| | 8 | | | 4 | 1 | | | 2 |
| | | | | 9 | | | | |
| 4 | | | 8 | 3 | | | 7 | |
| 8 | | | | | | 1 | | 3 |
| | | | | | 3 | 2 | 6 | |
| 5 | | | | 1 | 2 | | | 4 |

# საპირველაპრილო ხუმრობები



პირველი აპრილი მსოფლიოში 448 წელია აღინიშნება — მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მეფე კარლ IX-მ დაადგინა, რომ ახალი წელი პირველ იანვარს უნდა დაწყებულიყო და არა პირველ აპრილს. 1565 წლის დადგომა ფრანგებმა ერთმანეთს იანვარში მიულოცეს, მაგრამ არც ძველით ახალი წელი დაივიწყეს და ერთმანეთს სახუმარო საჩუქრები გაუგზავნეს. ეს ტრადიციად დამკვიდრდა და მას შემდეგ პირველი აპრილი ხუმრობის დღედ აღინიშნება. ამ უჩვეულო ტრადიციამ ევროპა მალე მოიცვა, ნისლიან ალბიონზე კი პირველ აპრილს April Fool's Day (აპრილის სულელთა დღე) უწოდეს და კალენდარშიც მიუთითეს სხვა დღესასწაულებთან ერთად. ტრადიცია დღესაც გრძელდება და საპირველაპრილო ზოგიერთ ხუმრობას პრესის წარმომადგენლებისგან ჩვენც გთავაზობთ:

1933 წელს გაზეთმა Madison Capital-Times საზეიმოდ გამოაცხადა, რომ ვისკონსინის შტატის მთავრობის სახლი, აფეთქებების შედეგად დაინგრა. მიზეზი კი „დიდი რაოდენობის გაზი იყო, რაც შტატის სენატში, ხანგრძლივი და ხმაურიანი განხილვების შედეგად წარმოიშვა“. სტატიას ფოტო ახლდა დანგრეული კაპიტოლიუმის გამოსახულებით. სიმართლის გარკვევის შემდეგ, მოსახლეობა აღშფოთდა, ამ „უტაქტო და იუმორსმოკლებული გათამაშებით“.

2002 წელს ბრიტანული სუპერმარკეტების ქსელმა Tesco-მ განაცხადა, რომ გაყიდვაში აქვს ნაჩვრეტიანი სტაფილო, რომელიც მოხარშვისას სტვენას იწყებს, მეორე ქსელმა კი, Waitrose-მ მომხმარებელს ახარა ახალი ხილის — ბანანისა და ანანასის ნაჯვარის პინანის არსებობა.




1998 წელს სწრაფი კვების რესტორნების ქსელმა Burger King, განაცხადა, რომ ცაცია კლიენტებს სპეციალურ ჰამბურგერს შესთავაზებდა, რომელიც მეორე დღეს ათასობით ადამიანმა შეუკვეთა.

1986 წელს პარიზულმა გაზეთმა Le Parisien მკითხველს შეატყობინა, რომ მთავრობამ ეიფელის კოშკის დემონტაჟის გადაწყვეტილება მიიღო — კოშკს დედაქალაქის აღმოსავლეთით მშენებარე დისნეილენდში გადაიტანენ და იქ ხელახლა ააწყობენ. ეიფელის ადგილას კი, ოლიმპიური თამაშებისთვის სტადიონის აშენება იგეგმებაო. ამ ინფორმაციამ პარიზელებში გულისწყრომა გამოიწვია.

2001 წელს ერთმა რადიოსადგურმა კვიპროსზე დაარწმუნა მსმენელი, რომ პირველი აპრილი, უბრალოდ, არ არსებობს. ათასობით მსმენელმა დაუჯერა რადიოსპექტაკლს, რომელიც ათმა მსახიობმა გაითამაშა — მათ ცნობილი პოლიტიკოსების, მეცნიერებისა და ჟურნალისტების როლი შეასრულეს და მთელი სერიოზულობით, მათემატიკურ გათვლებზე დაყრდნობით, „დაამტკიცეს“, რომ „ათასწლეულის შუალედის ეფექტის“ გამო, საუკუნეში ერთხელ, 31 მარტის შემდეგ, პირდაპირ 2 აპრილი დგება.




1962 წელს, შვედეთის ერთადერთი ტელევიზიის ტექნიკურმა სპეციალისტმა კიელ სტენსონმა განაცხადა, რომ ნებისმიერ მაყურებელს შეუძლია, შავ-თეთრი ტელევიზორი ფერადად აქციოს, თუ ეკრანს ნეილონის წინდას ჩამოაცმევს.




1992 წელს გაზეთმა London Times დაბეჭდა სტატია, რომელშიც ბელგიის გაყოფის თაობაზე მოლაპარაკებები განიხილებოდა. სტატიაში ეწერა, რომ ფლანდრიელები ნიდერლანდებს შეუერთდებოდნენ, ფრანგულენოვანი ვალონია კი — საფრანგეთს. წერილმა ბრიტანელი მინისტრი ტრისტან გარელ-ჯონსიც კი შეიყვანა შეცდომაში, რომელიც სატელევიზიო ინტერვიუში ამ მნიშვნელოვანი ისტორიული საკითხის განხილვას აპირებდა.

საპირველაპრილო ხუმრობებით ყველაზე გამორჩეული მადიასაშუალება მაინც BBC აღმოჩნდა. 1980 წელს ტელეკომპანიამ გამოაცხადა, რომ ლონდონის ლეგენდარული საათი ბიგ-ბენი ელექტრონულით უნდა შეცვლილიყო. ამ ინფორმაციამ ბრიტანელები აღაშფოთა და რედაქციაში ათასობით ადამიანი რეკავდა პროტესტის გამოსახატად. ზოგიერთი დაინტერესდა, ძველი ბიგ-ბენის ყიდვა შეიძლებოდა თუ არა, რაზეც ტელეკომპანიის თანამშრომლებმა სრული სერიოზულობით უპასუხეს, რომ საათის ისრებს იმ ოთხ მაყურებელს მიყიდდნენ, ვინც რედაქციაში პირველი დარეკავდა.



## ჩინეთისა და ბრიტანეთის „ბინძური ფული“

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა იან ტომპსონმა სპეციალური გამოკვლევა ჩაატარა იმის გასარკვევად, რომელი ქვეყნის ბანკნოტზეა ყველაზე მეტი ბაქტერია. კვლევის ფარგლებში, პროფესორმა ფულის ყველა ერთეული გამოიკვლია და დაადგინა, რომ სიბინძურით ჩინური იუანი გამოირჩევა, ხოლო რაც შეეხება ევროპას, იქ ყველაზე მეტი ბაქტერია დანიურ ფულს — კრონს აღმოაჩნდა და მასზე 42 ათასი მიკროორგანიზმი ბუდობს. „ბინძური ფულის“ ერთგვარ რეიტინგში შვედეთიც მოხვდა 11 ათასი ბაქტერიით, ხოლო ბრიტანული გირვანქა სტერლინგი 18 200 მიკროორგანიზმიითაა „მდიდარი“.

## მილანის ჰაერს ცათამბჯენები გაწმენდს

იტალიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ მილანში განსხვავებული დიზაინის ორი ცათამბჯენი შენდება, რომელიც მცენარეებითაა დაფარული და სახელიც შესაფერისი აქვს — „ვერტიკალური ტყე“. მშენებლობა ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო და ახლაც გრძელდება. 26 და 18-სართულიან შენობებზე იქნება მინიატურული ხეები, ბალახის ტიპის მცენარეები და მათი მასშტაბი ერთ ჰექტარ ტყის მასივს უტოლდება. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ხეებსა და ბუჩქებს მხოლოდ სილამაზის დანიშნულება არ აქვს და ისინი მილანის დაბინძურებულ ჰაერს გაფილტრავენ.





წინ მსწრები განცხადება

ჩიტის „საკანი“

ძროხის ხორცის ნაწილი

საკვების დანამატი

ტომ სოიერის ძმა

ქვეყანა აფრიკაში

ფიქრი ანუ...

...... როშე

ვულკანი ევროპაში

სააფთიაქო ქსელი

ფაფუკი

გიგანტური ხვლიკი

ლუდის ბარი ინგლისში

ადგილი ანუ ...

ქიმიური ელემენტი

ხომალდი

ქვეყანა აზიაში

ეგვიპტური ღმერთი

ქალაქი ბალტიის ზღვაზე

ვერდის ოპერა

ტროპიკული ხილი

რომაელი ფილოსოფოსი

ძველე ბური თოფი

კვირის დღე

ზღვარი, საზღვარი, .....

„თეთრი“ რეპერი

კომიკური სხეული

ხის სახლი

ჯამაგირის ნაწილი

მუსიკალური ნოტი

ჩრდილი ანუ ...

რეპტილია

ქალაქი კანადაში

„სამეფო“ გუნდი

გაზაფხულის ყვავილი

თურქი ჯარისკაცი

მოუხეშავი ხელი ზარმაცი

..... დე ბალზაკი

შეყვარებული ანუ...

სოფელი ქართლში

ხმლის დეტალი

ცხელი სასმელი

ჰიუგოს წიგნის პერსონაჟი

ბიუჯეტის შემცირება

მუსიკალური ბგერა

პარასკევას მეგობარი

ბალუს აღსაზრდელი

მუსიკალური ბგერა

აშშ-ს შტატი

მდინარე რუსეთში

იტალიური ვალუტა

ჭვარტლი ანუ...



გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს
(ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.